

ISSN 1987-5789

ეკონომიკა და ბიზნესი



ECONOMICS and BUSINESS
ЭКОНОМИКА и БИЗНЕС

ნოემბერი-დეკემბერი
NOVEMBER-DEBER
НОЯБРЬ-ДЕКАБРЬ

2012

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და პიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი
და რევენგირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

International refereed and reviewed scientific and practical journal
of the Faculty of Economics and Business,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-
практический журнал факультета Экономики и Бизнеса
Тбилисского государственного университета имени Ив.
Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ
Published since January, 2008 once in two month
Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 ხართ., ტელ. 230-36-68, 599-10-38-16
e-mail: ebf.journal@tsu.ge

სარედაქციო კოლეგია

რევაზ გოგოხია – მთავარი რედაქტორი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: **ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, ლეო ჩიქავა.**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **იური ანანიაშვილი, რამაზ აბესაძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, ეკა ლეკაშვილი, მურთაზ მაღრაძე, მაია მარგველაშვილი, ქეთევან მარშავა, ელგუჯა მექვაბიშვილი, იაკობ მესხია, ნუგზარ პაიჭაძე, სერგო სანაძე, მირიან ტუხაშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ელენე ხარაბაძე, რომან ხარბედია, ნოდარ ხადური, აკაკი ხელაძე, თემურ შენგელია, ემზარ ჯგერენაია.**

EDITORIAL BOARD

Revaz Gogokhia – Editor-in-chief Doctor of Economic sciences, professor.

Corresponding members of Georgian National Academy of Sciences, doctors of Economic Sciences: **Vladimer Papava, Avtandil Silagadze, Leo Chikava.**

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili, Ramaz Abesadze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Nugzar Todua, Irakli Kovsanadze, Eka Lekashvili, Murtaz Magradze, Maya Margvelashvili, Ketevan Marshava, Elguja Mkvabiishvili, Iakob Meskhia, Nugzar Paichadze, Sergo Sanadze, Mirian Tukhashvili, Eter Kharashvili, Elene Kharabadze, Roman Kharbedia, Nodar Khaduri, Akaki Kheladze, Temur Shengelia, Emzar Jgerenaia.**

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Реваз Гогохия – главный редактор, доктор экономических наук, профессор.

Члены-корреспонденты Национальной Академии наук Грузии – **Владимер Папавა, Автандил Силагадзе, Лео Чикава.**

Доктора экономических наук, профессора: **Юрий Ананиашвили, Рамаз Абесадзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелესиანი, Нугзар Тодуа, Ираклий Ковзанაძე, Ека Лекашвили, Муртаз Маграძე, Майя Маргველაშვილი, Кетевან Маршава, ზღუჯა მექვაბიშვილი, Якоб Месхия, Нугзар Пайчаძე, Серго Санаძე, Мირიან Тухაშვილი, Етер Хараишвили, Элене Харабаძე, Роман Харбедея, Нодар Хадური, Акаки Хеладзе, Темур Шенгелия, Эмзар Джгеренаია.**

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები.

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარალდ კუნცი – ბრანდერბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიდი – პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Branderburg University (Germany), Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University’s Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Кунц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса Университета Тарту (Эстония), профессор.

შინაარსი

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

მალხაზ ჩიქობავა. ინფლაცია - რეალური სიმდიდრის გადანაწილების მექანიზმი	11
ლია სპანიძე. საზოგადოებისა და აზროვნების მართვის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური პრობლემები (რუსულ ენაზე)	23
გიორგი შისაშვილი. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის შესახებ	33
ანდრო აბრალავა. ეკონომიკური აზროვნების უმთავრესი ორიენტირი	45

მიკრო-მაკროეკონომიკა

შოთა შაბუნიშვილი. სოციალური კაპიტალის სპეციფიკა გლობალიზაციის პირობებში	51
დავით სიხარულიძე. უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (ინგლისურ ენაზე)	61
გიორგი ხიშტოვანი. კაპიტალის ბაზრის განვითარება საქართველოში	79
ინგა ბალარჯიშვილი. QWERTY ეკონომიკა: ნირვანა თუ რეალობა?!	91
ქრისტინა ჯღანჯღავა. ტექნოლოგიათა ტრანსფერტი - ინვესტიციათა მიმღები ქვეყნის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი	101

მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი

ნუზგარ თოღუა, იგა გიგაური. მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის წინაშე (ინგლისურ ენაზე) 113

ნუზგარ პაიჭაძე. ადამიანური რესურსების დაგეგმვის თავისებურებანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში 135

გიორგი შუბლაძე. მენეჯმენტის არსისა და ფუნქციების დეფინიციის საკითხისათვის 155

რატი აბულაძე. ელექტრონული მთავრობის მომსახურების ძირითადი მიმართულებები 163

ციური ოქრუაშვილი. საქართველოს საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის173

ინფორმაცია

ყაზახეთის რესპუბლიკა დღეს (რუსულ ენაზე) 181

ახალი წიგნები: როგორია პროფესიონალ-რემენდენტთა აზრი?

გულთაგ ლაბარტყავა. ფინანსების სახელმძღვანელო თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე 187

ნოდარ ჭითანაძე. საერთაშორისო მენეჯმენტის კარგი სახელმძღვანელო 189

ქურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ 2012 წლის №1-5-ის შინაარსი193

CONTENTS

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

MALKHAZ CHIKOBAVA. Inflation - the Hidden Mechanism for Real Wealth Redistribution	11
LIA SVANIDZE. Important Psychological Issues in Managing Society and Individuals (in Russian)	23
GIORGI SHIKHASHVILI. Saint Bishop Gabriel about Economic and Managerial Activities	33
ANZOR ABRALAVA. Main Objective of Economic Thinking	45

MICRO-MACROECONOMICS

SHOTA SHABURISHVILI. Peculiarities of Social Capital under Globalization	51
DAVIT SIKHARULIDZE. Motivations for Foreign Direct Investment and their Impact on Georgia's Economy (in English)	61
GIORGI KHISHTOVANI. Capital Market Development in Georgia	79
INGA BALARJISHVILI. Economics of QWERTY - nirvana or reality?	91
KRISTINA JGANJGAVA. Technology Transfer - Factors Contributing to the Development of Recipient Countries	101

MANAGEMENT. MARKETING. TOURISM

NUGZAR TODUA, IZA GIGAURI. Aspects of Social Responsibility of Marketing in the Georgian Consumer Market ...	113
NUGZAR PAICHADZE. Characteristics of Human Resource Planning in a Market Economy	135
GIORGI SHUBLADZE. Regarding Definition of the Essence and Functions of Management	155
RATI ABULADZE. Main Trends of e-Government Service System	163
TSIURI OKRUASHVILI. Regarding Increasing the Competitiveness of Bank System of Georgia	173

INFORMATION

Republic of Kazakhstan Today (In Russian)	181
---	-----

NEW BOOKS: THE VIEWS OF PROFESSIONAL REVIEWERS

GULTAZ LABARTKAVA. The Textbook of Finance Meeting Modern Requirements	187
NODAR CHITANAVA. A good textbook of International Management	189

CONTENTS OF “ECONOMICS AND BUSINESS” #1-5, 2012	193
--	-----

СОДЕРЖАНИЕ

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

МАЛХАЗ ЧИКОБАВА. Инфляция - механизм перераспределения реального богатства	11
ЛИЯ СВАНИДЗЕ. Важные психологические проблемы управления обществом и личностью	23
ГИОРГИЙ ШИХАШВИЛИ. Святой Гаврил Кикодзе о хозяйственно –управлеческих вопросах	33
АНЗОР АБРАЛАВА. Главный ориентир экономического мышления	45

МИКРО-МАКРОЭКОНОМИКА

ШОТА ШАБУРИШВИЛИ. Специфика социального капитала в условиях глобализации	51
ДАВИД СИХАРУЛИДЗЕ. Мотивации прямых иностранных инвестиций и их влияние на экономику Грузии	61
ГИОРГИЙ ХИШТОВАНИ. Развитие рынка капитала в Грузии	79
ИНГА БАЛАРДЖИШВИЛИ. QWERTY - Экономика: нирвана или реальность?	91
КРИСТИНА ДЖГАНДЖГАВА. Трансферт технологий – содействующий фактор развития стран получателя ...	101

МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ

НУТЗАР ТОДУА, ИЗА ГИГАУРИ. Социальная ответственность маркетинга на потребительском рынке Грузии ..113	
НУТЗАР ПАИЧАДЗЕ. Особенности планирования человеческих ресурсов в условиях рыночной экономики	135
ГЕОРГИЙ ШУБЛАДЗЕ. К вопросу о дефиниции сущности и функций менеджмента	155
РАТИ АБУЛАДЗЕ. Основные направления обслуживания системы электронного правительства	163
ЦИУРИ ОКРУАШВИЛИ. Для повышения конкурентоспособности банковской системы Грузии	173

ИНФОРМАЦИЯ

Республика Казахстан сегодня	181
------------------------------------	-----

НОВЫЕ КНИГИ: КАКОВО МНЕНИЕ ПРОФЕССИОНАЛОВ - РЕЦЕНЗЕНТОВ?

ГУЛТАЗ ЛАБАРТКАВА. Учебник финансов на уровне современных требований	187
НОДАР ЧИТАНАВА. Хороший учебник по международному менеджменту	189
СОДЕРЖАНИЕ ЖУРНАЛА „ЭКОНОМИКА И БИЗНЕС“ ЗА 2012 Г, № 1-5	193

**ინფლაცია - რეალური სიმდიდრის
ბაღანაწილების შენიღბული
მექანიზმი**

მალხაზ ჩიქობავა

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

ინფლაციის ცნება ცალსახად ასოცირდება უარყოფით პროცესებთან. შეუძლებელია მოიძებნოს სერიოზული მეცნიერ-ეკონომისტი, რომელიც ფასების სისტემატურ ზრდას უწყინარ მოვლენად თვლიდეს. საქონელზე ფასების წინმსწრები ზრდა, დამოუკიდებლად ინფლაციური ტალღის სიგრძისა, უკიდურესად მტკივნეული პროცესია ნებისმიერი ქვეყნისათვის.

ინფლაცია ნეგატიურად ზემოქმედებს ფინანსებზე, ფულად და მთლიანად ეკონომიკურ სისტემაზე. ის ამცირებს ფულის მყიდველობით უნარს, ძირს უთხრის ეკონომიკის რეგულირების შესაძლებლობებს, სტრუქტურულ გარდაქმნას, დარღვეული პროპორციების აღდგენას, ამახინჯებს წარმოების ფინანსური შედეგების რეალურ სურათს, საქონლისა და მომსახურების მოხმარების დონესა და დინამიკას.

ინფლაციის როგორც რთული მოვლენის, თანამდევი პროდუქტია ეროვნული შემოსავლისა და საზოგადოებრივი სიმდიდრის მასობრივი და არაკონტროლირებადი გადანაწილება: ინფლაცია პირდაპირ აისახება შინამეურნეობებისა და ფირმების რეალურ შემოსავლებზე და იწვევს სიმდიდრის გადანაწილებას სამეურნეო სუბიექტებს შორის, კერძოდ, კრედიტორებიდან - მსესხებლების სასარგებლოდ.

ამასთან, როგორც წესი, ღარიბები კიდევ უფრო ღარიბდებიან, ხოლო მდიდრები კი პირიქით – უფრო მდიდრდებიან. ამგვარად, ინფლაცია მკვეთრად აძლიერებს

მალხაზ ჩიქოაია

საზოგადოებაში სოციალურ დიფერენციაციას და ამწვევებს სოციალურ კონფლიქტებს. მთლიანობაში, დიდია ინფლაციის საზოგადოებრივი დანახარჯები, რაც საყოველთაოდაა აღიარებული.

ხშირად, ინფლაციის შედეგებს განეკუთვნება ის, რაც მცდარ შეხედულებასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ზოგიერთი მოსაზრებით, ინფლაცია საზოგადოებას მთლიანობაში აღარიბებს, რადგანაც მის წევრებს ფულადი შემოსავლებით ნაკლები საქონლისა და მომსახურების ყიდვა უწევთ. ფაქტობრივად, ეს ასე არ არის, რადგანაც გაზრდილი ფასები მწარმოებელთა შემოსავლებად გარდაიქმნება. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ვინმემ საქონელზე წინანდელთან შედარებით მეტი თანხა გადაიხადა, სხვა ამ თანხას მიიღებს როგორც შემოსავალს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შემოსავლებიც იზრდება ინფლაციის შედეგად, თუმცა, რასაკვირველია, არა ყველას შემოსავალი და არა თანაბარი ოდენობით.

უფრო სწორია თუ ვიტყვით, რომ ინფლაციის შედეგები დამოკიდებულია მისი პროგნოზირების შესაძლებლობის (როდესაც ეკონომიკურ აგენტებს საკმაოდ მაღალი ალბათობით ძალუძთ ფასების მოსალოდნელი ზრდის მასშტაბების წინასწარგანჭვრეტა) ან მოულოდნელობის ხარისხზე. ცხადია, თუ ინფლაცია პროგნოზირებადია, მისგან მისაღები სოციალურ-ეკონომიკური დანაკარგებიც ნაკლები იქნება, რადგანაც საქმიანი გადაწყვეტილებები განსაზღვრულობის პირობებში მიიღება. თუმცა, ამ შემთხვევაშიც გარდაუვალია ინფლაციის გარკვეული საზოგადოებრივი დანახარჯები.

რომელი დანახარჯები მიეკუთვნება პროგნოზირებად ინფლაციას? უპირველეს ყოვლისა, ინფლაცია იწვევს ე.წ. ინფლაციური გადასახადის წარმოშობას, რასაც იხდიან ისინი, რომლებიც ფულს ხელზე ან მიმდინარე ანგარიშებზე ინახავენ, რადგანაც ფულის მყიდველობითი უნარი მცირდება. ამასთან, სახელმწიფო ფულის ემისიით იღებს დამატებით შემოსავალს „სენიორაჟის“ სახით. მაღალი ინფლაციის

მქონე ქვეყნებში სენიორაჟი სახელმწიფო შემოსავლების ძირითადი წყაროა.

ადამიანები ინფლაციური გადასახადისაგან თავის დასაღწევად ხსნიან ვადიან ანგარიშებს ან ყიდულობენ უცხოურ მყარ ვალუტას. მაგრამ, გარიგებების განსახორციელებლად მათ უწევთ ბანკებსა და ვალუტის გადამცველ პუნქტებში ხშირი ვიზიტი. ამასთან დაკავშირებით წარმოშობილ დროის, ენერჯისა და ფინანსურ დანახარჯებს „გაცვეთილი ფეხსაცმლის დანახარჯებს“ უწოდებენ¹.

ინფლაციის შედეგად მიღებული დანახარჯების შემდეგი სახეობა დაკავშირებულია იმასთან, რომ ინფლაცია ფირმებს აიძულებს პრაის-ლისტების ხშირ ცვლას. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, გარკვეულ თანხებს უკავშირდება, რაც „მენიუს დანახარჯების“² სახელწოდებითაა ცნობილი.

ინფლაციისაგან მიღებული კიდევ ერთი დანაკარგი უკავშირდება საგადასახადო კანონმდებლობის თავისებურებებს. დამატებითი მოგება, რომელიც მიღებულია ინფლაციის შედეგად, ჩვეულებრივი მოგების მსგავსად იბეგრება გადასახადით. საბოლოოდ, ფირმები პრაქტიკულად იბეგრებიან უფრო მაღალი გადასახადით. მაგალითად, თუ ფირმის დანახარჯი 100 ლარია, ხოლო მთლიანი შემოსავალი რეალიზაციის შედეგად – 120 ლარი, მაშინ მოგება იქნება 20 ლარი. ვთქვათ, მოგების საგადასახადო განაკვეთი 20%-ია, შესაბამისად, მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ, იქნება 16 ლარი. ახლა დაუშვათ, რომ ფირმის მიერ ხარჯების გაღების შემდეგ ფასები გაორმაგდა, რომლის შედეგაც მთლიანმა შემოსავალმა 240 ლარი შეადგინა (ნაცვლად 120 ლარისა). მაშინ ფირმის მოგება იქნება 140 ლარი (240-100), ხოლო მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ – 112 ლარი (140-140*20%). ერთი შეხედვით, წმინდა მოგება 7-ჯერ გაიზარდა (112/16). ფირმას საქმიანობის გასაგრძელებლად კვლავ მოუწევს ნედლეულისა და მასალების ყიდვა,

¹ N. Gregory Mankiw. Macroeconomics, 7th edition, 2009, p. 102.

² იქვე.

მაღსაზ ჩიქობავა

სამუშაო ძალის დაქირავება და ა.შ., მაგრამ, ყველაფერი ეს ინფლაციის შედეგად ორჯერ ძვირია. შესაბამისად, წმინდა მოგებიდან ფირმამ დამატებით უნდა დახარჯოს 100 ლარი იმისათვის, რათა წარმოება შეინარჩუნოს უწინდელ დონეზე. ფირმის განკარგულებაში, 16 ლარის ნაცვლად, უკვე 12 ლარი რჩება, თანაც, ფასების ზრდის გათვალისწინებით, ამ თანხის მყიდველობითი უნარი ორჯერ უფრო ნაკლებია.

ინფლაციის დანახარჯების შემდეგი სახეობა გამოიხატება მუდმივად ცვალებადი ფასების პირობებში ცხოვრების მოუხერხებლობაში, რადგანაც პერმანენტულად საჭირო ხდება იმის დაზუსტება, თუ რომელი წლის ფასებით განხორციელდა ესა თუ ის გაანგარიშება.

პროგნოზირებადი ინფლაციისაგან განსხვავებით, გაუთვალისწინებელი (არაპროგნოზირებადი) ინფლაცია ძირს უთხრის რესურსებისა და პროდუქციის განაწილების საბაზრო მექანიზმს, რის გამოც ამით გამოწვეული დანახარჯი გაცილებით მაღალია. აღნიშნულით გამოწვეულ დანახარჯებს მიეკუთვნება:

- ფირმებისა და შინამეურნეობების ფულადი დანახარჯების მკვეთრი გაუფასურება. კერძოდ, უფასურდება ფირმების ამორტიზაციის ფონდი, რაც მკვეთრად აფერხებს კვლავწარმოების პროცესს;

- სიმდიდრის გადანაწილება კრედიტორებიდან მსესხებლებზე, რომლებიც სესხულობენ „ძვირ ფულს“ და აბრუნებენ „იაფს“, მაგალითად, პოსკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე საქართველოში (და არა მარტო აქ) ე.წ. „ახალი ქართველების“ უსწრაფესი გამდიდრების ერთ-ერთი მთავარი წყარო გახდა ის, რომ ჰიპერინფლაციის წლებში მათ მიიღეს დიდი ოდენობით კრედიტი, თანაც, წლიური საპროცენტო განაკვეთი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა ინფლაციის წლიურ ტემპს. მოსალოდნელ და ფაქტობრივ რეალურ საპროცენტო განაკვეთებს შორის მკვეთრმა სხვაობამ, რაც გამოიწვია მოულოდნელმა ინფლაციამ, მოშალა საკრედიტო სისტემა და მოსახლეობის დიდი ნაწილის რეალური სიმდი-

დრე გადაანაწილა ერთეულთა სასარგებლოდ;

- ფიქსირებული შემოსავლების მქონე პირებიდან სიმდიდრის გადაანაწილება იმათ სასარგებლოდ, რომელთა შემოსავლები მოქნილად რეაგირებს ფასების ცვლილებაზე;

- საინვესტიციო რისკებისა და განუსაზღვრელობის ზრდა, რაც ამცირებს ინვესტიციების მოცულობას.

განსაკუთრებით დიდია მაღალი ინფლაციის დანახარჯები, რომ არაფერი ვთქვათ ჰიპერინფლაციაზე. ასეთი ინფლაცია მთლიანად არღვევს ეკონომიკას, შეუძლებელს ხდის ნებისმიერი დონის ბიზნეს-დაგეგმვას. ფირმები უარს ამბობენ კაპიტალდაბანდებებზე, რადგანაც არ იციან, თუ როგორი იქნება ფასები საქონელსა და რესურსებზე რამდენიმე თვის შემდეგ. ადგილი აქვს სამომხმარებლო მოთხოვნის დეფორმაციას, რადგანაც მოსახლეობა ინფლაციისაგან თავის დაზღვევას ფულის გრძელვადიანი სარგებლობის საქონლის წინასწარ ყიდვით ან უცხოურ მყარ ვალუტაში დაბანდებით ცდილობს. სულ უფრო იზღუდება წარმოება სპეკულაციური ოპერაციებით. ყველაზე ნაკლებ დანაკარგებს განიცდიან ისინი, რომელთაც მოასწრეს ფულადი დანაზოგების დაბანდება უძრავ ქონებაში, მყარ ვალუტასა ან სხვა მატერიალურ ფასეულობებში (მაგალითად, ძვირფას ლითონებში), რაც მხოლოდ ძვირდება.

გარდა ზემოთქმულისა, ინფლაციის დანახარჯები დამოკიდებულია ინფლაციის ხასიათზე - ღიაა თუ დათრგუნული. თუ ღია ინფლაცია ვლინდება ფასების საერთო დონის უწყვეტი ზრდით და კერძო დანაზოგების რეალური ღირებულების შემცირებით. ღია ინფლაციის პირობებში ბანკები ინარჩუნებენ მეანაბრეთა დანაზოგებს, თუ მათ მიერ დეპოზიტებზე დაწესებული პროცენტები აჭარბებს ფასების ზრდის მიმდინარე ტემპს. ეს სხვაობა არანაკლები უნდა იყოს ადაპტური ინფლაციური მოლოდინის სიდიდეზე.

ეკონომიკაში, სადაც დათრგუნული ინფლაციაა, დანაზოგების მფლობელთა მდგომარეობა უფრო რთულია. ქრონიკული სასაქონლო დეფიციტის პირობებში ანაბრებზე

მაღსაზ ჩიქოაპა

პროცენტების ზრდა არ იძლევა დადებით შედეგებს. მას, მართალია, შეუძლია გარკვეულწილად აღკვეთოს დანაზოგების გაუფასურება, მაგრამ ეკონომიკას ვერ იცავს საქონლის ტოტალური დეფიციტისაგან, როდესაც შეუძლებელი ხდება დანაზოგების რაიმე სახით გამოყენება. დათრგუნული ინფლაციის დროს შეუძლებელია თავის დაღწევა დანაზოგების ნაწილის - განსაკუთრებით იმ დანაზოგების ნაწილისაგან, რომელიც ინახება ნაღდი ფულის სახით და საბანკო ანგარიშებზე. ცხადია, დანაკარგების მინიმიზაციის მიზნით, სუბიექტები აუცილებლად, მაგრამ თანდათანობით უნდა გადავიდნენ ინფლაციის ღია ტიპზე.

გარეგნულად ისე ჩანს, თითქოს, ღია ინფლაციის პირობებში მოსახლეობის მდგომარეობა უფრო მომკვებიანია, რადგანაც არ არსებობს სასაქონლო დეფიციტი და ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან მაკომპენსირებელი ღონისძიებები. სინამდვილეში, მოსახლეობის კეთილდღეობა ამ შემთხვევაშიც მცირდება.

პირველი, ანტიინფლაციურ გადახდებს არ ძალუძს გაუსწროს ფასების დინამიკას, რადგანაც ეს უკანასკნელი ყოველდღიურად იზრდება, ხოლო ხელფასის განაკვეთსა და ფიქსირებულ შემოსავლებში კორექტივები გარკვეული პერიოდის შემდეგ ხდება. რაც უფრო დიდია ეს პერიოდები, მით უფრო მძიმეა ინფლაციით გამოწვეული დანაკარგები.

მეორე, ფასების მოსალოდნელი ღონის პროგნოზირება, განსაკუთრებით არამართვადი ინფლაციის დროს, უკიდურესად რთულია. ცდილობს რა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას და ხარჯების ნებისმიერი მუხლის მიხედვით ეკონომიას, მთავრობა ბოლომდე ვერ აფასებს ინფლაციურ საშიშროებას. ამიტომ, ანტიინფლაციური კომპენსაციები, როგორც წესი, ყოველთვის არასაკმარისია შემოსავლების უცვლელ დონეზე შესანარჩუნებლად, რაც გარდაუვალს ხდის ცხოვრების ღონის ვარდნას. ამასთან, დროთა განმავლობაში თავად კომპენსაციები ახდენს ინფლაციის ზრდის პროვოცირებას.

ამგვარად, ღია და დათრგუნული ინფლაცია, თუმცა სხვადასხვა დოზით, უარყოფით გავლენას ახდენს დაზოგვასა და მიმდინარე მოხმარების მოცულობაზე, რითაც აუარესებს მოსახლეობის კეთილდღეობას.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ ინფლაციის შედეგად გამოწვეული საზოგადოებრივი დანაკარგები არასრულია. აქ ერთი მომენტი საგულისხმო, რომლის თანახმადაც, ინფლაციის ნებისმიერი ტემპის შემთხვევაში, ადგილი აქვს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის რეალური შემოსავლების ფარულ გადანაწილებას უმცირესობის სასარგებლოდ. საყოველთაოდ ცნობილი ეკონომიკური სკოლები, მართალია, სიღრმისეულად ანალიზებენ ინფლაციის მიზეზებსა და შედეგებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, არც ერთი მათგანი არ იძლევა პასუხს კითხვაზე იმის შესახებ, თუ რატომაა ინფლაცია გარდაუვალი. ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატ რობერტ სოლოუს აზრით, „...ინფლაცია არ არის აღმოფხვრადი უბრალოდ იმის გამო, რომ ჩვენ მას ველოდებით, ხოლო მას ველოდებით იმიტომ, რომ ის უკვე იყო“. მიგვაჩნია, რომ ასეთი პასუხი არასაკმარისია ინფლაციის უპირველეს მიზეზში გარკვევისათვის. ამის შესახებ საკუთარი მოსაზრება ჩამოყალიბებული გვაქვს ნაშრომში – „ინფლაციის მუდმივობის მიზეზების შესახებ“.¹ ამჯერად აღვნიშნავთ, რომ თუ ფულის რაოდენობრივი თეორიის ძირითად იგივეობას - $MV \equiv PY$ დავეყრდნობით, ფულადი მასის ზრდის ტემპი გრძელვადიანი პერიოდისათვის, როდესაც ფულის ბრუნვის სიჩქარე უცვლელია, უნდა გაუტოლდეს წარმოების რეალური მოცულობის ზრდის ტემპს. ამ შემთხვევაში, ფასების საშუალო დონე, ფულის რაოდენობრივი თეორიის იგივეობიდან გამომდინარე, უცვლელი უნდა დარჩეს, ანუ ინფლაციის მაჩვენებელი გაუტოლდეს ნულს. თავისთავად ცხადია, რომ ფულზე მოთხოვნის ზრდა, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება ეკონომიკაში ტრანსაქციების - საქონელბრუნვის ზრდას. მაგრამ, რატომაა, რომ პრაქტიკაში ფულის მასის

¹ იხ. ქურნ. „ეკონომიკა ბიზნესი“, ნოემბერი-დეკემბერი, №6, 2011 წ., გვ. 41-48.

მაღსაჲ ჩიქობაჲ

საშუალოწლიური ზრდის ტემპი წარმოების მოცულობის საშუალოწლიურ ზრდის ტემპს მუდმივად აღემატება? თუ შევეცდებით ფულის მასის საშუალოწლიური ზრდის ტემპის მისადაგებას წარმოების რეალური მოცულობის ზრდის ტემპთან, მაშინ ფასების საშუალო დონის ცვლილების მიზეზი გრძელვადიანი პერიოდისათვის არ უნდა არსებობდეს: ფულის მასის ნაზრდს გარკვეული პერიოდის შემდეგ გადაფარავს დამატებით წარმოებული საქონლის მასა და გარკვეული დროითი ღირებულების შემდეგ ფასების საერთო დონე დაუბრუნდება ადრე არსებულ მაჩვენებელს. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ფულადი მიმოქცევის სფეროში სულ უფრო მზარდი ოდენობით თავს იყრის ფულის ის რაოდენობა, რომელიც პროდუქციის წარმოებას და საქონელგაცვლას არ ემსახურება და ფულით სარგებლობისათვის დამატებით ფულის, ანუ პროცენტების გადახდას ხმარდება. რადგანაც ფულს თავისი ფასი გააჩნია, რაც სხვა არაფერია, თუ არა ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, მთლიანად საზოგადოება იბეგრება ერთგვარი „არაპირდაპირი გადასახადით“, ანუ პროცენტებით, რაც იწვევს ფულადი მასის იმაზე უფრო მეტად ზრდას, რაც წარმოების რეალური მოცულობის ზრდის დასაკმაყოფილებლად საჭირო. ჩვენი აზრით, სწორედ ესაა ინფლაციის მუდმივობის უპირველესი მიზეზი.

ინფლაციასა და ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს შორის დამოკიდებულება გაანალიზებულია ირვინგ ფიშერის მიერ, რაც ფიშერის განტოლების სახელითაა ცნობილი. ამ განტოლებაში ნომინალური საპროცენტო განაკვეთი იცვლება ინფლაციის მიმართულებით, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნომინალური საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიზეზი ინფლაციის ცვლილებაა. ვფიქრობთ, ინფლაციასა და ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს შორის შემდეგი მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება არსებობს: სწორედ პროცენტის არსებობაა ინფლაციის მიზეზი და არა პირიქით. სწორედ პროცენტების გადახდის აუცილებლობა წარმოშობს ინფლაციას. თუ ინფლაციის საზოგადოებრივ დანაკარგებს

ამ ასპექტით განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ინფლაცია, რაოდენ მცირეც არ უნდა იყოს მისი წლიური მაჩვენებელი გრძელვადიანი დინამიკური მწკრივისათვის, თავდაპირველად ფულად რესურსებს და, მის საფუძველზე, რეალურ სიმდიდრეს მუდმივად გადაანაწილებს საზოგადოების უმრავლესობიდან უმცირესობის სასარგებლოდ. შევეცდებით უფრო მკაფიოდ ჩამოვაყალიბოთ ეს შეხედულება.

თანამედროვე ფულად სისტემასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ცდომილება შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: „ნებისმიერ ინდივიდს, რომელიც სესხულობს ფულს და იხდის პროცენტს, შეუძლია მიიღოს შემოსავალი პროცენტის სახით ფულის ბანკში განთავსებით. თანამედროვე ფულადი სისტემა ყველაზე ერთნაირ დადებით (ან უარყოფით) ზემოქმედებას ახდენს“. ჩვენი აზრით, აქ ერთი მომენტი რჩება ყურადღების მიღმა. სინამდვილეში ამ სისტემის ფარგლებში შეუძლებელია ყველა მოგებულ დარჩეს. მიზეზი, რის გამოც რთულია სრულად გავიგოთ საპროცენტო მექანიზმის ზემოქმედება ფულად სისტემაზე, მისი ნაწილობრივი შენიღბებაა. ხალხის უმრავლესობა თვლის, რომ ისინი პროცენტებს იხდიან მხოლოდ მაშინ, როცა იღებენ ფულს კრედიტად და თუ პროცენტების გადახდა არასასურველია, საკმარისია უბრალოდ არ მივიღოთ ფული კრედიტით.

სინამდვილეში, ჩვენ მიერ ნაყიდი ნებისმიერი საქონლის ფასი მოიცავს პროცენტების წილს, რაც იცვლება საქონლის წარმოებაზე დახარჯული კაპიტალის სიდიდის შესაბამისად. მაშასადამე, როდესაც ვყიდულობთ პროდუქციას, ნებისმიერი ჩვენთაგანი არაპირდაპირი გადასახადების მსგავსად, პროცენტების ირიბი გადამხდელია. ქვემოთ წარმოდგენილია პროცენტების მიღებისა და გადახდის შედარებები გერმანიის მოსახლეობის 10 თანაბარი ჯგუფისათვის (იხ. სქემა). თითოეული ჯგუფი მოიცავს მოსახლეობის თანაბარ რაოდენობას, ხოლო ყოველი მომდევნო ჯგუფი ფინანსურად უფრო შეძლებულია. როგორც ჩანს, მოსახლეობის პირველი 8 ჯგუფი უფრო მეტად იხდის პროცენტებს, ვიდრე თავად


მაღსაზ ჩიქობაჲ

ღებულობს მას, მე-9 ჯგუფი ღებულობს რამდენადმე მეტს, ვიდრე იხდის, ხოლო უკანასკნელი მე-10 ჯგუფი ღებულობს ორჯერ მეტს, ვიდრე იხდის. ეს ერთობლივად არის ის ნაწილი, რომელიც დაკარგა მოსახლეობის პირველმა 8 ჯგუფმა. ეს ფაქტი ჩინებულად ხსნის იმ მექანიზმის არსს (შესაძლებელია ყველაზე მნიშვნელოვანისას), რაც მდიდრებს კიდევ უფრო ამდიდრებს, ხოლო ღარიბებს კიდევ უფრო აღარიბებს.

პროცენტები, როგორც ფულის ბრუნვალობის უზრუნველყოფის საშუალება თანამედროვე ფულადი სისტემის ფარგლებში და როგორც ინფლაციის მუდმივობის მთავარი მიზეზი, ფულის ფარული გადანაწილების საშუალებად გვევლინება, რომელიც ეფუძნება არა შრომით მონაწილეობას, არამედ იმას, რომ ვიღაცას შეუძლია ხელი შეუშალოს საქონელგაცვლას გაცვლის საშუალების გადანახვით, თუნდაც ამაზე მიიღებოდეს „ჯილდო“ პროცენტების სახით. ამგვარად, ბედის ირონიით ხდება ფულის გადაღინება იმ პირთაგან, რომლებსაც ის საჭიროზე ნაკლები აქვთ, მათზე, რომლებსაც ფული საჭიროზე მეტი გააჩნიათ. ეს სხვა, მნიშვნელოვნად უფრო ეშმაკური და ეფექტიანი ფორმაა ექსპლოატაციისა, ვიდრე ის, რომლის აღმოფხვრაც სურდა კ. მარქსს. ის უდავოდ მართალი იყო, როდესაც მიუთითებდა „ზედმეტი ღირებულების“ წყაროს წარმოების სფეროზე, თუმცა, „ზედმეტი ღირებულების“ განაწილება ხორციელდება მნიშვნელოვანწილად ფულის ცირკულაციის სფეროში. დღეს, ეკონომიკური ზრდის ხანგრძლივი პერიოდის დასასრულს და ფულის ოქროს სტანდარტისაგან გამოყოფისას, აღნიშნული უფრო ნათლად ჩანს, ვიდრე მარქსის დროს. დასასრულ მივიღებთ სიტუაციას, რომლის დროსაც სულ უფრო დიდი რაოდენობის ფულის კონცენტრირება მოხდება სულ უფრო მცირე რაოდენობის ინდივიდებისა და ფირმების ხელში. რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის შეფასებით, მსოფლიო

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

მასშტაბით ფულადი ოპერაციების თანხამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა იმ თანხას, რაც პრაქტიკულად აუცილებელია საქონელგაცვლისათვის.¹



მიღებული და გადახდილი პროცენტების შედარება გერმანიაში 2004 წელს.²

პროცენტების, განსაკუთრებით რთული პროცენტების გადახდის მექანიზმი, არა მარტო იწვევს ეკონომიკისა და ფულადი მასის პათოლოგიური განვითარების მექანიზმის ამოქმედებას, არამედ სამართლიანი უფლებების

¹ Helmut Creutz, Wachstum bis zur Krise, Basis Verlag. Berlin, 1986, p. 8.

² Margrit Kennedy: Interest and Inflation Free Money (Published by Seva International; ISBN 0-9643025-0-0; Copyright 2004 by Margrit Kennedy), p. 7.

მაღსაზ ჩიქობავა

საწინააღმდეგოდ მოქმედებს უმრავლეს ქვეყანაში¹. თუ კონსტიტუცია იძლევა გარანტიას, რომ სახელმწიფოს მხრიდან გაწეული ნებისმიერი მომსახურება თითოეული ინდივიდისათვის ერთნაირად ხელმისაწვდომი იყოს, ხოლო ფულადი სისტემა შეიძლება განხილულ იქნეს სწორედ ასეთად, მაშინ ამ სისტემის ფარგლებში არსებული მდგომარეობა, როცა მოსახლეობის 10% მუდმივად ღებულობს სულ უფრო და უფრო მეტს, ვიდრე თავად იხდის მოსახლეობის იმ 80%-ის ხარჯზე, რომელიც შესაბამისად ნაკლებს ღებულობს, ვიდრე იხდის, აბსოლუტურად უსამართლოა.

ამგვარად, ინფლაცია, რომლის მუდმივობა განპირობებულია პროცენტების გადახდის აუცილებლობით, მიუხედავად თავისი სიდიდისა, განაპირობებს რეალური სიმდიდრის შენიღბულ გადანაწილებას ფინანსურად შექცეულთა სასარგებლოდ.

Inflation - the Hidden Mechanism for Real Wealth Redistribution

M. Chikobava

The article analyses public expenditures of inflation and the causes why it's permanent. It is shown that the need of permanent payments of interests causes increasing concentration of money in circulation which doesn't participate in transactions and respectively, in creation of the added values. As a result, concentration of not overstocked extra money in economy causes inflation.

From the author's point of view, inflation, whose permanence is caused by the need of payment of interests, despite its size represents the hidden mechanism for redistribution of real wealth in favor of financially well-off people.

¹ იქვე, გვ. 9.

**ВАЖНЫЕ ПСИХОЛОГИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ
УПРАВЛЕНИЯ
ОБЩЕСТВОМ И ЛИЧНОСТЬЮ**

ЛИЯ СВАНИДZE

Современные руководители в своей повседневной работе с человеком, обществом вооружены интуицией, методом «проб и ошибок» и своим жизненным опытом и, конечно же, психологией управления, в которой большую роль играет психология пропаганды, где указаны основные положения психологии установки относительно факторов человеческого поведения, сформулированные великим грузинским ученым Д. Уznaдзе.

Согласно теории установки, основными факторами, определяющими сознание и поведение человека, являются внешняя среда и потребность индивида. Как известно, каждый индивид характеризуется определенными потребностями, не удовлетворив которые, он не может продолжить жить. Индивид может удовлетворить потребности в своей жизненной сфере, в среде, в которой он возник и сформировался. В процессе своей активности человек теряет энергию, без восполнения которой нарушается его нормальное состояние. Нехватку определенных биологических веществ организм переживает в виде потребностей. При наличии потребностей у индивида возникает беспокойное, тревожное состояние и в случае, если он попадает в ситуацию удовлетворения потребностей, у него создается целостное психическое состояние, именуемое установкой поведения.

Установка представляет собой целостное психическое состояние, настрой индивида на определенное поведение. Когда испытывающий жажду человек видит воду, он направляет свою активность на удовлетворение данной потребности. Для того, чтобы у человека создалась установка на то или иное поведение, у него должна быть потребность в нем и он должен находиться в соответствующей ситуации. Можно сказать, что в случае одно-

временного воздействия внутренних и внешних факторов у человека возникает установка на действие в определенном направлении, которая служит основой его дальнейшего целесообразного поведения.

Для того, чтобы определить вид осуществляемого в каждый данный момент поведения, необходимо охарактеризовать те внутренние и внешние факторы, совокупность которых служит базой возникновения установки и поведения человека.

Список основных факторов, формирующих установку, включает:

внутренние факторы:

1. Фактор потребности: а) узкопонимаемая потребность, потребность в предметах и явлениях; б) цели, к которым стремится человек.

2. Психологический автопортрет. Под ним понимается мнение человека о самом себе, дающее ему стимул к одним действиям и удерживающее от других, не соответствующих, по его мнению, его личности.

Внешние факторы:

3. Предметная действительность. От нее зависит установка какого поведения формируется у человека в каждом отдельном случае. Конкретнее, в этом факторе поведения подразумеваются следующие феномены: а) материальные предметы и явления, которые актуально «здесь и сейчас» воздействуют на индивида; б) абстрактные и общие объекты, переживаемые человеком в виде реально, независимо от него существующих данных; в) эстетические и моральные ценности, дающиеся социально ориентированной личности в виде объективно существующих явлений.

4. Социальные требования – предъявляются человеку: а) общей социально-культурной средой; б) отдельными социальными группами; в) малой образцовой группой, в которой живет личность. Эти требования предъявляются к человеку в виде одного целостного фактора. Однако в том или ином случае один из них приобретает доминирующее значение.

Согласно теории установки, при воздействии на человека указанных внешних и внутренних факторов у него создается целостное личностное состояние, готовность к поведению, дающая определенное направление последующей психологической активности человека.

Одной из трудных и непреодолимых проблем психологии считался вопрос о том, как удастся человеку целесообразно и правильно осуществить поведение даже в том случае, если он об этом особенно и не думает и его сознание не занято выполнением данного поведения. Ни одна из выдвинутых в психологии теорий не смогла удовлетворительно объяснить это. Большой заслугой Д. Узнадзе является то, что именно он совершенно ясно поставил вопрос о механизмах целесообразного протекания поведения, ввел понятие установки, а впоследствии и теорию установки, которая и разрешила указанную проблему.

С возникновением у человека установки особенности его познания, оценки и действия определяются данной установкой. Другая роль и функция установки заключается в человеческой активности. При возникновении у человека установки действия в определенном направлении он под ее влиянием замечает и учитывает лишь те предметы и явления, которые каким-либо образом связаны с этой установкой. Предметы и явления индифферентные, не имеющие значения для установки, остаются незамеченными.

Весьма важен эффект действия установки, касающийся использования прошлого опыта человека. Влияние установки не только определяет выбор, селекцию воздействия среды, но и налагает свой отпечаток на весь прошлый опыт человека. В памяти у человека всплывают только те мысли и содержания сознания, которые находятся в какой-либо связи с его установкой. Таким образом, можно сказать, что под влиянием установки человек из своего внутреннего прошлого опыта произвольно выбирает и ставит в центр своего сознания явления, связанные с его установкой.

Функция установки – выбирать из действительности, окружающей человека и из его прошлого опыта необходимые для осуществления поведения объекты, содержания сознания, его опыт и знания в целом. Таким образом, установка создает психологическую основу приспособления человека к окружающей среде и его преобразования согласно надобности.

Как уже было сказано, установка или ориентирует человека на определенные предметы или, наоборот, помогает уклониться от них. Это двоякое направление установки часто совершенно не осознается человеком, но у него может быть положительное или отрицательное отношение к объектам. Такое отношение, как правило, бывает ситуативным, моментальным, но оно может зафиксироваться и стать хроническим.

В первую очередь, для овладения искусством управления нужно разобраться в таких понятиях, как личность, общество, власть, авторитет, межличностные отношения, стиль руководства и лидерство.

В этих вопросах социология и психология накопили солидный объем знаний, которые могут быть полезны руководителю в его деятельности.

Личность человека, его внутренний мир, мотивы поведения весьма сложны и противоречивы. Каждый человек как существо социальное, обладает не только своими индивидуальными особенностями, своей эмоциональной, интеллектуальной и психологической неповторимостью, наследственной или приобретенной, но и отражает характерные черты своего социума.

Говоря об индивидуальных неповторимых особенностях, которые часто проявляются с годами, хотелось бы привести, как примеры, великих, всемирно известных мыслителей, которые с накоплением опыта и наблюдений создали бессмертные творения.

Возраст – это опыт, мудрость, всесторонняя оценка событий, привычка преодолевать трудности, во многом философская оценка жизни, концентрированный максимум мозговой деятель-

ности, привычка к правильной и занятой с утра до вечера жизни. Л.Н. Толстой в возрасте от 41 года до 78 лет написал «Войну и мир», «Анну Каренину», «Крейцерову сонату», «Воскресенье». Лучшие вещи Гайдн сочинил на 67-м и 72-м году жизни: «Сотворение мира» и «Времена года». Всемирно известная «Джоконда» создана Леонардо да Винчи, когда ему было 67 лет, а «Фауст» был написан 82-летним Гете¹.

Одним из первых попытался всесторонне исследовать личность и глубинные мотивы поведения человека австрийский врач-психиатр Зигмунд Фрейд (1856-1939), основоположник теории психоанализа. Он считал, что каждое психическое явление имеет в своей основе определенную причину, желание, интерес и что поведение человека во многом зависит от бессознательных процессов. Опираясь на этот постулат, Фрейд определил три уровня психической деятельности: сознание, подсознание и бессознательное – закрытый от личности и наиболее сложный уровень.

Сознание – высшая форма интеллектуальной и психической деятельности человека, отражающая условия материальной и духовной жизни общества и формирующая отношение личности к социуму. Благодаря сознанию человек способен отразить явления окружающего мира в мышлении и скоординировать свое поведение. Важнейшим способом защиты психики от перегрузок и влияния негативных факторов является их вытеснение в область подсознания.

На подсознательном уровне психики формируются привычки личности, ее влечения, страсти, манера поведения, нереализованные, иногда неосознанные желания, амбиции, интуитивные опасения. Эти нереализованные тайные желания, стремления, завышенные претензии определяются термином «комплексы» (неполноценности, нарциссизма, Наполеона, Эди-

¹ И. Имедадзе, История психологии, Тбилиси, 2008, с. 396 (на грузинском языке).

ЛИЯ СВАНИДЗЕ

па и т.п.) и оказывают значительное влияние на социальное поведение личности. Подавляемые комплексы могут вырваться наружу в экстремальных ситуациях: аффект, паника, мнимая или явная угроза.

Психическая жизнь личности – это поле борьбы трех взаимосвязанных инстанций:

- «Оно» (id) как источник агрессивных или сексуальных желаний, требующий немедленного удовлетворения интересов личности любым способом, вплоть до преступного. Практически каждый человек, совершивший дурной поступок, пытается найти оправдание или повод для смягчения своей вины, и здесь срабатывает механизм психологической защиты, основные элементы которой: сублимация, т.е. определение новой цели взамен недостигнутой; рационализация, т.е. поиск своих действий при невозможности достичь цели; подавление желания и т.д.

- «Я» (ego) обеспечивает ориентацию на реальный внешний мир, гармонию между потребностями личности и нравственными законами. «Я» формирует также собственные этические поведенческие принципы. Если же по каким-либо причинам у человека развивается комплекс неполноценности, то появляется преувеличенная потребность в самоутверждении, например, в неограниченной личной власти (Нерон, Наполеон, Гитлер).

- «Сверх-Я» (superego), система этических, нравственных принципов, заповедей, правил поведения, стремление к нравственному совершенствованию, совесть, собственно сознание человека. Важнейшая задача порядочного, честного человека – настойчивое, постоянное развитие своего superego.

Человек постоянно ищет компромиссы между своими бессознательными, глубинными влечениями и нормативно приемлемыми формами их реализации. Основные влечения создают фундамент интеллектуального и духовного потенциала личности, мотивационную базу для его действий. являются основным источником его творческой активности.

Если человек лишился социальной поддержки, если поте-

რანი привычные для него ориентиры, то дает о себе знать система психологической защиты, действующей на уровне бессознательного. Человек как бы снимает с себя ответственность за свою судьбу и передает тяготы принятия решений другому человеку, а иногда Богу.

К. Юнг, А. Адлер, Э. Фромм и другие доказывали, что поведение личности объясняется не только психофизиологическими, но и социальными факторами¹.

С начала XX века психоанализ стал завоевывать основные стороны общественной жизни мира, и в первую очередь в сфере политики и бизнеса. Была разработана технология информационного воздействия на общество, что дает возможность удовлетворения спрятанных в подсознании людей скрытых желаний, о наличии которых они могут даже не догадываться.

Швейцарский психолог Карл Густав Юнг (1875-1961) – основатель политической психологии, является автором учения о «коллективном бессознательном», т.е. о том комплексе знаний, который накоплен человечеством и передается от одного поколения к другому («генетическая память»).

Юнг утверждал, что поведение человека определяется не только его желаниями, но и системой целей, выработанной его опытом, его жизнью. Он ввел понятия психологических типов личности: «архетипы» (врожденные особенности психического постижения объекта, мотивы, связанные с опытом предков), «экстраверты» (ориентация на внешний, реальный мир) и «интраверты» (ориентация на свой внутренний, духовный мир).

Следует отметить, что психика каждого человека наделена и экстраверсией и интраверсией. Только перевес того или другого определяет мыслительный тип личности. Архетипы, отражающие, по мнению Юнга, древнейший опыт человечества, его традиции, мифы, были особенно популярны в начале XX века.

А. Адлер считает, что, стремясь к достижению своих жиз-

¹ И. Имедадзе, История психологии, Тбилиси, 2008, с. 408, 416 (на грузинском языке).

ЛИЯ СВАНИДЗЕ

ненных целей, человек должен и способен преодолеть присущий ему комплекс неполноценности, преодолеть зависимость от негативных проявлений бессознательного.

Современные направления психологии дают важную роль защиты и сопротивления как основных способностей личности, позволяющих ей преодолеть состояние стресса в конфликтных ситуациях и сохранить разумный баланс между «Оно» и «Я».

Исходя из вышеизложенного, вся наука о поведении человека (бихевиористика, термин предложен Д. Уотсоном от слова behavior – поведение), не дают специалистам в области управления готовых рецептов на все случаи жизни, но могут подготовить их к пониманию неадекватных, алогических поступков своих коллег и оппонентов, вскрыть глубинные, а иногда подсознательные причины странного, непредсказуемого поведения людей.

Опытному человеку много скажет самое первое знакомство с человеком, самый поверхностный взгляд: о культуре, образовании, воспитанности, интеллекте человека.

Каждый человек имеет свою неповторимую индивидуальность, которая проявляется в его взаимоотношениях с другими людьми, в его реакциях на внешнюю среду. Эти индивидуальные особенности поведения, интенсивность, ритм, темп психических процессов личности называют темпераментом. Все люди подразделяются на четыре психологических типа:

- сангвиники – высокая психическая активность, энергичность, работоспособность, быстрота и живость движений, разнообразие и богатство мимики, быстрый темп речи. Сангвиник стремится к частой смене впечатлений, легко и быстро отзывается на окружающие события, общителен. Эмоции преимущественно положительные – быстро возникают и быстро сменяются. Сравнительно легко и быстро переживает неудачи, возбудительный и тормозной процессы достаточно сильны, уравновешенны и подвижны;

- холерики – быстрая эмоциональная реакция на внеш-

ნე раздражители, ярко выражающаяся в мимике, жестах, речи, слабая система торможения, неуравновешенность;

- флегматики – медлительные, спокойные, уравновешенные, серьезные, медленно перестраивающиеся, не любящие менять свои привычки, слабо проявляют свои чувства;
- меланхолики – малообщительные, впечатлительные, часто не верят в свои силы, обидчивы, склонны к депрессии, настроениям грусти, подавленности, сдержаны в выражении своих чувств.

В будничной жизни чаще встречаются различные комбинации этих типов темперамента. В различных ситуациях человек может быть и холериком, и флегматиком, но ведь именно в этом и состоит обаяние личности.

Темперамент определяется врожденным типом нервной системы. Основными функциями психики человека являются мышление, эмоции, ощущения, интуиция. В психологии уже давно ведется дискуссия о том, что больше определяет личность человека – врожденные психологические особенности или окружающий мир. Несомненно, что воспитание, обучение, вся окружающая среда оказывают существенное влияние на формирование личности. Каждый человек ежедневно играет определенные роли, старается найти в изменчивой ситуации именно ту роль, которая поможет ему лучше приспособиться к требованиям общества, облегчит контакты с другими людьми.

К сожалению, эти роли могут вступать в конфликт между собой, но человек должен знать их особенности и уметь вжиться в каждую из своих ролей. Неслучайно латинское слово *persona* (личность) имеет еще одно смысловое значение – маска.

Специалисту в области социального управления приходится работать не только с яркими, одаренными личностями, но и, к сожалению, с психически неуравновешенными, умственно отсталыми людьми. Важно в любой жизненной ситуации своевременно определить психологический и интеллектуальный тип человека и уметь разумно строить взаимоотношения с ним.

**Important Psychological Issues in Managing Society
and Individuals**

L. Svanidze

Management which includes intended, purposeful and advisable influence on the controlled subject includes a big number of means and possibilities needed for management. This mainly depends on large quantity and unlimited variety of the objects to be controlled as well as on multiplicity of situations and environments where the objects have to be controlled. Therefore the process of controlling has general and specific regularities, which makes a very complicated process of controlling a bit easier.

Based on high qualification and professional knowledge of the given subject Prof. Lia Svanidze, the author of the article suggests several ways of solving some of the important issues of psychological problems of management. She regards, that for any manager (be it a king, a president or a general manager) in order to master the art of management besides intuition, experience and special education it is important to have a deep knowledge of psychology as psychology according to the words of Jean Piaget is “Axis of the Galaxy of Science”.

The author believes that first of all a specialist of management should know the attitude of the object to be controlled, as well as human nature and motives of action, which are complex and controversial. The reason of such actions could be deeply private and sometimes even unintentional. The management specialist should know the unlimited abilities of the consciousness, human nature details and temperaments as well as the main idea of psychology so he/she can differentiate normal and abnormal and they should use all this knowledge and skills to do his/her work.

In order to make her ideas clear, the author in a very short and interesting way discusses important ideas of Dimitri Uznadze, Sigmund Freud, Carl Jung, etc.

**წმინდა ბაბრიელ ეპისკოპოსი
სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის
შესახებ**

**ბიორგი შიხაშვილი,
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი**

ზოგადსაკაცობრიო სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა საგანძურში ზეადმატებული ადგილი უკავია ბიბლიას და მასზე დაფუძნებულ ქრისტიანულ რელიგიას.

ბიბლიაში ასახულია მთელი სამყაროს და მისი ყოველი შემადგენელი ნაწილის (მათ შორის, ეკონომიკის) საწყისი, ისტორიული წარსული, აწმყო და მომავალი, საზოგადოებრივი განვითარების, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობისა და ყოველი ინდივიდის არსებობის ზოგადი კონცეპტუალური საფუძველი და პრაქტიკული მოქმედების მეთოდოლოგია.

ბიბლიის სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრება უფლისმიერად დადგენილ-მოწოდებულია თეორიულ-მეთოდოლოგიურად და პრაქტიკულად უზრუნველყოს საზოგადოების ღვთივსულიერ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველოს რეალური პროგრესისათვის აუცილებელია ბიბლიური და რელიგიურ-ეთიკური პოზიციებიდან გავიაზროთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებები. საჭიროა ქართული ტრადიციული მსოფლმხედველობისაკენ შემობრუნება და თანამედროვეობასთან ჰარმონიულად შეხამებული ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის აღორძინება-განვითარება.

თანამედროვე საქართველოსთვის ისტორიული მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ეკონომიკური და სამეურნეო-მმართველობითი პრობლემების გადაჭრას ეროვნულ-სარწმუნოებრივი და ზოგადსაკაცობრიო მსოფლმხედველობის ჰარმო-

ნიული ურთიერთშეთანაწყოების საფუძველზე.

საზოგადოების წინსვლის ჭეშმარიტი გზა უფალთან ყოფნა და მეურნეობის ტრადიციული და თანამედროვე პრინციპების ორგანული დაკავშირებაა, რაც საქართველოს ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველს და გარანტიას წარმოადგენს.

თეოლოგიურ-ეკონომიკური ხასიათის მეცნიერული კვლევებისა და პრაქტიკული გზების დასახვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წმინდანების ცხოვრებასა და შემოქმედებაში ასახული სამეურნეო-მმართველობითი საკითხების შესწავლას.

აქედან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ მეტი ყურადღება დავუთმოთ ამ სფეროს გამოკვლევას, კერძოდ, გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას. წინამდებარე სტატია ამ მიზნის ხორცშესხმის გზაზე ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს.

ეკონომიკურ საკითხებზე ბევრს წერდნენ წმინდანები, ეკლესიის მამები, ღვთისმეტყველები. მათგან აღსანიშნავია წმ. ბასილი დიდის, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის, წმ. იოანე ოქროპირის, წმ. ანტონი დიდის, კლიმენტი ალექსანდრიელის და სხვათა ნაშრომები.

საზოგადოებრივი განვითარების პრობლემებს და, კერძოდ, სამეურნეო-მმართველობით საკითხებს სათანადო ყურადღებას უთმობდნენ თავის შემოქმედებასა და პირად ცხოვრებაში ქართველი წმინდანები, სასულიერო პირები, ღვთისმეტყველები. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს წმინდა გაბრიელი, იმერეთის ეპისკოპოსი.

წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ერისკაცობაში – გერასიმე ქიქოძე) დაიბადა 1825 წლის 15 ნოემბერს ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში. გურიის მთავრის, მამია გურიელის კარის მოძღვრის მაქსიმე ქიქოძის ოჯახში.¹

1840-45 წლებში გაბრიელი სწავლობდა თბილისის, შემ-

¹ წმინდა მღვდელმთავრის ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები იხილეთ: 1) გ. კოპლატაძე. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბ., 2001, გვ. 151-159; <http://www.orthodoxy.ge/tveni/ianvari/25-gabriel.htm>

დევ ფსკოვის და ბოლოს, პეტერბურგის სემინარიაში. 1849 წელს დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია მაგისტრის ხარისხით. ამავე წელს დაოჯახდა და დაბრუნდა საქართველოში. 1849 იგი წელს დაინიშნა თბილისის სემინარიის ინსპექტორად, 1854 წელს ეგზარქოსის მიერ ხელდასმულ იქნა დიაკვნად, შემდეგ კი - მღვდლად.

1856 წელს მას თავს დაატყდა უბედურება: გარდაცვალა მეუღლე და ხუთი შვილი. ამ ტრაგედიის შემდეგ მამა გაბრიელი ეგზარქოს ისიდორეს ლოცვა-კურთხევით ბერად აღიკვეცა დავით გარეჯის მონასტერში. 1858 წელს გაბრიელი მონასტრის წინამძღვრად გაამწესეს. იმავე წელს გადაიყვანეს გორის ეპისკოპოსად, ხოლო 1860 წლის 2 ივლისს იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსად ეკურთხა და გარდაცვალებამდე ამ სამწყსოს მღვდელმთავარი იყო. 1869 წელს მის განმგებლობაში შევიდა აფხაზეთის ეპარქია, ხოლო 1873 წელს მას მიემატა სამეგრელოს ეპარქია.

მრევლის განათლების მიზნით მეუფე გაბრიელი ხშირად მოგზაურობდა ეპარქიის ფარგლებში. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხთან პირად შეხვედრას და საუბარს. როგორც პედაგოგმა და მოძღვარმა, მან იცოდა ზნეობრივი აღზრდის საშუალებები. კეთილი, ჯანსაღი და ზნეობრივი ცხოვრების საუკეთესო საშუალებად ის თვლიდა გონეობრივი და ფიზიკური შრომის ერთმანეთთან შენაცვლებას. ამ წესს იგი თვითონაც მკაცრად იცავდა: ჭრიდა შეშას, თოხნიდა, პირუტყვს საზრდოს უზიდავდა, ქათმებს აპურებდა. ახალი ტაძრების მშენებლობის დროს ხშირად თვითონ იყო არქიტექტორი, სოფელ-სოფელ ეძებდა კარგ ოსტატებს, ზრუნავდა წესრიგზე. ეპისკოპოსი გაბრიელი მხოლოდ პირადი ღირსეობით შემკულ ხალხს აკურთხებდა ეკლესიის მსახურებად და არ უწევდა ანგარიშს არც თავადს, არც მთავარსა და არც გუბერნატორს. ცნობილია, თუ როგორ შერისხა მან გრაფი ლევაშოვი სასულიერო საქმეებში უხეში ჩარევის გამო.

ეპისკოპოსი გაბრიელი იყო საოცარი მოწყალე და ქველმოქმედი, თავისი სამწყსოს ქვრივთა და ობოლთათვის ლუკმის მიმწოდებელი. იგი ღრმად თანაუგრძნობდა მდაბალ

გიორგი შიხაშვილი

ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას, მრავალ მოსწავლეს უწვდიდა დახმარების ხელს, საკუთარ სახლში ინახავდა და სწავლის ქირასაც უხდიდა, ამ ყმაწვილებთან სადილობდა და ბაასობდა იმ მიზნით, რომ მათში გაეღვიძებინა კეთილშობილური აზრები.

მეუფე გაბრიელი ერთ-ერთი მხურვალე დამცველი იყო ქართული ენისა, რომელიც XIX საუკუნეში გადაგვარების მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

1890 წლის 21 ნოემბერს, ი. გოგებაშვილის წარდგინებით, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, რომელსაც ამ დროს წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) თავმჯდომარეობდა, გაბრიელი ქართველ ხალხში განათლების შეტანის საქმეში ფრიად დიდი დამსახურების გამო საზოგადოების საპატიო წევრად აირჩია.

1896 წლის 25 იანვარს მღვდელმთავარი გაბრიელი გარდაიცვალა.

წმ. გაბრიელი იმ მცირერიცხოვან ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც ერის ზნეობრივ სახეს ქმნიან და რომელთაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ქვეყანას, რათა შეგვახსენოს, რომ წარმატად ფასეულობათა გარდა არსებობს მარადიული და წარუვალი ფასეულობებიც და სათნობათა გამოუთქმელ სილამაზეს ცოცხალი მაგალითებით გვაზიარებს.

წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი პირველად ქუთაისში დაიბეჭდა ორ ტომად 1913 წელს¹. ეს არის ქართული საღვთისმეტყველო სკოლის, კერძოდ კი, ქართული ჰომილეტიკის საუკეთესო ტრადიციების შესანიშნავი გაგრძელება. ამასთან დაკავშირებით პროფესორი გვანცა კოპლატაძე აღნიშნავს, რომ წმინდა მღვდელმთავრისა და მეცნიერის „ქადაგებებიცა და „ცდისეული ფსიქოლოგიაც“, რომელიც პირველად 1858 წელს გამოქვეყნდა რუსულად,² კიდევ ერთი

¹ წიგნი რეპრინტულად გამოსცა 1989 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“.

² ქართულ ენაზე წიგნი გამოიცა შემდეგი სახელწოდებით: წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი. ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბ., 1993.

დადასტურება იმისა, რომ რწმენასა და მეცნიერებას შორის არსებული დაპირისპირება ძალად შექმნილი და ხელოვნურია და რომ სინამდვილეში ისინი ერთმანეთს ეხმარებიან და ავსებენ: მეცნიერული ცოდნის გარეშე რწმენას სიმტკიცე აკლია, ხოლო მეცნიერება რწმენის გარეშე მკვდარია“.¹

მღვდელმთავრის დიდ ღვაწლს სათანადოდ აფასებდა იმდროინდელი მოწინავე საზოგადოებრიობა, რასაც ადასტურებს ამონარიდი წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძე) სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა გელათის მონასტერში 1896 წელს გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის დღეს: „მე მსურს მხოლოდ აქ აღვნიშნო ერთი იმისთანა მხარე ამ დიდებული კაცისა, რომელშიაც არის, ჩემის ფიქრით, სხვათა მრავალთა შორის, ერთი მისი დიდი მნიშვნელობაცა. არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, – საერო, თუ სამღვდლო, – რომლის გულშიაც მომეტებული მშვიდობის-ყოფით, მომეტებულის და-ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმად-მიწვეწული მეცნიერი იყო და იმოდენავე ღრმად მორწმუნეცა, აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიან, იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა.

...იმისთანა სიბრძნეს სწავლობდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორც ნიუტონი და სხვანი მისებრნი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი.

მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრისა რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება – მეცნიერებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა, თუ ასე ითქმის, და მთელი სიბრძნე მისი ამაშია გამოსახული.

... ეს იყო მისი სიმბოლო, ეს იყო მისი განათლებული

¹ გ. კოპლატაძე. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი. წიგნში: საქართველოს კლესიის კალენდარი. თბ., 2001, გვ. 159.

რწმენა, ეს იყო მისი გამეცნიერებული სარწმუნოება და გა-
სარწმუნოებელი მეცნიერება“.¹

ბუნებრივია, რომ ასეთი მღვდელმთავარი და მეცნიერი უყურადღებოდ არ დატოვებდა ისეთ მნიშვნელოვან სფეროს, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ქრისტიანული გააზრებაა. ასეთ საკითხებს იგი სწორედ სარწმუნოების, მეცნიერების, ერის საჭიროებათა გათავისებისა და დაუღალავი სულიერი და ხორციელი შრომის აუცილებელი ურთიერთშეხამების კუთხით უდგებოდა და ამის საფუძველზე სამწესოს მაშინდელ რთულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ვითარებაში ზნეობრივი ცხოვრებისა და ღვთივსულიერი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის გზებს ასწავლიდა.

წმ. გაბრიელ ეპისკოპოსი ბევრს ქადაგებდა და წერდა სამეურნეო-მმართველობითი საკითხების ქრისტიანული გააზრების შესახებ. ბედნიერების საფუძველად მას ადამიანის დაუცხრომელი სულიერ-ხორციელი შრომა და ძალისხმევა მიაჩნდა: „...ხორციელსაცა და სულიერსაცა წარმატებასა და ბედნიერებასა აქვთ ერთი და იგივე საფუძველი – შეურყეველი მხნეობა და დაუძინებელი შრომა სულიერი და ხორციელი. შეიძინე ესენი თუ გსურს ბედნიერება. ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო, განამტკიცე ჩვენს გულში ეს მხნეობა, განადვილე ჩვენს შორის შრომის მოყვარება, გვყავ სულიერადაც ხორციელედაც წარმატებულნი და გაბედნიერებულნი“.²

ქვემოთ გადმოვცემთ წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის თეოლოგიურ-ეკონომიკური და სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრების უმთავრეს პარადიგმებს და კონცეპტუალურ მონაზრებებს:

1. ანგარიშის შედგენით გონიერი კაცი მოიმატებს გამოცდილებასა, იგი შეიტყობს, რა შეეწევა მის საქმის წარმატებასა, და რა დააბრკოლებს მას, და ესრეთ მომავლის წლისათვის საქმეს უმჯობესად დააწყობს. საუბედუროდ ჩვენ ყოველთა, გვავიწყდება ერთი ანგარიში, რომელიცა უსაჭი-

¹ ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. I, ქუთაისი, 1913, გვ. 12-13.

² იქვე, გვ. 454.

როესია და უმეტესად სასარგებლო არის თვითუელისათვის; რომელი? ქრისტიანული ზნეობითი ცხოვრების და ყოფა-ქცევის ანგარიში წარსულის წლის განმავლობაში. ...ესრეთი ანგარიში უმეტესად სასარგებლო იქნება შენთვის, ვიდრე სხვანი, ვინაიდან ადამიანის ყოველი საქმის და შრომის წარმატება დამოკიდებულია შინაგანთა მისთა თვისებათა და მიდრეკილებათა ზედა. კეთილ გონიერი ქრისტიანე ყოველ საღამოს გამოიკვლევს თავის სუდიერს მდგომარეობასა, შენ წელიწადში ერთხელ მაინც აღასრულე ეს სასარგებლო საქმე.¹

2. უკეთუ შენ ხარ ვაჭარი, როდესაც იწყებ შენი ვაჭრობის ანგარიშის შედგენას, მაშინ ისიც ჰკითხე შენ თავს: რა სახით აწარმოებდი ვაჭრობასა, სიმართლით, თუ მოტყუებით? აღებ-მიცემაში გახსოვდა შენ, რომ სჯული შენი ყოველ საქმეში მოითხოვს სიმართლესა და პატიოსნებასა, ანუ სამწუხაროდ, შენ მხოლოდ იმას ფიქრობდი, რაც შეიძლება და რა სახითაც შეიძლება მომეტებული მოგეგო, ერთი სიტყვით, გახსოვდა შენ, რომ კაცი ჯერეთ უნდა იყოს ქრისტიანე და მერმეთ ვაჭარი?²

3. თუ ხელმწიფის სამსახურში ხარ, როდესაც შეადგენ შენი სამსახურის ანგარიშსა, მაშინ ესეც ჰკითხე შენს თავს: როგორ ასრულებდი სამსახურსა, კეთილ-სინდისიანად, ანუ ბრუნდეთ? საქმის წარმოებაში შენ, იქნება გახსოვდა მართო ფორმა, ანუ გარეგანი სახე საქმისა და არა შინაგანი მისი მნიშვნელობა? შენ, იქმნება იმას ცდილობდი, რომ შენთა უფროსთა თავი მოაწონო და ჯილდოები მიიღო, და არა იმას, რომ მოყვასთა შენთა მისცე სარგებლობა და შემწეობა? ერთი სიტყვით, იქნება, შენ დაგავიწყდა, რომ კაცი პირველად უნდა იყოს ქრისტიანე და მერე სამსახურის აღმასრულებელი, ანუ უმჯობეს არს, ქრისტიანობა და სამსახურის აღსრულება ისე განუყოფელად უნდა იყოს შეერთებული შენში, რომ ერთი მეორეს დაამშვენებდეს.³

¹ იქვე, გვ. 12-13.

² იქვე, გვ. 13.

³ ქალაგბანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. II, ქუთაისი, 1913, გვ. 13-14.

4. უკეთუ შენ ხარ მასწავლებელი, ესე იგი გყვანან მოწაფენი, რომელთა შენ ასწავლი ანუ წიგნსა, ანუ რომელსამე ხელობასა, მაშინ უფრო ფიცხელი და პირ-მოუთნელი ანგარიში უნდა მისცე შენ სინიდისსა. რა სახით ასრულებდი ამ მოვალეობას წარსულის წლის განმავლობაში? გახსოვდა შენ ყოველთვის, რა დიდი საქმე არის მოწაფის გაზრდა, რა მძიმე პასუხს მოითხოვს ღმერთი მასწავლებლისაგან? მასწავლებელმა მარტო წიგნი, ანუ ხელობა კი არ უნდა ასწავლოს მოწაფესა, არამედ, უწინარეს ყოველთა, პატიოსნება, შრომის მოყვარეობა, ერთი სიტყვით, ქრისტიანობა.¹

5. ანგაარი კაცი ოდესაც იღებს ქრთამს, ფიქრობს, ბედნიერი და დიდი კაცი შევიქმნებიო. გარნა იმასაც მიხედუ, რასა იტყვის მაცდუნებელი: უკეთუ თაყვანის მცე მე, ესე ყოველი მოგცე; მაშასადამე ყოველი ცოდვის აღსრულება არს ეშმაკის თაყვანის-ცემა; ყოველი სარგებლობა და კმაყოფილება გამოძავალი ცოდვისაგან, ეშმაკის მსახურება არის, მაშასადამე ღვთის უარის ყოფა.²

6. სულიერი სიმდიდრე ემსგავსება ხორციელს სიმდიდრესა: თუ ვაჭარი კაცი არ ცდილობს, რომ ყოველთვის ცოტ-ცოტა მაინც დაუმატოს თვისსა სიმდიდრესა, ბოლოს იგი სრულიად გადარიბდება. ეგრეთვე, თუ ქრისტიანი არ ცდილობს, რომ თან და თან უმჯობესი შეიქმნეს, ბოლოს უარესი შეიქმნება და წარწყმდება.³

7. შეიძლება, ძმანო ჩემნო საყვარელნო, კაცმა ამ სოფელში ყოველი თვისი სოფლიური საქმე ისრედ დააწყოს, რომ ყოველი მისი შრომა და მოქმედება გადაიქცეს ღვთის-მსახურებად; ისიც შეიძლება, რომ ყოველი მისი ცხოვრება იყოს მსახურება და მონება მამონისა. ვაჭარი, რასაკვირველია თავისი გამდიდრებისთვის ვაჭრობს და იღწვის; გარნა უკეთუ იგი ვაჭრობს სიმართლით და პატიოსნებით, სიმდიდრეში არ არის ამპარტავანი, სიღარიბეში არ არის სულმოკლე, არამედ ესავს უფაღსა, მონაგებისაგან თვისისა განუყოფს რასმეს

¹ იქვე, გვ. 14.

² იქვე, გვ. 21.

³ იქვე, გვ. 154.

გლახაკსა და ობოლსა, – ვაჭრობა მისი შეირაცხება ვითარცა მსახურება ღვთისა. ჩინოვნიკი ემსახურება და შრომას სწევს ჯამაგირისათვის და ჯილდოსათვის, გარნა უკეთუ იგი ემსახურება სიმართლით და პატიოსნებით, მსახურება მისი შეირაცხება, ვითარცა მსახურება ღვთისა.¹

8. სამთა ეგოდენ დიდთა სათნოებათათვის, ვითარცა ღვთის პატივის-ცემა, ეკლესიის შემეკობა, ობლების გამოზრდა, არა თუ განხრწნადი ფულის გამოღება არ უნდა გემძიმებოდეს, არამედ თავისა შენისა სიცოცხლე არ უნდა დაზოგო.²

9. მხოლოდ ის სიმდიდრე არის მკვიდრი და მაგარი, რომელიც კაცმა მიიღო ერთითა პატიოსნითა შრომითა.³

10. ერთი მეორეს შური ქვეყანას ვერ გააკეთებს, ბედნიერება ქვეყნისა აშენდება მხოლოდ სწავლითა, შრომითა, პატიოსნებითა. ქვეყანა გაძლიერდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მცხოვრებნი ერთი მეორეს არ უშლიან, არამედ, ხელს უწყობენ.⁴

11. ჩვენ ქრისტიანენი ვართ, და ვითარცა ქრისტიანეთა უდიდესი ფასი უნდა მივაწეროთ იმ მაგალითსა, რომელსაც გვიჩვენებს საღმრთო ისტორია. მოვიყვანოთ აქედგან მაგალითი: მაცხოვარი იესო ვიდრე სრულ ჰასაკის მოსვლამდე და სახარების ქადაგების დაწყებამდე სცხოვრობდა იოსებ ხუროს სახლში და ეხმარებოდა მას ხურობაში. უდიდესი მოციქულთა შორის პავლე, როდესაც თავისუფალ დროს იპოვინდა ქადაგებიდგან, იწყებდა თავისი ხელითა კერვასა ბამბის კარვებისასა და იქიდგან ირჩენდა თავის თავსა. უმაღლესნი მამათა შორის, ვასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი, იოანე ოქროპირი, თავისუფალი რომ იქნებოდნენ ეკლესიის მსახურებისაგან, აღიღებდნენ ბარსა და თოხსა და შეუდგებოდნენ მიწის კეთებასა, ესენი ყოველნი

¹ ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. II, ქუთაისი, 1913, გვ. 232-233.

² იქვე, გვ. 150..

³ იქვე, გვ. 379.

⁴ იქვე.

დამამცრომეჲად არ რაცხდნენ ესრეთსა მუშაობასა. მოკლედ: განვაგდოთ გულისაგან ის ცრუ, ცბიერი და მზაკვარი ჰაზრი, ვითომც მუშაობა იყოს კაცის ღირსების დამამდაბლებელი. ბედნიერი არის ქვეყანა, რომელსა შინა ყოველი მცხოვრები, დიდნი და მცირენი, არიან შრომის მოყვარენი; თავის შრომაზე და მეცადინეობაზე აქვთ იმედი და მათგან ელიან წარმატებასა. საწყალი და საბრალო არის ის ქვეყანა, სადაცა უმრავლესნი პირნი შესჩერებიან და უმზერენ მთავრობასა და ყოველი იმედი ბედნიერებისა და წარმატებისა დაუღვიათ ჩინებზე, ჯამაგირზე, ჯილდოზე, ხოლო შრომასა და მუშაობასა შეურაცხ-ჰყოფენ და უკადრისობენ. ღმერთო, განაძე გულისაგან ჩვენისა ყოველი ცრუ ჰაზრი, მოგვეც მხნეობა, დაჰბადე ჩვენს შორის სული შრომისა და მოღვაწეობისა! ამინ.¹

12. ღვთისნიერად იქცევა კაცი, რომელსა აქვს გულში ჭეშმარიტი სასოება და სარწმუნოება. თუ მდიდარი არის იგი, არ განკლადდება, არ დაივიწყებს თავსა თვისსა. სიმდიდრე მას არ გააფუჭებს: მას ყოველთვის აქვს სახეში მომავალი საუკუნე და ეშინია, რომ არ მოაკლდეს მას, და ჰცდილობს თვით სიმდიდრე თვისი მოიხმაროს ამ საქმისათვის. თუ იგი არის ღარიბი, მაშინ იგი არ შთავარდება სასოწარკვეთილებასა შინა, არამედ სცდილობს, რომ, რაც შეუძლია და რითაც შეუძლია, სათნო-ყოს ღმერთსა. მაშასადამე, ნუ იფიქრებ, რომ მდიდარი წარწყმდა მხოლოდ მისთვის, რომ სიმდიდრე ჰქონდა, ანუ ღარიბი სცხონდა მარტო სიღარიბით. სიმდიდრე თავის თავად ვერც აცხოვნებს, ვერც წარწყმედს კაცსა, არამედ მოხმარება სიმდიდრისა; მზგავსადვე სიღარიბე. სულის ცხოვნება დამოკიდებულია სასოებასა და სარწმუნოებასა ზედა. ვისაც ესენი აქვს გულში ცხოველად, იგი სიმდიდრესაც მოიხმარს ცხოვნებისათვის და სიღარიბესაც.²

13. მართალია, ძმანო ჩემნო, დაწინაურებულნი საზოგადოებასა შინა, ანუ სიმდიდრითა, ანუ სწავლითა, ანუ ხა-

¹ ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. I, ქუთაისი, 1913, გვ. 186.

² იქვე, გვ. 357.

რისხითა, უდიდესსა სარგებლობასა უნდა აჩვენებდენ ქვეყანასა. გარნა რაც გინდა წვრილი და მდაბალი იყოს ადამიანი, მაინც შეუძლია მცირე სარგებლობა მისცეს ქვეყანასა. ისიც დიდი სარგებლობა იქმნება, თუ იგი არის შრომის მოყვარე! ისიც კეთილია, თუ მარტო თავის თავს არჩენს.¹

14. რაც გინდა მდიდარი იყოს კაცი, მაინც არ უნდა დაუტევოს შრომა. წინააღმდეგ ამისა, თუ მან განისვენა, იგი ზარმაცდება, მიეჩვენება უქმობასა და უქმობა შთააგებს მას მრავალთა ცოდვათა შინა და ბოლოს სიმდიდრესაც დაჰკარგავს იგი და ყოველსა სულიერსაცა ღირსებასა. ...იგი თვის სიცოცხლეს და სიმდიდრეს ისრე უნდა უყურებდეს, ვითარცა ღვთისაგან დროებით მიბარებულს ნიჭსა, რომელსა ზედა ღმერთი ანგარიშს მოსთხოვს მას. როდესაც მდიდარსა და შემძლებელს კაცს აქვს ესრეთი ჰაზრი, მაშინ იგი ვედარ გაჰბედავს, რომ სიმდიდრე მოიხმაროს ჭამისა, სმისა და ლხინისათვის; არამედ სცდილობს, რომ მოიხმაროს იგი, როგორადაც იამება მას, ვინც მიაბარა იგი დროებით, ესე იგი ზეციერსა მამასა ჩვენსა.²

15. შენ თხოულობ პურსა არსობისასა და ამასთანავე ბოროტად ხმარობ იმასაც, რაც გაქვს, რაც მოვცა კიდევ ღმერთმა; ერთ საღამოს დახარჯავ იმდენს, რაიცა ათს სულს გლახაკს მრთელი წელიწადი გამოზრდიდა. შენ ყელამდი სავსე ხარ ყოვლითა სიკეთითა და მახლობლად შენი სახლისა ზოგიერთნი შიმშილით კვებიან. შენ არ შრომობ, უქმად ატარებ შენს დღეს, თუმცა შენც მოვალე ხარ, „მზგავსად სხვათა კაცთა ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა“.³

ჩვენ მიერ გადმოცემული მნიშვნელოვანი საკითხების გააზრებასა და შესაბამისი პრობლემების გადაჭრას დაუთმოდ დიდი ყურადღება თავის ცხოვრებასა და შემოქმედებაში წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსმა. მის მიერ გამოკვლეულია

¹ იქვე, გვ. 350.

² იქვე, გვ. 394-395.

³ ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. II, ქუთაისი, 1913, გვ. 9-10.

სოციალური და სამეურნეო-მმართველობითი საკითხების მთელი წყება, სახელდობრ: შრომა, ქველმოქმედება, ბედნიერება, სიმდიდრე, სიღარიბე, სწავლა-განათლება, ვაჭრობა, მართვა, ეკონომიკური ეთიკა და სხვ.

ეს მოძღვრება, გარკვეულწილად, საქართველოს დღევანდელ საჭიროებებს ესადაგება და გვაძლევს სწორ გეზს ქვეყნის მომავალი ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ამიტომ, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის ერთ-ერთ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის ქრისტიანული მოძღვრებიდან გამომდინარე პარადიგმების ერთიანობა.

სწორედ ასეთ ღვთივსულიერ ბაზაზე უნდა წარიმართოს მაღალზნობრივი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა ქვეყნის ჭეშმარიტი პროგრესისათვის.

Saint Bishop Gabriel about Economic and Managerial Activities

G. Shikhashvili

For the true progress of Georgia it's inevitable to comprehend the society development regulatory from biblical, religious and ethical positions. It's necessary to turn back to Georgian traditional ideology to revive and develop Christian economic mentality and relevant economic and managerial activities harmoniously combined with contemporaneity.

One of the bases of the Georgia's national concept of social and economic development should be the unity of paradigms issued from Christian doctrine by Saint Bishop Gabriel.

Namely on such a divine foundation must be the guide of the moral for economic and managerial activities for true progress of our country.

**ეკონომიკური აზროვნების უმთავრესი
ორიენტირი**

ანდრე ასპინაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი

თანამედროვეობის ერთ-ერთი თავისებურება ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს ეკონომიზაციაა. ეკონომიკური აზროვნება სულ უფრო აქტიურდება, წინა პლანზე იწევს, რაც სრულიად ბუნებრივია, რამდენადაც მომსახურებისა და საქონლის „წარმოება-განაწილება-გაცვლა-მოსმარების“ პროცესში ჩართულია მეცნიერების თითქმის ყველა დარგი (პირდაპირ თუ ირიბად) და რომელიმე მიმართულებით კრიზისი იმავდროულად საერთო კრიზისის ხასიათს იძენს, წარმოგვიდგება, როგორც რთული მრავალგანზომილებიანი, ინტეგრალური პრობლემა.

თანამედროვე ეკონომიკის არსებითი მნიშვნელობის თანამგზავრი გლობალიზაციაა, რომელიც ისწრაფვის გაარღვიოს ენობრივი, ტერიტორიული, ეკონომიკური, ფსიქიკური ბარიერები და აქედან გამომდინარე, შექმნას კულტურული ერთობის იდეა, თავისი ზესახელმწიფოებრივი მართვის სისტემით. ეს ის სქემაა, რომელიც აუცილებლად წააწყდება წინააღმდეგობებს, პირველ რიგში, მის წამომწყებ ქვეყნებში.

სამყაროში ინდივიდები, ოჯახები, სოციალური ჯგუფები თუ სახელმწიფოები თვითნებ ინტერესებს ატარებენ, რაც ბუნებრივი კანონზომიერებაა. ჩვენ გვაინტერესებს ამ რთულ მოძრაობაში ვიპოვოთ ჩვენი ადგილი.

ასე, რომ არცთუ ცოტა საქმე აქვთ მეცნიერ-ეკონომისტებს გასაკეთებელი ამ თვალსაზრისით.

განვითარება და პროგრესი წარმოუდგენელია ცოდნის

ანგორ აბრალებს

გარეშე და სწორედ უმაღლეს სასწავლებლებშია დაუნჯებული უზარმაზარი ენერგია, წინსვლის ინტელექტუალური რესურსები.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ეკონომიკის სფეროში ღრმად უნდა იყოს ინტეგრირებული სასწავლო პროცესთან, ცოდნის შენახვა-გენერირება-გადაცემა უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც უწყვეტი მემკვიდრეობითი პროცესი. თუმცა, მარტო ეს არაა გადამწყვეტი, საჭიროა ზედმიწევნით გონივრულად განვსაზღვროთ მიზანი - თუ, საითკენ ვისწრაფვით.

ეკონომიკური მეცნიერული აზროვნება ვაღლებულია მიმართული იყოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის წონასწორობის, ჰუმანიზაციისა და ჰარმონიზაციის პრობლემებისაკენ. ეს აზრი სწორედ უმაღლეს სასწავლებელში უნდა გამოიჭედოს და ფუნდამენტურად დამუშავდეს.

აღნიშნულ პრობლემებთან კავშირით გვინდა წარმოვიდგინოთ ჩვენეული კონცეპტუალური ხედავა:

I. სამეცნიერო კვლევისა და სწავლების პროცესის ცენტრალური ფიგურა მეცნიერ-პედაგოგია. რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სამ ძირითად პირობას, ანუ იყოს:

1. მაღალკვალიფიციური;
2. მაღალი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის მატარებელი;
3. ღრმად ერუდირებული.

მხოლოდ ასეთ მეცნიერ-პედაგოგს შესწევს უნარი დაიპყროს სტუდენტური აუდიტორია, შექმნას თაობათა შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის დინამიკური სისტემა.

II. თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო პროცესი უნდა აღიჭურვოს უახლესი ტექნოლოგიებით, ინფორმაციის მიღების, დამუშავების და გადაცემის საუკეთესო საშუალებებით. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სასწავლო-სამეცნიერო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სერიო-

ზულ გადაიარაღებას მოითხოვს.

აუცილებელია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის აქტიური შერწყმა სასწავლო პროცესთან. ლექცია უნდა გახდეს აბსოლუტურად ღია, კოლეგიალური და კომფორტული ყველა მონაწილისათვის, მაქსიმალურად თავისუფალი და უზრუნველყოფილი რაციონალურ-ობიექტალური ბიუროკრატით.

III. ეკონომიკური პრობლემების კვლევისა და სწავლების მთელი შემოქმედებითი ციკლი უნდა ემსახურებოდეს სრულიად განსაზღვრულ მიზანს, რომელიც დაეფუძნება პიროვნების თავისუფლების, დემოკრატიისა და ეკონომიკური ქმედუნარიანობის დამკვიდრების იდეას. ყოველივე ეს უნდა მოექცეს ურთიერთობათა საერთო წესრიგის ფარგლებში და მოიცვას ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სამართლებრივი წესრიგის მიმართულებები.

ეკონომიკურმა სწავლებამ მეცნიერულად უნდა განამტკიცოს სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამ მიზნისაკენ მიმართვა, რათა დაძლეულ იქნეს „მარჩენალზე“ დამოკიდებულების მანიკერი სინდრომი, ადამიანთა პატერნალისტური განწყობა და კურსი აღებულ იქნეს ფორმირებული საზოგადოების შექმნისაკენ.

აქ ჩვენ მნიშვნელოვნად ვეყრდნობით ორდოლიბერალური წესრიგის თეორიასა და მისგან გამომდინარე პრაქტიკას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გერმანიაში გაცხადდა როგორც “გერმანული სასწაული”. ამ თემაზე განსაკუთრებით საყურადღებოა და არსებითი ხასიათის დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა აღნიშნული სასწაულის მთავარი შემომქმედის, 1963-1966 წლებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის (მანამდე კი ვიცე-კანცლერისა და ეკონომიკის მინისტრის), ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტის ლუდვიგ ვილჰელმ ერჰარდის ერთ-ერთი საინ-

ანგორ აბრაღამა

ტერესო ნაშრომი (წიგნი) “კეთილდღეობა ყველასათვის“¹ მასში ჩამოყალიბებული და გაანალიზებულია აქტუალური პოლიტეკონომიური პრობლემები, გამოყენებითი სოციალური ეფექტები და თანმდევი წინააღმდეგობები.

თანამედროვე რეალობისა და საქართველოს თავისებურებათა გათვალისწინებით, სრულიად შესაძლებელია მივიღოთ წესრიგის თეორიისა და ორგანიზაციის ფუქემდებლური, აპრობირებული, კონცეპტუალური მიდგომები.

თუ აღნიშნული პრინციპები მისაღებია, მაშინ უნდა შევთანხმდეთ, რომ მეცნიერ-ეკონომისტები მუდმივად უნდა იკვლევდნენ ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს სწორედ ამ განწყობით და სთავაზობდნენ საზოგადოებას მეცნიერულად დასაბუთებულ შესაბამის მიდგომებსა და ოპერირების მეთოდებს.

მეცნიერული მუშაობა და სწავლის პროცესი სწორედ ამ პათოსით უნდა წარმომართოს, ასეთი რაკურსით უნდა დავინახოთ ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციის, სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის ტრანსფორმაციის (განსაკუთრებით შემოსავლების გადანაწილებაში მისი მარეგულირებელი როლის ასპექტით), მონოპოლიზმის დაძლევისა და კონკურენტული გარემოს შექმნის ამოცანები.

მეცნიერულად ღრმად და სისტემურად უნდა იქნეს გააზრებული გლობალურ და ლოკალურ ინტერესთა თავსებადობის პრობლემა, მაღალინტელექტუალური შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში ჩართულობისა და კონკურენტუნარიანობისაკენ სწრაფვის, მასში თავისუფალი მონაწილეობისათვის მზადყოფნის ამოცანები.

ნობელიანტი ეკონომისტი, აშშ-ს პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაციაში ეკონომისტ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე (რომელიც ასევე იყო მსოფლიო ბანკის ვიცე-

¹ ლ. ერჰარდი, კეთილდღეობა ყველასათვის, მთავარი რედაქტორი პროფ. ა. აბრაღამა. თბ.: „გრადი“, 2011.

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

პრეზიდენტი და მთავარი ეკონომისტი), ამჟამად კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯოზეფ სტიგლიცი თავის წიგნში – “გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება“, აღნიშნავს: საერთაშორისო ბიუროკრატები – მსოფლიო ეკონომიკის სიმბოლოები – მთელ მსოფლიოში დაუნდობელი კრიტიკის ობიექტებად არიან ქცეული. ¹ იგი სვამს სრულიად ლოგიკურ, მარტივად გასაგებ კითხვას: რატომ იქცა გლობალიზაცია – ძალა, რომელმაც ამდენი სიკეთე მოიტანა – ასეთ პრობლემად? ²

სწორედ ამ კითხვას პასუხობს საერთაშორისო ორგანიზაციების (ძირითადად სართაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის) და გლობალიზაციის ლიდერი ქვეყნების საქმიანობისა და მათი პოლიტიკის შესახებ, ნაშრომში მოცემული მთელი ანალიზი და შეფასება, რომ სწორედ მათმა საქმიანობამ გამოიწვია არაერთი კრიზისი და მძიმე შედეგი განსაკუთრებით კი ე.წ. გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საფრთხის შემცველი გლობალური ეკონომიკური ტენდენციების მიმართ უნდა შემუშავდეს თეორიულ-პრაქტიკული დატვირთვის მქონე ანტი-გლობალისტური კონცეფციები.

დასასრულ, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა, ეკონომიკური დემოკრატია, ინოვაცია, გლობალიზაცია, სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობა, ეკონომიკის ჰუმანიზაცია-ჰარმონიზაცია და წესრიგი, სწრაფვა ფორმირებული საზოგადოების შექმნისაკენ – სწორედ ეს პრობლემებია დღეისათვის მეცნიერული კვლევის უმთავრესი მიმართულებები.

¹ ჯ. სტიგლიცი, გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, თბ.: „საუნჯე“, 2012, გვ. 7.

² იქვე, გვ. 8.

Main Objective of Economic Thinking

A. Abralava

Economic scientific thinking must be directed to the problems of balance, humanization and harmonization of the social and economic system.

Proceeding from the above said, it is necessary to have at least three conditions: 1. highly qualified, competent teachers thinking from the state's point of view; 2. teaching and scientific activities provided with the latest technologies; 3. the aim establishing freedom of personality, democracy and economic sustainability, within the frames of general order, comprising economic, political, social and judicial aspects.

**სოციალური კაპიტალის სავსიფიკა
გლობალიზაციის პირობებში**

შოთა შაბურიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის
ასოცირებული პროფესორი

ეკონომიკური მეცნიერების წარმომადგენლების მხრიდან საზოგადოების სოციალურ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება, ეკონომიკურ განვითარებაში ადამიანის და სოციალური ფაქტორების როლის ახლებური გააზრება, პირველ რიგში, გლობალიზაციას უკავშირდება. გლობალიზაციის ყოველსმომცველი პროცესი აქრობს ეროვნული კულტურების, ეკონომიკური სისტემების, სახელმწიფოების გამყოფ საზღვრებს და უშუალოდ ზემოქმედებს ეკონომიკაში ადამიანისეული, ფიზიკური და სოციალური კაპიტალის დაგროვებაზე. ლოკალური ბაზრების გლობალურ მასშტაბებამდე გაფართოების მიუხედავად, პირადი კონტაქტების და სოციალური ქსელების როლი ეკონომიკური ეფექტიანობის ამღლებაში არ შემცირებულა, პირიქით, სრულიად ახალი დატვირთვა და მნიშვნელობა შეიძინა. ამ ურთიერთკავშირების გათვალისწინებას მიყვავართ სოციალური კაპიტალის კონცეფციამდე.

ცნება – „სოციალური კაპიტალი“, პირველად გამოიყენა ლიდ დჯადსონ ხანიფანმა 1916 წელს სოფლის სკოლებზე გამართული დიდკუსიისას. ის ამ ტერმინით აღწერდა იმ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელიც ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე ახდენდა გავლენას. ხანიფანი მივიდა დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო კეთილი ნების აღქმა, ურთიერთ სიმპატიის გამოვლენა და იმ ადამიანებს შორის ურთიერთობების მოწესრიგება, რომლებიც ქმნიან სოციალურ ერთეულს.¹

¹ Mark K. Smith, Social Capital, www.infed.org/biblio/social_capital.htm

აღნიშნული ტერმინის ფართოდ გავრცელებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პიერ ბურდიემ ნაშრომით – „პრაქტიკული მოქმედების თეორიის მონახაზი“ (1972) და ამერიკის სოციოლოგიური ასოციაციის 83-ე პრეზიდენტმა ჯეიმს კოულმანმა, რომლის ძალისხმევით შედგა ტერმინი „სოციალური კაპიტალი“ ამერიკის აკადემიურ ლექსიკონში მოხვდა. არ უნდა დავივიწყოთ ჰარვარდის პროფესორის რობერტ პატნემის ნაშრომებიც. 30 ათასი რესპოდენტის გამოკითხვის ანალიზის შედეგად, ის მივიდა დასკვნამდე, რომ „ამერიკელები კუებივით იმალებიან“, რათა თავი აარიდონ პოლიტიკას და საზოგადოებრივ ცხოვრებას, არ ენდობიან ერთმანეთს, მთავრობას, განსაკუთრებით კი ეთნიკურ უმცირესობებს, რომელთა რიცხვი 1990-იან წლებში მკვეთრად გაიზარდა. მისი ნაშრომის „Bowling Alone“ (რომელიც შეიძლება ითარგმნოს როგორც ბოულინგის მარტო თამაში) წყალობით სოციალური კაპიტალი პოლიტიკური დისკუსიების პოპულარულ თემად იქცა.¹ 1999 წლიდან სოციალური კაპიტალის საკითხით მსოფლიო ბანკიც აქტიურად დაინტერესდა.

როგორც მრავალი ასპექტის შემცველ ცნებას – სოციალურ კაპიტალს სხვადასხვაგვარად განმარტავენ. ბურდიეს მიხედვით, სოციალური კაპიტალი წარმოადგენს ნათესაურ და ჯგუფურ ურთიერთობებზე დაფუძნებულ რესურსებს. სოციალური კაპიტალის ფლობა აუცილებლად არ ნიშნავს ეკონომიკური კაპიტალის დაუფლებასაც, თუმცა, მისი აზრით, წარმოადგენს ელიტების ატრიბუტს, პრივილეგიების და გავლენის შენარჩუნების საშუალებას. სოციალური კაპიტალი ნიღბავს მისი მფლობელების მიერ სარგებლის ძიების აშკარა პროცესს, რაც ეწინააღმდეგება ღია დემოკრატიული საზოგადოების პრინციპებს. მოგვიანებით, ბურდიემ შემოიტანა ისეთი ცნებები, როგორცაა: „სოციალური და კულტურული კაპიტალი“, „აკადემიური ძალაუფლების კაპიტალი“, „სამეცნიერო პრესტიჟის

¹ Putnam, R. D. 'Bowling Alone: America's Declining Social Capital', *Journal of Democracy* 6:1, Jan, http://muse.jhu.edu/demo/journal_of_democracy/v006/putnam.html

კაპიტალი“, „პილიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების კაპიტალი“, ასევე „სიმბოლური კაპიტალი“.¹

კოულმენის თანახმად, სოციალური კაპიტალი წარმოადგენს ნდობისა და ურთიერთდახმარების პოტენციალს, რომელიც პიროვნულ ურთიერთობებში (მოვალეობები და მოლოდინი, საინფორმაციო არხები და სოციალური ნორმები) ფორმირდება. მისი აზრით, სოციალური კაპიტალი არა მხოლოდ „სოციალური წებოა“, არამედ „ინდივიდების უნარი განკარგონ შეზღუდული რესურსები სხვადასხვა სოციალურ ქსელსა თუ უფრო ფართო სტრუქტურაში წევრობის საფუძველზე“. სოციალური კაპიტალის თეორიის განვითარებაში კოულმენის წვლილი არაელიტური ჯგუფების გამოცდილების წინ წამოწევაში გამოიხატება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის მიიჩნევდა რომ მარგინალური საზოგადოებები ან მუშათა კლასი ისევე შეძლებდნენ მიედოთ სარგებელი სოციალური კაპიტალით, როგორც ელიტები.

პატნემის აზრით, მაშინ როდესაც ფიზიკური კაპიტალი დაკავშირებულია რეალურ აქტივებთან და ადამიანისეული კაპიტალი კი ცალკეული პიროვნებების თვისებებთან, სოციალური კაპიტალი ეხება ადამიანებს შორის კავშირს – სოციალური ქსელები, ურთიერთქმედების და ნდობის ნორმები, რომელიც ფორმირდება ასეთი ურთიერთობებისას. ამ თვალსაზრისით, სოციალური კაპიტალი მჭიდროდაა დაკავშირებული „მოქალაქეობრივ ღირსებასთან“.² განსხვავება ისაა, რომ სოციალური კაპიტალისათვის მნიშვნელოვანია მოქალაქეობრივი ღირსება სოციალურ ქსელებში აქტიურად მონაწილე ადამიანებში. მრავალი ღირსეული, მაგრამ იზოლირებული ადამიანის საზოგადოება არაა მდიდარი სოციალური კაპიტალით.

ყველაზე ზოგადი მიდგომით სოციალური კაპიტალი შეიძლება გავიგოთ, როგორც სოციალური და პოლიტიკური

¹ Андрей Маклаков, Корни и ветви теории социального капитала. http://dialogs.org.ua/project_ua_full.php?m_id=13103

² Putnam, R. D. 'Bowling Alone: America's Declining Social Capital', *Journal of Democracy* 6:1, Jan, http://muse.jhu.edu/demo/journal_of_democracy/v006/putnam.html

შოთა შაბურიშვილი

ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც აყალიბებს ნორმებს და განსაზღვრავს სოციალურ სტრუქტურას. არაფორმალურ, ხშირად ლოკალურ, კორიზონტალურ და იერარქიულ ურთიერთობებთან ერთად, ის მოიცავს ფორმალიზებულ ურთიერთობებსა და სტრუქტურებს, როგორცაა მთავრობა, პოლიტიკური რეჟიმი, კანონის ძალა, სასამართლო სისტემა, სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლება. სოციალური კაპიტალი წარმოადგენს საზოგადოებრივ და არა ინდივიდუალურ ფენომენს. ის არ შეიძლება იყოს ვინმეს საკუთრება, ესაა საზოგადოებრივი სიკეთე, რომლითაც ყველას შეუძლია სარგებლობა. ამასთან, სოციალური კაპიტალი კულტურის წარმოებულია, რაც ნიშნავს, რომ მისი შეცვლა ძალზე რთულია, რადგან ქვეყნის კულტურული სპეციფიკის ცვლილება ათწლეულების და ასწლეულების ამოცანაა.

განასხვავებენ სოციალური კაპიტალის ორ ფორმას: სტრუქტურული – საზოგადოებრივი ინსტიტუტები, ქსელები, ასოციაციები, წესები (იხ. სქემა), რომელსაც ექვემდებარება მათი საქმიანობა; კოგნიტური – ნდობა, ურთიერთობები, ფასეულობები, ნორმები და ქცევის წესები. ეს ფორმები გამოირჩევა შედარებითი თავისუფლებით, მაგალითად, შეიძლება არსებობდეს საზოგადოებრივი ინსტიტუტი თავისი რეგლამენტით, რომლის მიმართ ნდობის ხარისხი დაბალი იქნება, იმავდროულად ადამიანები შეიძლება დაკავშირებულნი იყვნენ ნდობით, საერთო ნორმებით, ფასეულობებით და არ ერთიანდებოდნენ ამა თუ იმ საზოგადოებრივ ან სხვა რაიმე ფორმალურ ორგანიზაციაში.

სოციალური კაპიტალის ყველა დონე იმყოფება მჭიდრო ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში. არსებითი პოზიტიური ეფექტების მიღწევა შესაძლებელია ყველა დონის სათანადო განვითარების შემთხვევაში.

რეალური კაპიტალის მსგავსად, სოციალური კაპიტალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მარაგის სახით, მაგრამ მისგან განსხვავებით, ექსპლუატაციისას არა თუ ცვდება, არამედ უფრო მძლავრი და ხელშესახები ხდება, ხოლო გამოუყენებლობის შემთხვევაში კარგავს ფასეულობას. ამასთან, როგორც რეალური კაპიტალი, საჭიროებს ინვესტირებას სო-

ციალური ურთიერთქმედების და ნდობის ამაღლებაზე ორიენტირებული მოქმედებების სახით. სოციალური კაპიტალი

სოციალური კაპიტალის ფორმირების დონეები

სოციალური კაპიტალის დონეები	სტრუქტურული კაპიტალი	კოგნიტური კაპიტალი
მეგა დონე	საერთაშორისო სამართლის ნორმები, საერთაშორისო უნივერსალური და რეგიონული ორგანიზაციები	საერთაშორისო ორგანიზაციების და ინსტიტუტების მიმართ ნდობის ხარისხი
მაკრო დონე	სამართლის ნორმები, პროფესიული ორგანიზაციები, სახელმწიფო ინსტიტუტები	ნდობის საზოგადოებრივი ფასეულობები და სტანდარტები
მეზო დონე	საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საქმიანი კავშირები, სახელმწიფო ინსტიტუტები	ნდობის საზოგადოებრივი და პირადი ფასეულობები
მიკრო დონე	შიგაორგანიზაციული ქსელები	ნდობის კორპორაციული ფასეულობები და ნორმები

დამახასიათებელია ადამიანური ურთიერთობების სტრუქტურისათვის, რადგან სხვა ადამიანებთან კავშირით პიროვნება იღებს მნიშვნელოვან უპირატესობებს. შეიძლება გამოვყოთ ის კონკრეტული სარგებელი რომელიც სოციალურ კაპიტალს უკავშირდება:

– სოციალური კაპიტალი დიდ როლს თამაშობს ბავშვების აღზრდის გარემოს ფორმირებაში. ნდობა, ქსელები, ქცევის ნორმები ოჯახში, სკოლაში, ჯგუფში და სამეზობლოში დიდ ზემოქმედებას ახდენს მათ შესაძლებლობებსა და

შოთა შაბურიფილი

ცხოვრებისეულ არჩევანზე, წარმატებები სწავლაში მოქმედებს მათ ქცევასა და განვითარებაზე.

– სოციალური კაპიტალით მდიდარ რაიონებში ქუნები და სადარბაზოები სუფთაა, ხალხი კეთილგანწყობილი, საერთო ანგარიშით, მეტი უსაფრთხოებაა. რისკის ტრადიციული ფაქტორები, როგორცაა სიღარიბე და მეზობლების მობიღობა, არც ისე მნიშვნელოვანია, როგორც ხშირად ფიქრობენ. დამნაშავეობის დონე მაღალია მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანები არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, ყურადღებით არ ეკიდებიან ახალგაზრდებს, არ არიან დაკავშირებულნი ნაცნობობის და მეგობრობის ქსელებით.

– არსებობს მჭიდრო კავშირი სოციალური კაპიტალის ფლობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის. მაგალითად, მწვეველმა, რომელიც არ მონაწილეობს არცერთ ჯგუფში, ძალზე საეჭვოა, რომ თავი დაანებოს ამ მავნე ჩვევას.

– სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, საწარმოებს, მუშაკებს შორის კავშირების გაღრმავებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ამღლებით, კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებითა და ჯგუფური მოქმედების ეფექტიანობის ზრდით.

სოციალური კაპიტალის აღნიშნულმა უპირატესობებმა, განსაკუთრებით მისმა უნარმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქვეყნის სოციოეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში, ეკონომისტების დიდი დაინტერესება გამოიწვია. ამას ხელი შეუწყო კომუნისტური სისტემის რღვევამ, გარდამავალ ეკონომიკის ქვეყნებში წარმოქმნილმა ეკონომიკურმა და ინსტიტუციურმა პრობლემებმა, სავალუტო და ფინანსურმა კრიზისებმა სამხრეთ ამერიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, დაუძლეველმა სიღარიბემ მესამე სამყაროს ქვეყნებში, რაც მიუთითებდა „ვაშინგტონის კონსენსუსის“ კრახზე. ამ კრახის მიზეზების ახსნა შეუძლებელი იყო არსებული ეკონომიკური თეორიების ბაზაზე, რადგან არც ერთი მათგანი არ ითვალისწინებდა სოციალური ფაქტორების როლს (უთანაბრობა შემოსავლებში, ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხი, ნდობის ფაქტორი და

მრავალი სხვა). გაჩნდა ახალი ეკონომიკური კონცეპციები, რომლებიც აღიარებს, რომ ეკონომიკური ეფექტიანობის მისაღწევად მხოლოდ გამართული ფასწარმოქმნის მექანიზმი არაა საკმარისი და აუცილებელია ინსტიტუტების და სოციალური ქსელების ეფექტიანი ფუნქციონირება.

ეკონომიკური განვითარების ახალი გლობალური რეცეპტის, ეგრეთწოდებული „პოსტ-ვაშინგტონის კონსენსუსის“, ძიების პროცესში სოციალური კაპიტალით აქტიურად დაინტერესდა მსოფლიო ბანკი. მისი განმარტებით, „სოციალური კაპიტალი დამოკიდებულია ინსტიტუტებზე, ურთიერთობებსა და ნორმებზე, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებაში სოციალური ურთიერთკავშირების რაოდენობას და ხარისხს... სოციალური კაპიტალი არა მხოლოდ საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჯამია, არამედ წებო, რომელიც მათ აერთიანებს“.¹ 1990-იანი წლების ბოლოს მსოფლიო ბანკში შეიქმნა „თემატური ჯგუფი სოციალურ კაპიტალთან დაკავშირებით“, რომელმაც დიდი სამუშაოები ჩაატარა აღნიშნულ საკითხებზე. შედეგად, 2001 წლიდან სოციალური კაპიტალის გაზომვის ორი მეთოდი გაჩნდა: „სოციალური კაპიტალის შეფასების ინსტრუმენტი“ (SOCAT), და „ინტეგრირებული კითხვარი“ (SOCAP IQ). მათ საფუძველს წარმოადგენს ექვსი ძირითადი პარამეტრი:

– ჯგუფების და ქსელების სიმყარე, მრავალფეროვნება, მათი საქმიანობის დემოკრატიულობა, სხვა ჯგუფებთან კავშირი;

– ნდობა – ოჯახსა და სოციალურ ქსელებში, მართვის ორგანოების, უცხოელების მიმართ;

– კოლექტიური მოქმედება;

– სოციალური ერთობა;

– ინფორმაცია და კომუნიკაციები;

– მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებასა და პოლიტიკურ მოქმედებებში.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ სოციალური კაპიტალი

¹ The World Bank (1999). ‘What is Social Capital?’, PovertyNet <http://www.worldbank.org/poverty/scapital/whatsc.htm>

მოთა შაბურშივილი

განმარტებულია როგორც ნორმებით, ღირებულებებით და წარმოდგენებით ურთიერთდაკავშირებული ქსელები, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა ჯგუფს შორის ან ჯგუფებს შიგნით თანამშრომლობას. ამ ორგანიზაციის მეთოდოლოგიით, სოციალური კაპიტალი შემდეგი მაჩვენებლებით ფასდება:

1. სოციალური თანამონაწილეობა (ორგანიზებულ ჯგუფებში ჩართულობა და მოხალისეობა);
2. სოციალური ქსელები და მხარდაჭერა;
3. ურთიერთნდობა;
4. სამოქალაქო თანამონაწილეობა.

ეკონომიკურ ზრდაში სოციალური კაპიტალის როლის შეფასებას უამრავი გამოკვლევა მიეძღვნა, მათ შორის მსოფლიო ბანკის ეგიდითაც. 90 ქვეყნის მიხედვით მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე დაადგინეს, რომ ცხოვრების დონე ქვეყანაში დაკავშირებულია შემოსავლების თანაბარ განაწილებასთან, სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლების მაღალ დონესთან, ნდობაა და მართვის ხარისხთან.¹ თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ სოციალური კაპიტალი ეკონომიკური ზრდის ისეთივე არსებითი ფაქტორია, როგორც კაპიტალის სხვა ფორმები, განსაკუთრებით – ადამიანისუფლი. ამას შემდეგი არგუმენტები ადასტურებს:

– სოციალური კაპიტალი თავის გადამანაწილებელი ფუნქციებით აუმჯობესებს საბაზრო სისტემის ფუნქციონირებას;

– სოციალური კაპიტალის ზრდა ხელს უწყობს ადამიან-კაპიტალის დაგროვებას;

– სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს შემოსავლების უთანაბრობის აღმოფხვრას და საზოგადოების გაჯანსაღებას;

– სოციალური კაპიტალის დაგროვებას თან ახლავს მართვის ხარისხის გაუმჯობესება და ინსტიტუციური განვითარება. ინსტიტუტების და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესება, როგორც წესი, ნიშნავს

¹ Ив Паргс, Роль социального капитала в экономическом развитии переходных стран, http://dialogs.org.ua/crossroad_full.php?m_id=13246

ინვესტორებისათვის რისკების შემცირებას, უცხოური კაპიტალის მოდინების ზრდას და თანმდევ ეკონომიკურ ეფექტებს.

გლობალიზაციის პროცესი სოციალურ კაპიტალს აქცევს ერთგვარ რესურსად, რომელიც აუცილებელია ეკონომიკის ფუნქციონირების ეფექტიანობის ასამაღლებლად და მდგარადი განვითარებისათვის. გლობალურ ეკონომიკაში, სოციალური კაპიტალი გამოდის ტრანსაქციული დანახარჯების შემცირების და ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. სწორედ სოციალური კაპიტალის ზრდას შეუძლია უზრუნველყოს გლობალური ეკონომიკის სტაბილური ფუნქციონირება.

გლობალიზაციის ერთ-ერთ ფენომენს წარმოადგენს გლობალური სოციალური კაპიტალის ფორმირება. ის გლობალური ეკონომიკის ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ ნდობის ამაღლებით, ტრანსაქციული რისკების სუბიექტური შეფასებისა და შესაბამისად, ტრანსაქციული დანახარჯების შემცირებით. გლობალური სოციალური კაპიტალის ფენომენის ილუსტრირება შეიძლება მოვახდინოთ დოლარის ინსტიტუციური როლის მაგალითზე, რომელიც თანამედროვე პირობებში გვევლინება არა მხოლოდ მსოფლიო ვალუტად, არამედ ამაღლებს ნდობას მთლიანად მსოფლიო მეურნეობის მიმართ. ეს ფენომენი ასევე დაკავშირებულია აშშ-ის მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის გარანტიად აღქმასთან. აღნიშნულის გარდა, გლობალური სოციალური კაპიტალის განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს წარმოადგენს ისეთი ინსტიტუტების ფუნქციონირება, როგორცაა NYSE, NASDAQ, მსხვილი საინვესტიციო ბანკების და ფონდების სარეიტინგო სააგენტოები.

შეიძლება გამოვეყოთ გლობალური სოციალური კაპიტალის ეკონომიკურ განვითარებაზე პოზიტიური ზემოქმედების შემდეგი მიმართულებები:

- საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეთა ინტერესების შეთანხმება;
- თანამშრომლობის ხარისხის ამაღლება, მათ შორის

შოთა შაბურიშვილი

ინოვაციურ სფეროში;

– მსხვილი საერთაშორისო საინვესტიციო პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შემცირება;

– საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ ნდობის ამაღლება;

– საერთაშორისო მასშტაბით ინფორმაციის გაცვლის გამარტივება;

– ტრანსაქციული ხარჯების შემცირება.

ამგვარად, მიდგომები სოციალური კაპიტალის ცნების ფორმულირებასთან დაკავშირებით, ისევე როგორც ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით მისი გამოვლინების ფორმები, მრავალფეროვანია. სოციალური კაპიტალის მარაგის ზრდა კი ქმნის უმნიშვნელოვანეს წანამძღვრებს ეკონომიკური განვითარებისათვის.

Peculiarities of Social Capital under Globalization

Sh. Shaburishvili

Focusing on social issues of society and new understanding of the role of human and social factors in economic development by the representatives of economic science is first of all connected with the process of globalization. Despite expanding local markets on a global scale, the role of personal contacts and social networks in rising economic efficiency didn't decline, on the contrary, it gained entirely new meaning and importance. Taking this kind of interrelation into consideration leads to the concept of social capital.

The process of globalization makes social capital like some kind of resource which is essential for enhancing economic efficiency and sustainable development. In global economy social capital serves as the most important factor for economic growth and reduction of transaction costs. The growth of social capital can provide stability of global economy.

new tax code, passed in 2005, reduces tax rates and the number of types of taxes imposed on business and individuals. The customs code, passed in 2006, reduces the impediments to trade by decreasing the number of customs categories and overall tariff levels for exports and imports. Similar liberalization has been undertaken in the areas of licensing and permits and labour regulations. Georgia has now one of the most liberal policy frameworks in the world.

Most politicians and analysts agree that FDI play an important role in the restructuring of the economy and that increased inflows of FDI are an important policy objective. But as I mentioned above not all FDI are of the same kind and have positive effect on the host economy.

The goal of this article is to analyze the growth impact of FDI taking into account different types of FDI and their suitability under different host-economy conditions in Georgia.

In order to approach the topic, we will first briefly analyses the global trends in FDI. After this we will try to understand the motives of FDI that are investing in Georgia and assess their different effects on the Georgian economy;

- According to UNCTAD 2012 World Investment Report FDI flows exceeded average in 2011 reaching \$1,5 trillion despite turmoil in the global economy;

- FDI inflows increased across all major economic groupings in 2011. Flows to developed increased by 21 per cent, to \$748 billion. In developing countries FDI increased by 11 per cent, reaching a record \$684 billion. FDI in transition economies increased by 25 per cent to \$ billion. Developing and transition economies respectively accounted for 45 per cent and 6 per cent of global FDI;

- In 2011 FDI flows rose in all three of production (primary, manufacturing and service), and the rise was widespread across all major economic activities. FDI in the service and primary sectors rebounded in 2011 after falling sharply in 2009 and 2010;

- Cross-border M&As rose 53 per cent in 2011 to \$526 billion, stimulate by a rise in the number of megadeals (those with a value over \$3 billion), to 62 in 2011, up from 44 in 2010. This reflects both the growing value of assets on stock markets and the increased financial capacity of buyers to carry out such operations.

FDI to economies in transition in South-East Europe, the CIS and Georgia recovered strongly in 2011, prompted by the dynamism of cross-border M&A deals, although greenfield investments are still the dominant form of entry (Inflows rose by 25 per cent, to \$92 billion) (see table 1).

Distribution of FDI flows among economies, by range 2011¹

Table 1

Range	Inflows	Outflows
Above \$5.0 billion	Russian Federation, Kazakhstan, Ukraine	Russian Federation
\$1.0 to \$4.9 billion	Belarus, Turkmenistan, Serbia, Croatia, Azerbaijan, Uzbekistan, Albania, Georgia	Kazakhstan
\$0.5 to \$0.9 billion	Kyrgyzstan, Montenegro, Armenia	Azerbaijan
Below \$0.5 billion	Bosnia and Herzegovina, the former Yugoslav Republic of Macedonia, Republic of Moldova, Tajikistan	Ukraine, Serbia, Georgia, Armenia, Belarus, Croatia, Albania, Republic of Moldova, Bosnia and Herzegovina, Montenegro, the former Yugoslav Republic of Macedonia, Kyrgyzstan

The motivations and driving forces for FDI vary from country to country and between industries. Generally, CEE is becoming increasingly targeted by higher value added production in industries such as electronics and the automobile industry that are characterized by clusters, proximity to end-producers and high demands on quality control. SEE, and also Turkey, are targets for market-seeking investments and more dispersed industries such as textiles and food-processing but also the service sector.

It is very interesting to show by FDI contribution index relatively contributions of foreign affiliates to local economies in

¹ UNCTAD. World Investment Report. Towards a new generation of investment policies. 2012. pp. 56-60.

UNCADAD's FDI contribution Index, by host region 2009¹
(Percentage shares in each variable's total for the region)

Table 2

Region/ economy	Value Added	Employment	Export	Tax revenue	Wages and Salaries	R&D Expenditures	Capital Expenditure
Total world							
Developed countries	12.7	7.5	19.3	13.9	14.6	24.2	10.5
Developing countries	12.2	7.9	17.3	14.6	15.4	24.1	11.6
Africa	21.7	7.3	21.7	37.2	18.4
East and South East Asia	10.5	9.9	30.9	7.7	8.9	22.5	6.2
South Asia	10.3	6.1	16.0	...	3.8
West Asia	16.8	5.5	1.9	...	15.0	...	3.8
Latin America and the Caribbean	15.9	6.0	17.9	18.9	16.0	35.0	14.8
Transition Economies	21.7	3.0	11.2	15.4	25.7
Georgia	33	18	-	-	15	-	40

¹UNCTAD. World Investment Report. Towards a new generation of investment policies. 2012. pp. 29-36.

developing countries and in Georgia in value added, employment, and wage generation, tax revenues and export generation. According to this year's index – the first of its kind - the host economy with the largest contribution by FDI is Hungary, followed by Belgium and Czech Republic.

There are more host countries with higher index values in the developing region (see table 2). For example Africa is the region where TNCs contribute most to economy in terms of value added (tied with transition economies) and wages. The export and employment quartile ranking vary from country to country depending on the predominant types of investment. Where efficiency-seeking FDI is high.

Looking at Georgian economy in the contribution index shows that TNCs contribute most to the economy in terms of value added and wages. The role of TNCs relative to the size of the economy is larger. The higher ratio for employment compared to value added for Georgia as a transition country reflects the fact that the labour-intensity of production there is higher than in developed countries. Similarly, the higher ratio for wages in developing countries compared with that for developed countries means that TNC affiliates in developing countries pay a higher wage premium over local wages than do those in developed countries.

The export ratio is higher in some developing regions, especially East and South-East Asia, where export-oriented industries have been built up with significant involvement of foreign affiliates of TNCs. The higher tax ratio compared with the value added ratio in Latin America and the Caribbean shows that TNCs can contribute to higher fiscal revenues for host states and to the process of formalizing the economy. The share of TNC foreign affiliates in total R&D expenditures in host countries is similar in developing than in developed countries, with high shares in Africa and Latin America. As you can see on the slides export ratio is low since FDI attracted in Georgia mostly has market or resource seeking motivation which in nature do not have export orientation.

As we mentioned above FDI brings benefits to host economies through productivity spillovers from multinational enterprises. FDI's coming in host country have different motives and thus their impact on host economy is different. According to Dunning (1993) we will measure the impact of FDI. Table 3 summarizes the anticipated impact

of different types of FDI (Market seeking, resource seeking, efficiency seeking) on domestic productivity.

Per capita GDP¹

Table 3

	Market attractiveness		
	Gross domestic product (GDP)	Per capita GDP^b	Real GDP growth
Economy	(\$ billion)	(Dollars)	(%)
Armenia	17,9	5 384,1	4,4
Azerbaijan	93,1	10 201,6	0,1
Georgia	24,5	5 491,1	7,0
Ukraine	329,5	7 233,2	5,2

Now firstly we have to explain the host country and industry characteristics. It is the fact that growth impact of FDI depends on the characteristics of the developing economy in which FDI takes place. It is argued that

✓ the host countries’ capacity to absorb FDI productively is linked to their GDP per capita.

✓ Host economies with a better endowment of human capital are supposed to benefit more from FDI-induced technology transfers, as spillovers from foreign affiliates to local enterprises are more likely.

✓ Openness to trade is considered important as transnational corporations (TNCs) are said to pursue increasingly complex integration strategies that require the unrestricted imports of intermediate goods at all stages of the production process.

✓ The extent to which TNCs transfer modern technology

¹ UNCTAD. World Investment Report. Towards a new generation of investment policies. 2012.

and know-how to their foreign affiliates may depend on host countries' institutional development, which captures factors such as the rule of law, the degree of corruption, the quality of public management, the protection against property rights infringements and discretionary government interference.

The empirical picture seems to become clearer once host economy characteristics are taken into account. Some studies suggest that:

- ✓ The positive impact of FDI on economic growth is confined to higher-income developing countries¹;
- ✓ The larger the technological gap between the host and the home country, the smaller the impact of FDI on economic growth²;
- ✓ FDI enhances growth only in economies with sufficiently qualified labor force³.
- ✓ Openness to trade is essential for reaping positive growth effects of FDI.

Industry characteristics such as technology intensity, factor requirements, linkages to local and foreign markets, and the degree of vertical integration of foreign affiliates are likely to shape the growth impact of FDI in various ways. Industry characteristics may influence

- ✓ the extent to which FDI supplements (“crowds in”) or displaces (“crowds out”) local investment,
- ✓ the amount of technology and know-how transferred from parent companies to foreign affiliates,
- ✓ the compatibility of technology transfers to the host countries' factor endowment and, hence, the degree to which local suppliers, competitors and buyers can benefit through spillovers,
- ✓ the amount of foreign exchange earnings generated

¹ De Mello, Luiz R. Jr. (1997). Foreign direct investment in developing countries and growth: a selective survey, *Journal of Development Studies*, 34 (1), pp. 1–34.

² Borensztein, Eduardo R., José De Gregorio and Jong-Wha Lee (1998). How does foreign direct investment affect economic growth? *Journal of International Economics*, 45, pp. 115–135.

³ Balasubramanyam, V.N., Mohammed A. Salisu and David Sapsford (1996). Foreign direct investment and growth in EP and IS countries, *Economic Journal*, 106, pp. 92–105

through FDI induced exports or lost through the repatriation of funds,
 ✓ the extent to which foreign affiliates foster competition in host economies by breaking up oligopolistic market structures, or stifle competition through their market power, and
 ✓ the degree to which the locational competition for FDI increases or decreases distortions in host countries' economic policies.

These factors are closely linked to the different motives¹ for FDI in developing economies and have different growth effect on the host economies (see table 4). For instance:

FDI motivation and its impact on host economy

Table 4

	Capital formation	Human resource development	Linkage	Technology	Export Growth
Market seeking FDI	+	+	+/-	+/-	-
Resource seeking FDI	+	0	+/-	+	+
Efficiency seeking FDI	+	+	+/-	+	+

+ Positive impact; - Negative impact; **0** zero impact

Market seeking FDI can bring new technologies, providing technological assistance to their local suppliers and customers, and are training workers who may subsequently work in domestic firms (Kokko 1994). Moreover, the advanced technology that these imported intermediate goods may contain could spill over into the domestic economy, along the lines of the endogenous growth model of Bayoumi et

¹ Dunning, John H. (2002).Determinants of foreign direct investment: globalization induced changes and the role of FDI policies. Paper presented at the Annual Bank Conference on Development Economics in Europe, Oslo.

al. (1999). In addition, foreign firms may have a wealth of knowledge on access to world markets which the host country does not have, or could only acquire slowly, and which provides local suppliers with income-generating possibilities. Finally, the additional competition induced by foreign firms might also force domestic firms to become more efficient, forcing them to innovate.

On the other hand foreign firms may simply push domestic firms out of the market as they are more technologically advanced. Thus, a partial crowding out of some activity by a foreign affiliate might reduce technology enhancing research and development activity in the host country. However, market seeking FDI involve a higher level of embeddedness inside the host context in this way reinforcing contacts between MNEs and local firms and thus inducing a greater spillover potential. Nevertheless, they are also those that are less involved in foreign markets, because, by definition, they mainly have a domestic market orientation. For these reasons, a non significant result is expected. Moreover, in the long run, the host countries' balance of payments is likely to deteriorate through the repatriation of funds since market-seeking FDI often does not generate export revenues, especially if the protection of local markets discriminates against exports. Hence, the growth impact of this type of FDI should be weaker than the growth impact of efficiency-seeking FDI.

Economies with unfavorable characteristics hardly receive market-seeking FDI in service sectors, when locational attractiveness is measured by per capita GDP. However the services sector by far has been the dominant choice of investment from within the broad composition of foreign investments. Most companies in Georgia are working in financial services, trade, transport & communications.

Georgia with unfavorable characteristics appear to have benefited from higher FDI in the service sector, and even more so than host economies with favorable characteristics. This can be attributed to two factors. In many host economies with unfavorable characteristics, FDI stocks in the service sector are of a recent vintage since they are the outcome of the move to privatize public enterprises. For example, one of the factor to consider when analyzing the structure of investments in Georgia is the fact that they are driven by privatizations in network

industries (telecom, energy generation and distribution, ports, media), real estate (hotels) and basic industries or resource extraction (ferrous metals, magnetite, fertilizers, copper, cement). Investment inflows from privatisation are by nature a one-off occurrence except when they lead to substantial follow-up investments. Real estate, basic industries and resource extractions contribute relatively little to the economy as they do not increase productive capacities and, especially in the case of resource extraction, have limited employment and spill-over effects in the economy as a whole. Investment in real estate and network industries positively impact on the infrastructure of the country but contribute little in terms of production and exports¹.

Resource-seeking FDI in the primary sector tends to involve a large up-front transfer of capital, technology and know-how, and to generate high foreign exchange earnings. On the other hand, resource-seeking FDI is often concentrated in enclaves dominated by foreign affiliates with few linkages to the local product and labour markets. Furthermore, its macroeconomic benefits can easily be embezzled or squandered by corrupt local elites. Rather than enhancing economic growth, resource-seeking FDI in the primary sector might lead the country into some kind of “Dutch Disease”

Moreover, this type of FDI provides a greater demonstration effect because of the greater MNEs’ engagement in trade networks, both inside export and import markets. Finally, even in the case of export platform, different mechanisms are at work: the first is that, as pointed out by Ruane and Southerland (2005), the level of linkages with firms is low and, for this reason, the level of knowledge transfer may be lower as well.

Georgian economy has unfavorable characteristic in terms of per capita GDP. (see table 3). The relevance of host economy characteristics for individual countries’ attractiveness for FDI varies considerably between sectors:

The host economy characteristic considers here are irrelevant for FDI in the primary sector. Unsurprisingly the availability of natural

¹ Michael Schmidt Foreign Direct Investment to Georgia: Can active investment promotion policies make a difference? Georgian-European Policy and Legal Advice Centre (GEPLAC). pp. 63-71.

resources such as oil appears to be the dominant motives for undertaking resource-seeking FDI. For example, Predominant motives for investing in Georgia has been resource-seeking up-to 2006 that was related to the extraction of the natural resources, to the construction of the BTC pipelines and more recently, the construction of the gas pipeline transporting these energy resources, large privatizations and to debt/equity swaps to pay for energy supplies. Up to 2006, vast majority of incoming FDI in Georgia was related to the pipeline transportation.

Availability of complementary human capital in the host economy is important for FDI to stimulate economic growth. But a favorable institutional development is still considerable. As concerns the relationship between economic growths and FDI stocks in particular sectors, the results for petroleum industry support the positive growth effects of higher FDI stocks are restricted to the subgroup with favorable host-economy characteristics. The problem of resource-seeking FDI resulting in enclaves dominated by foreign affiliates with few growth-enhancing spillovers seems to be concentrated in closed host economies with a deficient institutional environment.

Some results suggests that it is more difficult for host economies with relatively low secondary school enrolment ratios to reap positive growth effect of FDI in machinery which is more demanding than electrical equipment in terms of requiring complimentary human capital in host economies.

Efficiency-seeking FDI in some parts of manufacturing draws on the relative factor endowment and the local assets of host economies (UNCTAD, 1998, chapter IV). This type of FDI is more likely to bring in technology and know-how that is compatible to the host countries' level of development, and to enable local suppliers and competitors to benefit from spillovers through adaptation and imitation. Additionally, the world market orientation of efficiency-seeking FDI should generate foreign-exchange earnings for host economies. As a result, one would expect a relatively strong growth impact of FDI in industries that attract efficiency-seeking FDI.

One of the important factor that stimulate efficiency seeking FDI is institutional development and openness to trade. According to the competitive index Georgia hold 60th place in terms of institutional

development with 4.0 scores¹. It means that Georgia has some kind of problems in this way.

Based on the analysis of literatures, a clear picture emerges for the interaction between institutional development of host economies and the growth impact of FDI in manufacturing industries. Institutional development has similar influence on the link between FDI and economic growth for all manufacturing industries. On the one hand, sample economies in which institutional development are favorable reports a higher growth rate when FDI is attracted. Favorable institutional environment helps positive growth effects of FDI, independently of whether FDI is undertaken in technologically advanced or less advanced industries and for market seeking or efficiency-seeking reasons. On the other hand poor institutional development have two effects:

1. few economies receive FDI in manufacturing under such conditions, especially so in industries in which FDI tends to be efficiency-seeking (machinery, electrical equipment);
2. for all industries except chemicals, FDI lacks positive growth effects under such conditions. In other words, a threshold of institutional development is required to attract FDI and to benefit from higher subsequent growth.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (სტატიის პირითადი შინაარსი)

დ. სიხარულიძე

თანამედროვე პირობებში მულტინაციონალური კომპანიების საქმიანობამ, რომელიც დაკავშირებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) განხორციელებასთან, განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში მრავალი ეკონომისტის ფართო ყურადღება

¹ The Global Competitiveness Report 2011–2012. World Economic Forum. Geneva, Switzerland, 2011.

მიიქცია. რაც აიხსნება პუი-ის მოსალოდნელი პოზიტიური ზემოქმედებით მიმდები ქვეყნის ეკონომიკაზე. ერთი მხრივ, ემპირიულ კვლევებში პოზიტიური ეფექტია ხსნილი მიმდები ქვეყანაში ისეთი უნიკალური აქტივების მოდინებით როგორცაა თანამედროვე ტექნოლოგიები, ნოუ-ჰაუ, მმართველობითი უნარები. კვლევები განსაკუთრებით ფოკუსირებულია განვითარებად ქვეყნებზე, კერძოდ, ეკონომისტები მიუთითებენ იმ ფაქტს, რომ განვითარებად ქვეყნებს უნდა გააჩნდეთ შთანთქმის შესაძლებლობების ის კრიტიკული დონე, რომელიც მათ მისცემს საშუალებას მიიღონ მეტი სარგებელი პუი-საგან.

პოლიტიკოსთა და ანალიტიკოსთა უმრავლესობა ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ პუი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკის რესტრუქტურისა და რეორგანიზაციის ნაკადების ზრდა ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანაა, თუმცა, ისინი არ ითვალისწინებენ მიმდები ქვეყნის პეტროგენერაციას. პუი-სთან მიმართებით სტრატეგიის ფორმირებისას აუცილებელია განისაზღვროს პუი-ის მოტივაციები და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე ქვეყნისა და დარგის მახასიათებლების გათვალისწინებით. ამ საკითხის განხილვამდე წარმოვაჩინოთ პუი-სათვის დამახასიათებელ გლობალურ ტენდენციებს და პუი-ის კონტრიბუციის ინდექსს.

გაერო-ს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) 2012 წლის ინვესტიციების მსოფლიო ანგარიშის თანახმად, პუი-ს ნაკადები მნიშვნელოვნად გაიზარდა და მიაღწია 1.5 ტრლნ დოლარს. პუი-ს შემოსული ნაკადების ზრდა დაფიქსირდა როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. განვითარებულ ქვეყნებში პუი-ს მოცულობა გაიზარდა 11%-ით და შეადგინა 684 მლრდ დოლარი. პუი-ის მოდინება გარდამავალ ეკონომიკებში გაიზარდა 25%-ით და შეადგინა 92 მლრდ დოლარი. განვითარებადი და გარდამავალი

ღავეთ სიხარულით

ქვეყნების წილმა 2011 წლისათვის შესაბამისად შეადგინა გლობალური პუი-ის 45 და 6%. 2011 წელს პუი-ს შემოსული ნაკადების მკვეთრი ზრდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, დსთ-ს ქვეყნებსა და საქართველოში ძირითადად გამოწვეული იყო შერწყმებისა და შთანთქმების გარიგებების დინამიკურობით. მიუხედავად შერწყმებისა და შთანთქმების ზრდისა „გრინფილდინვესტიციები“ (GreenfieldInvestment) ბაზარზე შედწვევის კვლავაც დომინირებადი ფორმაა.

პუი-ის მოტივაცია და მამოძრავებელი ძალა განსხვავდება ქვეყნებისა და ეკონომიკის დარგების მიხედვით. ზოგადად, აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპა სულ უფრო იზიდავს შედარებით მაღალი დამატებული ღირებულების შემქმნელ წარმოებას (როგორცაა ელექტრონიკა და მანქანათმშენებლობა), რომელიც გამოირჩევა წარმოების გეოგრაფიული კონცენტრაციით, საბოლოო მწარმოებელთან სიახლოვით და ხარისხის კონტროლის მაღალი მოთხოვნით. ზემოთ ნახსენებ დარგებში ძირითადად ხორციელდება ეფექტიანობაზე ორიენტირებული პუი, მაშინ როდესაც სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა და თურქეთი და ისეთი დარგები როგორცაა - საფეიქრო, კვების პროდუქტების გადამამუშავება და მომსახურება ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პუი-ის სამიზნეა.

გარდა ამისა, ძალზე საინტერესოა პუი-ის კონტრიბუციის ინდექსის ანალიზი განვითარებად ქვეყნებსა და საქართველოში, რომელიც გვიჩვენებს უცხოურ კაპიტალზე დაფუძნებული საწარმოების გავლენის ხარისხს შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: დამატებული ღირებულება, დასაქმება, შრომის ანაზღაურება, გადასახადები, ექსპორტის, ასევე კაპიტალის ფორმირება. 2009 წლის კონტრიბუციის ინდექსის მიხედვით, პუი-ის კონტრიბუციის მაღალი ინდექსით ხასიათდება უზგრეთი, ასევე ბელგია და ჩეხეთის რესპუბლიკა.

საქართველოში კონტრიბუციის ინდექსის ანალიზი

გვიჩვენებს, რომ ტნკ-ის როლი დიდია ქვეყნის ეკონომიკის სიდიდესთან შედარებით. თუმცა, მისი გავლენა განსხვავდება ცალკეული ინდიკატორის მიხედვით. მაგალითად, დამატებული ღირებულების, დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების მაღალი კოეფიციენტი ასახავს იმ ფაქტს, რომ საქართველოში და მრავალ განვითარებად ქვეყანაში შრომატევადი წარმოება შედარებით მაღალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ამასთან, უცხოურ კაპიტალზე დაფუძნებულ საწარმოებში შრომის ანაზღაურება შედარებით მაღალია, ვიდრე ადგილობრივ ფირმებში.

ექსპორტის კოეფიციენტი მაღალია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის იმ ქვეყნებში, სადაც ექსპორტზე ორიენტირებული დარგები ფორმირდებოდა ტნკების უცხოური ფილიალების მნიშვნელოვანი მონაწილეობით და სადაც ეფექტიანობაზე ორიენტირებული პუი-ის ნაკადების მოცულობა იყო მაღალი.

როგორ აღვნიშნეთ, მიმღები ქვეყნის მიზანია რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღოს ტნკების მიერ შექმნილი ღირებულებიდან. თუმცა, სარგებლის მიღება განსაზღვრული დონით დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკასა და ტნკების სტრატეგიაზე. რაც უფრო მცირეა კავშირი ტნკ-სა და ადგილობრივ ეკონომიკას შორის, მით რთულდება იმის გარკვევა კონკრეტულად რა სჭირდება მიმღებ ქვეყანას პუი-ის მოზიდვით. ამგვარად, პუი-ს აქვს შესალებლობა გაზარდოს მიმღები ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, მაგრამ, მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე განსხვავებულია და დამოკიდებულია არა მხოლოდ პუი-ის მოტივაციებზე, არამედ მიმღები ქვეყნის მახასიათებლებზე.

ეკლექტიკური პარადიგმის საფუძველზე, რომელშიც გაანალიზებულია პუი-ის დეტერმინანტები, ჯონ დანინგი პუი-სათვის ადგილმდებარეობის მიმზიდველობას განსაზღვრავს

ღაგით სიხარულით

ინვესტიციების შემდეგი მოტივაციით: ბუნებრივ რესურსების მაძიებელი პუი, ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პუი, ეფექტიანობაზე ორიენტირებული პუი.

გარდა ამისა, ფაქტია, რომ პუი-ის მიმღებ ქვეყანაზე დადებითი გავლენის ეფექტი დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის და დარგის მახასიათებლებზე, კერძოდ:

მიმღები ქვეყნის შესაძლებლობა შთანთქას პუი-ის განხორციელებით მიღებული სარგებელი დაკავშირებულია მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის სიდიდეზე;

მაღალ კვალიფიციური ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფილი მიმღები ქვეყანა შეძლებს მიიღოს მეტი სარგებელი თანამედროვე ტექნოლოგიების გადაცემით, რაც დაკავშირებულია ტნკ-ების საქმიანობასთან;

ეკონომიკის გახსნილობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ტნკ მისდევს კომპლექსურ ინტეგრაციულ სტრატეგიას, რაც გულისხმობს შუალედური პროდუქტების იმპორტზე შეზღუდვების გაუქმებას საწარმოო პროცესის ყველა სტადიაზე;

ტნკ-ების მიერ ტექნოლოგიების გადაცემა დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის ინსტიტუციონალური განვითარების დონეზე, რომელიც მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა სამართლებრივი ნორმები, კორუპცია, სახელმწიფო მართვა, საკუთრების უფლების დაცვა და ა.შ.

ყველა ეს ფაქტორი მჭიდროდაა დაკავშირებული პუი-ის მოტივაციებთან და აქვს განსხვავებული ზრდის ეფექტი მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. მაგალითად, ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პუი-ის მიმღებ ქვეყანას უზრუნველყოფს ტექნოლოგიური მხარდაჭერით, კადრების გადამზადებით. ამასთან, თანამედროვე ტექნოლოგიების და შუალედური პროდუქტების იმპორტი, ენდოგენური ზრდის მოდელის მიხედვით, უზრუნველყოფს ეროვნულ ეკონომიკას დამატებითი ეკონომიკური ეფექტით. ასევე, შიგა ბაზარზე

კონკურენციის გამწვავება უბიძგებს სამამულო ფირმებს ინოვაციების დანერგვით მიაღწიონ წარმოების მაღალ ეფექტიანობას.

პუი-ს, დადებითთან ერთად, შეიძლება თან ახლდეს არასასურველი პროცესებიც, რომელთა შორისაა გამოდევნის ეფექტი, ვინაიდან უცხოური ფირმები მაღალკონკურენტუნარიანია. გარდა ამისა, ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პუი, თავისი ბუნებით, შიგა ბაზარზე ორიენტირებული და ნაკლებად არის ჩართული საექსპორტო საქმიანობაში, რასაც გრძელვადიან პერიოდში შეიძლება მოჰყვეს მიმღები ქვეყნის საგადასხდელო ბალანსის გაუარესება ფონდების რეპატრიაციის გამო. საქმე ისაა, რომ ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პუი, ხშირ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფს ფულადი სახსრების შემოდინებას საექსპორტო საქმიანობიდან.

ქვეყანა არახელსაყრელი მახასიათებლებით, ძნელად იზიდავს ბაზარზე ორიენტირებულ პუი-ს მომსახურების სექტორში, როდესაც ადგილმდებარეობის მიმზიდველობა განისაზღვრება მშპ-ით მოსახლეობის ერთ სულზე. თუმცა, თუ გავანალიზებთ საქართველოში ინვესტიციების დარგობრივი სტრუქტურას და ვინახავთ, რომ მომსახურების სფეროც მიმზიდველია ინვესტორებისათვის, განსაკუთრებით ფინანსური მომსახურება გააჭრობატრანსპორტი და კომუნიკაცია, რაც განპირობებულია ძირითადად პრივატიზაციის პროცესით ქსელურ ინფრასტრუქტურაში (ტელეკომუნიკაცია, ელექტროენერჯის წარმოება და განაწილება, პორტები, ნავთობტერმინალები), უძრავ ქონებაში (სასტუმროები). პრივატიზაციის შედეგად მოზიდული, ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პუი მომსახურების სექტორში ნაკლებად უწყობს ხელს ეკონომიკის ზრდას ექსპორტის ხელშეწყობისა და დამატებითი ეკონომიკური ეფექტების შექმნის შეზღუდული შესაძლებლობების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ბაზარი, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მიხედვით, არახელსაყრელად გამოიყურება, 2006 წლამდე საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების ძირითად მოტივაციას წარმოადგენდა ბუნებრივი რესურსები, რომელიც დაკავშირებული იყო ჯერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, მოგვიანებით კი, სამხრეთ კავკასიური (შაჰ-დენიზის) გაზსადენის მშენებლობასთან. ასევე ინვესტიციები განხორციელდა ნედლეულის მოპოვებაში (შავი ლითონები, მაგნეზიტი, სასუქები, სპილენძი, ცემენტი). როგორც აღვნიშნეთ, ამ ტიპის ინვესტიციებისათვის დამახასიათებელია კონცენტრირება ანკლავურ წარმონაქმნებში, თუ ქვეყანაში ინსტიტუციონალური გარემო არ არის ხელსაყრელი. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით საქართველო ინსტიტუციონალური გარემოს განვითარებით, მენეჯმენტული და გააჩნია სერიოზული პრობლემები ისეთი მიმართულებებით, როგორცაა ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, სასამართლოს დამოუკიდებლობა, ადგილობრივი კანონმდებლობის ეფექტიანობა და ა.შ რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ტიპის ინვესტიციების განხორციელებას შეიძლება მოჰყვეს უარყოფითი ეფექტი.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში შემოსული პუი-ის ნაკადები ნაკლებად მდგრადია, რაც განპირობებულია, პირველ რიგში, ქვეყნის არახელსაყრელი მახასიათებლებით. გრძელვადიან პერიოდში აუცილებელია ეფექტიანობაზე ორიენტირებული პუი-ის მოზიდვა, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული ექსპორტის დივერსიფიკაციას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ამისათვის კი აუცილებელია კვალიფიციური ადამიანური კაპიტალის ფორმირება, ინსტიტუციონალური გარემოს გაუმჯობესება და ქართული ბაზრის მიმზიდველობის ზრდა.

**კაპიტალის ბაზრის განვითარება
საქართველოში**

**გიორგი ხიშტროვანი
ბრემენის უნივერსიტეტის დოქტორანტი**

ბოლო 20 წელია საქართველოში ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარებისათვის აუცილებელი ორი პარალელური პროცესი მიმდინარეობს: ერთი მხრივ, ფორმირდება ქართული კაპიტალიზმის მოდელი¹ და მეორე მხრივ, ჩამოყალიბების პროცესშია ფუნქციონირებადი ქართული ფინანსური ბაზარი. წინამდებარე სტატიის მიზანია, ფინანსური ბაზრის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის – კაპიტალის ბაზრის² გაანალიზება, საქართველოში მისი არსებული დაბალგანვითარებულობის მიზეზების თეორიული ახსნა და გრძელვადიანი შედეგების პროგნოზირება.

კაპიტალის ბაზრის განვითარების დაბალი დონე, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ყოველი transitional economy³-ის ფინანსური განვითარების საბოლოო მიზნის განხორციელებას, ქვეყნის ეკონომიკის მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე სრულფასოვან ინტეგრაციას ხდის სათუოს, რადგან მსოფლიო ეკონომიკაში არსებული ისეთი მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტრუმენტის

¹Christophe, Barbara (2006): Capitalism as Organized Chaos- The Political Economy of Georgia under Eduard Shevardnadze, in: David Lane/Martin Myant, eds.: The Varieties of Post-Socialist Capitalism, Oxford.

² როდესაც კაპიტალის ბაზარს ვახსენებთ, ვგულისხმობთ საჯარო დაფინანსების ორგანიზებული (ან არაორგანიზებული) ინსტიტუტების ერთობლიობას. თავის მხრივ, საჯარო დაფინანსება, პირდაპირი ინვესტირებისა და საბანკო დაფინანსებისაგან განსხვავებით, გულისხმობს წინასწარ განუსაზღვრელი პოტენციური ინვესტიორების ან უბრალოდ საკუთარი დანაზოვის დაბანდების მსურველი კერძო აქტორების მიერ აქციების ფლობის მეშვეობით, კერძო თუ სახელმწიფო ორგანიზაციების საკუთრებაში მონაწილეობას; აგრეთვე, ასეთი ორგანიზაციების დაფინანსებას სხვადასხვა ტიპის სასესხო ობლიგაციების შექმნის გზით.

³Papava, Vladimer (2005): On the theory of post-Communist economic transition to market, International Journal of Social Economics, Vol. 32 Iss: 1 pp. 77

გამოყენებას აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, როგორცაა, მაგალითად, ცალკეული აქტივების ან მთლიანად საწარმოების შეფასების თანამედროვე კონცეფციები და კაპიტალის ბაზარზე ორიენტირებული ფინანსური ანგარიშგება; ამავდროულად, დაბალგანვითარებული კაპიტალის ბაზრის პირობებში საფრთხე ექმნება ქვეყნის ეკონომიკური ლიბერალიზაციისათვის აუცილებელი პირობების შესრულებას; ასე, მაგალითად, ბაზრის მონაწილეთა მიერ თანაბარ პირობებში კაპიტალის მოზიდვასა და შემდგომ, სხვა მოთამაშეებთან თავისუფალ კონკურენტულ გარემოში, საკუთარი რაციონალური მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობას; ან, თუნდაც, ადგილობრივი ფიზიკური ან იურიდიული პირების, როგორც პოტენციური ინვესტორების მიერ კაპიტალის ქვეყნის ეკონომიკაში დაბანდების შესაძლებლობის გაჩენას, ნაცვლად დაბანდების საქართველოში აპრობირებული მეთოდის - ფულადი სახსრების საბანკო სექტორში ანაბარზე განთავსებისა. საბოლოო ანგარიშით, სუსტი კაპიტალის ბაზრის არსებობის პირობებში, ერთი მხრივ, საგრძნობლად მცირდება ქვეყნის ეკონომიკაში საერთაშორისო კაპიტალის არსებობის ალბათობა და მეორე მხრივ, იზღუდება ადგილობრივი ფინანსური რესურსის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ეფექტიანი გადანაწილების შესაძლებლობა, რაც ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გრძელვადიან პერსპექტივას აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ.

სანამ სტატიის ძირითად ნაწილზე გადავიდოდეთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ 2003 წლის შემდეგ საქართველოში განხორციელებული ის პოზიტიური ცვლილებები, რომელთა ერთობლიობას, წესით, როგორც ქართული ფინანსური ბაზრის, ასევე მასთან კავშირში მყოფი ინსტიტუტების ხარისხის ზრდა უნდა მოჰყოლოდა, რაც, თავის მხრივ, ასახვას პოვებდა ქართული ეკონომიკისა და ქართული საწარმოების ღირებულების ზრდაზე და ხელს შეუწყობდა როგორც ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო ფინანსურ სისტემაში ინტეგრაციას, ასევე მის ლიბერალიზაციასა და დივერსიფიცირებას¹. ასე, მაგალითად, მკვეთრად გაიზარდა ქართული სადაგადასახადო სამართლის აღსრულების ხარისხი, რასაც ემპირიულად, როგორც წესი, საწარმოების ღირებულების ზრდა და კორპორატიული

¹ Papava, Vladimer (2009): The “Rosy” Mistakes of the IMF and World Bank in Georgia, Problems of Economic Transition, vol. 52, no. 7, November 2009, pp. 44-55.

მმართველობის (Corporate Governanc) ხარისხის გაუმჯობესება მოჰყვება¹. აგრეთვე, კორუფცია, რომელსაც ნეგატიური გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე, საწარმოების ღირებულებაზე, კაპიტალის ხარჯებსა და კორპორატიული მმართველობის (Corporate Governance) ხარისხზე², 2003 წლიდან საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა³. ამავდროულად, ფინანსური ბაზრის გახსნა და მისი ლიბერალიზაცია საქართველოს მთავრობის გაცხადებული პოლიტიკაა. ამ პოლიტიკის სამუშაო ინსტრუმენტები⁴ საქართველოში წარმატებით დაინერგა⁵ და ის, როგორც წესი, პოზიტიურად კორელირდება პირდაპირ უცხოური ინვესტიციებთან, ე.წ. Emerging Markets-ში⁶ და ასევე, იწვევს ადგილობრივი საწარმოების ღირებულების ზრდას⁷. ქართული ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზრდა ბოლო 10 წელიწადში ასევე უნდა განიხილებოდეს, როგორც ქართული ფინანსური ბაზრის (განსაკუთრებით, კაპიტალის ბაზრის) განვითარების წინაპირობა და წესით, ხელი უნდა შეეწყოს მისთვის, ისე როგორც ეს სხვა გარდამავალი ეკონომიკის (transitional economy) შემთხვევაში მოხდა⁸. სამწუხაროდ, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

¹ Desai, Mihir A. / Dyck, Alexander / Zingales, Luigi (2007): Theft and taxes, Journal of Financial Economics 84, pp. 591–623.

² Ng, David, (2006), "The impact of corruption on financial markets", Managerial Finance, Vol. 32 Iss: 10 pp. 822 – 836.

³ Lee Charles M. C. and Ng David (2009): Corruption and International Valuation: Does Virtue Pay?, THE JOURNAL OF INVESTING, Winter 2009, 23–41.

Schwab, Klaus (2012): Global Competitiveness Report 2012-2013.

⁴ Djankov Simeon, La Porta Rafael, Lopez-De-Silanes Florencio, Shleifer Andrei (2002): THE REGULATION OF ENTRY, The Quarterly Journal of Economics, February 2002, pp. 1-37.

⁵ „Doing Business 2012“ (2011), ინფორმაცია მოპოვებულია 2012 წლის 6 სექტემბერს ელექტრონული რესურსის მისამართიდან: <http://www.doing-business.org/reports/global-reports/doing-business-2012>.

⁶ Agosin, Manuel R. & Machado, Roberto (2007): Openness and the International allocation of foreign direct investment, Journal of Development Studies, 43:7, pp. 1234-1247.

⁷ Choong Tze Chua, Cheol S. Eun, Sandy Lai (2007): Corporate valuation around the world: The effects of governance, growth, and openness, Journal of Banking & Finance, 31, pp. 35–56.

⁸ Barna Flavia and Mura Petra-Ovidiu (2010): CAPITAL MARKET DEVELOPMENT AND ECONOMIC GROWTH: THE CASE OF ROMANIA, Annals of the University of Petroșani, Economics, 10(2), pp. 31–42.

ფაქტორის მიუხედავად, საქართველოში კვლავ თვალსაჩინოა ფუნქციონირებადი კაპიტალის ბაზრის არარსებობა, რაზეც ცალსახად მეტყველებს საქართველოს საფონდო ბირჟაზე მისი ძირითადი ინსტრუმენტებით (აქციები, კორპორაციული ობლიგაციები და სხვა ტიპის ფასიანი ქაღალდები) ვაჭრობის დაბალი მაჩვენებლები¹. აგრეთვე, მხედველობაში მისაღებია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნები (მოსაზრებები, ანგარიშები), როგორცაა მაგალითად „მსოფლიო ეკონომიკის ფორუმი“-ს მოხსენება, სადაც ქართული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, მისი ფინანსური სექტორის განუვითარებლობა სახელდება².

ამ პრობლემის ასახსნელად, მოვახდენთ რამდენიმე ჰიპოტეზის ფორმულირებას, რომლის მეშვეობით და სხვადასხვა ფაქტორის დახმარებით, შესაძლებელი გახდება ასეთი დაბალგანვითარებულობის თეორიული ახსნა (შემდგომ კვლევებში საჭირო გახდება ამ ჰიპოთეზების ემპირიული ვადამოწმება).

პირველ ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება დასახელდეს ქართული საბანკო სისტემა და გამოითქვას ვარაუდი, რომ მისი მონოპოლია ქართულ ფინანსურ ბაზარზე კაპიტალის ბაზრის დაბალგანვითარებულობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ საბანკო სექტორი ერთ-ერთი უიშვიათესი ქართული ინსტიტუციაა, რომელიც XX საუკუნის 90-იანი წლების კოლაფსის შემდეგ თანდათან განვითარდა და საკუთარი საბაზრო პოზიციები, დროთა განმავლობაში, უფრო მეტად გაიმყარა. შედეგად, ე.წ. გავლენიანი ჯგუფების თეორიით³ ჩამოყალიბებული წესების სრული დაცვით, საქართველოში გაჩნდა ძლიერ ფინანსურ მთამაშეთა პატარა კომპოგენური ჯგუფი, რომელიც როგორც წესი, მოსალოდნელი კონკურენციის საშიშროების გამო, ფინანსური

¹ Christophe, Barbara (2006): Capitalism as Organized Chaos- The Political Economy of Georgia under Eduard Shevardnadze, in: David Lane/Martin Myant, eds.: The Varieties of Post-Socialist Capitalism, Oxford.

² Schwab, Klaus (2012): Global Competitiveness Report 2012-2013.

³ Olson, Mancur (1965): The Logic of Collective Action: Public Goods and the Theory of Groups, Harvard University Press.

სისტემის შემდგომ განვითარებას უშლის ხელს¹. მიუხედავად იმისა, რომ ემპირიულად ამ პრობლემის (ფინანსური ბაზრის განვითარების შენელება) გადაჭრის საუკეთესო საშუალებად საქონლისა და კაპიტალის ტრანსსასაზღვრო (cross-border) მოძრაობის გაძლიერება ითვლება² და ქაღალდზე ეს პირობები საქართველოშიც სამაგალითოდ სრულდება, მაინც ვერ მოხერხდა ზემოთ ხსენებული წინააღმდეგობის დაძლევა. ამის მიზეზად შესაძლებელია თვითონ საქართველოს სახელმწიფოს სუსტი ინსტიტუციური ორგანიზება (არარსებული ტრანსპარენტულობა, ინვესტორთა სუსტი სამართლებრივი დაცვა³) დასახელდეს⁴. ამ გარემოებამ შესაძლოა, ორი მიმართულებით გამოიწვიოს კაპიტალის ბაზრების დაბალგანვითარებულობა საქართველოში. ერთი მხრივ, ცნობილია, რომ ინსტიტუციურად სუსტ ქვეყნებში ინვესტორები უპირატესობას უკვე არსებული ადგილობრივი საკრედიტო ინსტიტუტების დაფინანსებას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) განხორციელებას ანიჭებენ, ვიდრე ე.წ. პორტფელურ ინვესტიციებს,⁵ რაც, თავის მხრივ, საბანკო სისტემის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას იწვევს; მეორე მხრივ, ემპირია ადასტურებს, რომ ფინანსური ბაზრების განვითარების ტემპი განსაკუთრებით მაშინ იკლებს, როდესაც ძლიერ ინტერესთა ჯგუფების არსებობას, სუსტი და არასტაბილური სახელმწიფოს არსებობა ახლავს თან⁶.

¹Raghuram G. Rajan and Luigi Zingales (2003): The great reversals: the politics of financial development in the twentieth century, *Journal of Financial Economics* 69, pp. 5–50; Murgulia, Teimuraz (2012): Finanzsektor, Nationalbank und Maßnahmen zur Steigerung der Wettbewerbsfähigkeit georgische Volkswirtschaft, In: *COMPETITION POLICY AND PRACTICE OF MARKET REGULATION*, pp. 117-125.

²Badi H. Baltagi, Panicos O. Demetriades, Siong Hook Law (2009): Financial development and openness: Evidence from panel data, *Journal of Development Economics* 89, pp. 285–296.

³ემპირიულად დასტურდება, რომ მცირე წილის მქონე აქციონერთა სუსტი დაცვის პირობებში, როულდება კაპიტალის ბაზრის განვითარების პროცესი (Modigliani/Perotti, 1997) და დაინტერესებულ ჯგუფთა მხრიდან უპირატესობა საბანკო დაკრედიტების ფორმას ენიჭება (Modigliani/Perotti, 2000).

⁴Haber Stephen, North C. Douglass, Weingast R. Barry (2008): *Political Institutions and Financial Development*, Stanford University Press; Daude Christian and Fratzscher Marcel (2008): The pecking order of cross-border investment, *Journal of International Economics* 74, pp. 94–119.

⁵Daude Christian and Fratzscher Marcel (2008): The pecking order of cross-border investment, *Journal of International Economics* 74, pp. 94–119.

⁶Becerra O., Cavallo E., Scartascini C. (2012): The politics of financial development: The role of interest groups and government capabilities, *Journal of Banking & Finance* 36, pp. 626–643; Levitsky Steven and Way Lucan A. (2010): *Competitive Authoritarianism: Hybrid Regimes after the Cold War*, Cambridge University Press.

მეორე ხელის შემშლელ ფაქტორად შეიძლება საქართველოს სახელმწიფო და მის მიერ საქართველოს ფინანსური ბაზრების არა წინასწარ განზრახული შეფერხება დასახელდეს. ამ კონტექსტით, პირველ რიგში უნდა მოხდეს საქართველოს უკანასკნელი ათი წლის ეკონომიკური პოლიტიკის ორი ძირითადი პარადიგმის განმარტება. პირველია სახელმწიფოს განსაკუთრებული კონცენტრაცია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე (FDI), ხოლო მეორე, ამ ტიპის პოლიტიკიდან ლოგიკურად გამომდინარე, მცდელობა სახელმწიფოს მხრიდან - მომავალი საპრივატიზაციო პროექტებისათვის სახელმწიფო კომპანიების ფინანსური მდგომარეობის გაძლიერებას და მათი საბაზრო პოზიციების გამყარებას შეუწყოს ხელი, რაც, საბოლოო ანგარიშით, მნიშვნელოვნად არღვევს ქართულ ბაზრებზე არსებულ ისედაც სუსტ ბალანსს და შეუძლებელს ხდის ასეთი ტიპის ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაოდ ცნობილია საქართველოს ხელისუფლების როგორც მინიმუმ ორი სერიოზული მცდელობა უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, გაეძლიერებინა არსებული კაპიტალის ბაზარი და დღესაც ქვეყნის პოლიტიკური ელიტა გაცხადებულად უწყობს ამ პროცესს ხელს, ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო, ამ მიზნის რეალიზება შეუძლებელი ხდება. საგულისხმოა, რომ 2008 წელს, როდესაც საქართველოს მთავრობამ „საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის კანონპროექტი“ და სხვა თანამდევი კანონპროექტები წარმოადგინა, საერთოდ არ უხსენებია საფონდო (კაპიტალის) ბაზრის განვითარება, ანუ, საფინანსო სექტორის კონკურენტუნარიანობაში მან მხოლოდ საბანკო სექტორის ზედამხედველობის გაძლიერება იგულისხმა და სხვა არაფერი. საბოლოოდ, კონონის მიღებიდან 2 წელიწადში, ის გაუქმდა, რადგანაც მან პრაქტიკაში ვერ იმუშავა¹. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით ვაწყდებით პრობლემას, რომ ამ ტიპის ინვესტიციები ხელს უშლის კაპიტალის ბაზრის განვითარებას, რადგან მისი

¹Narmania, David (2008): დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა საქართველოს კანონის პროექტზე „საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ“, ინფორმაცია მოპოვებულია 2012 წლის 5 სექტემბერს ელექტრონული რესურსის მისამართიდან: http://www.ciesr.org/files/7_globaluri_safinanso_sektori_d.narmania.pdf

საშუალებით კაპიტალის ბაზრისათვის აუცილებელი ფუნქციონირებადი საბაზრო მექანიზმების (როგორცაა მაგ. კაპიტალის ბაზართან კომუნიკაცია, გამჭვირვალე და ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგება, ლისტინგი საფონდო ბირჟაზე და ვაჭრობა სხვადასხვა ტიპის ფასიანი ქაღალდებით) ჩანაცვლება და აუცილებელი წინაპირობების, როგორცაა მაგალითად მცირე წილის მქონე აქციონერების სამართლებრივი დაცვის ძლიერი ინსტიტუტი, უზრუნველყოფა ხდება¹. რაც შეეხება სახელმწიფო საწარმოების ცალმხრივ პრივილეგირებას, საინტერესოა Thang/Freeman (2009)² კვლევა, რომელიც ცალსახად გვიჩვენებს, თუ რა ტიპის უარყოფითი მაკრო და მიკროეკონომიკური შედეგები მოჰყვება განვითარებად ქვეყნებში სახელმწიფო კომპანიების მიერ ადგილობრივ ბაზრებზე დომინირებას.

სახელმწიფოს მიერ ცალკეული საწარმოების წახალისების საკითხი გვაახლოვებს მესამე მნიშვნელოვან ფაქტორთან, რომელიც შეიძლება საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელისშემშლელ ელემენტად დასახელდეს. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ე.წ. პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირში მყოფ კომპანიებს („politically-connected-firms“³). ასეთი კომპანიების შემთხვევაშიც ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ეს კონტაქტებიც, მსგავსად სახელმწიფოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიისა, ზედმეტს ხდის ისეთი საბაზრო მექანიზმების გამოყენებას, როგორცაა კაპიტალის ბაზართან კომუნიკაცია, გამჭვირვალე და ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგება, ლისტინგი საფონდო ბირჟაზე და ვაჭრობა სხვადასხვა ტიპის ფასიანი ქაღალდებით⁴. ემპირია ამავდროულად ადასტურებს, რომ ასეთი ტიპის პოლიტიკური

¹ Daude Christian and Fratzscher Marcel (2008): The pecking order of cross-border investment, *Journal of International Economics* 74, pp. 94–119.

² Thang Nguyen Van & Freeman Nick J. (2009): State-owned enterprises in Vietnam: are they ‘crowding out’ the private sector?, *Post-Communist Economies*, 21:2, pp. 227–247.

³ Faccio, Mara (2006): Politically Connected Firms, *THE AMERICAN ECONOMIC REVIEW*, March 2006, pp. 369–386; Fisman, Raymond (2001): Estimating the Value of Political Connections, *The American Economic Review*, Vol. 91, No. 4 (Sep., 2001), pp. 1095–1102.

⁴ Chaney Paul K., Faccio Mara, Parsley David (2011): The quality of accounting information in politically connected firms, *Journal of Accounting and Economics* 51, pp. 58–76; Leuz Christian, Oberholzer-Gee Felix (2006): Political relationships, global financing, and corporate transparency: Evidence from Indonesia, *Journal of Financial Economics* 81, pp. 411–439; Faccio, Mara (2006): Politically Connected Firms, *THE AMERICAN ECONOMIC REVIEW*, March 2006, pp. 369–386.

კონტაქტები ამცირებს საწარმოს კაპიტალის ხარჯებს¹, ზრდის მის შემოსავლებს და აქედან გამომდინარე, იწვევს საწარმოს ღირებულების ზრდას². შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ განსაკუთრებით ამ უკანასკნელი გარემოებიდან გამომდინარე, მსგავსი ტიპის საწარმოების მესაკუთრეები გარდამავალ ეკონომიკებში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საზიანოდ, უპირატესობას სწორედ ასეთი კავშირებით გამოწვეულ საწარმოს Performance-ის ზრდას (განსხვავებით სტრატეგიისა, რომელიც საბაზრო ურთიერთობებიდან გამომდინარე წარმატებას დაეფუძნება) ანიჭებენ³. მათ გრძელვადიან მიზანს კი, სავარაუდოდ ასეთი საწარმოების უცხოელ ინვესტორებზე მომგებიანი გასხვისება წარმოადგენს⁴. აგრეთვე, მისაღებია მხედველობაში, რომ 2012 წელს გამოცემული გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საქართველო საკუთრების უფლებების დაცვის კუთხით 142 ქვეყნიდან 131-ე ადგილზე გვხვდება⁵. აღნიშნული ფაქტი ნაწილობრივ ხსნის, თუ რატომ შეიძლება განსხვავებული ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც დაკავშირებული, ასევე დაუკავშირებელი ქართული კომპანია არ იყოს დაინტერესებული, გაასაჯაროსოს ინფორმაცია თავისი მესაკუთრეების შესახებ, რაც, თავის მხრივ, კაპიტალის ბაზრის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

კაპიტალის ბაზრის განვითარებლობის არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზია, საზოგადოების მიერ მისი სოციალური აღქმა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 90-იან წლებში ქართულ ფინანსურ ბაზარზე ადგილი ჰქონდა ძლიერი კაპიტალის ბაზრის დამკვიდრების როგორც მინიმუმ, ორ სერიოზულ მცდელობას.

¹ Boubakri Narjess, Guedhami Omrane, Mishra Dev, Saffar Walid (2012): Political connections and the cost of equity capital, Journal of Corporate Finance 18, pp. 541–559.

² Leuz Christian, Oberholzer-Gee Felix (2006): Political relationships, global financing, and corporate transparency: Evidence from Indonesia, Journal of Financial Economics 81, pp. 411–439; Faccio, Mara (2006): Politically Connected Firms, THE AMERICAN ECONOMIC REVIEW, March 2006, pp. 369–386.

³ Papava, Vladimer (2002): Necroeconomics - the theory of post-Communist transformation of an economy, International Journal of Social Economics, Vol. 29 Iss: 10 pp. 796 – 805.

⁴ Faccio, Mara (2006): Politically Connected Firms, THE AMERICAN ECONOMIC REVIEW, March 2006, pp. 369–386; Baum Christopher F., Caglayan Mustafa, Schäfer Dorothea and Talavera Oleksandr (2008): Political patronage in Ukrainian banking, Economics of Transition, Volume 16(3), pp. 537–557.

⁵ Schwab, Klaus (2012): Global Competitiveness Report 2012-2013.

არსებითად, პირველ მცდელობაში იგულისხმება ე.წ. სავაუჩერო პრივატიზაციის პროცესი და აზრს მოკლებულად არ მეჩვენება ამ პროცესის წარუმატებლობის გავლენის გათვალისწინება ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ დაწყებული პროცესის აგრეთვე წარუმატებელ შედეგებზე. თავის დროზე, ეს იყო ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს და მისი მოსახლეობის პირველი გამოცდილება რეალურ საკუთრებასთან მიმართებით, რაც გამოიხატება ფაქტობრივად გაკოტრებული ქართული საწარმოების აქციების ფლობაში, რომლებშიც ეს აქციონერები პარალელურად დასაქმებულები იყვნენ¹. ამ კონტექსტით, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ე.წ. „ვაშინგტონის კონსესუსი“-ს კონცეფცია, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, მსოფლიოს მასშტაბით ბაზრების გახსნასა და მსოფლიო ეკონომიკის მაქსიმალურ „ლიბერალიზაციას“ უწევდა პროპაგანდას და რომელმაც იმ პერიოდში მსოფლიო საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით, საქართველოშიც მოიკიდა ფეხი. ამ კონტექსტშივე უნდა ვახსენოთ „ვაშინგტონის კონსესუსი“-ს კონცეფციიდან გამომდინარე ე.წ. „გაიდარის რეფორმები“ რუსეთში, რომლის კოპირება თითქმის ყველა გარდამავალ ეკონომიკაში მოხდა და რამდენიმე გამონაკლისის გარდა (როგორც წესი, გამონაკლისია დიდი გაზის და ნავთობის მოპოვებელი და ლითონის გადამამუშავებელი საწარმოები ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე), პრივატიზებული საწარმოების გაკოტრებითა და აქტივების სახით არსებული ქონების ნამდვილი გაფლანგვით დასრულდა². საქართველოში, ისევე, როგორც ბევრ სხვა გარდამავალ ეკონომიკაში, ამ პროცესს თან სდევდა კონტინენტალურ-ევროპული სამართლებრივი სისტემის პრიმიტიული გადმოღება, რომელიც იმ პერიოდში პირველი თაობის ქართველ მცირე წილის მქონე აქციონერებს

¹Papava, Vladimer (2010): The Problem of Zombification of the Postcommunist Necroeconomy, Problems of Economic Transition, vol. 53, no. 4, August 2010, pp. 35–51.

² Christophe, Barbara (2006): Capitalism as Organized Chaos- The Political Economy of Georgia under Eduard Shevardnadze, in: David Lane/Martin Myant, eds.: The Varieties of Post-Socialist Capitalism, Oxford; Papava, Vladimer (2002): Necroeconomics - the theory of post-Communist transformation of an economy, International Journal of Social Economics, Vol. 29 Iss: 10 pp. 796 – 805.

ძალიან სუსტ სამართლებრივ დაცვას სთავაზობდა¹. ეს და კიდევ ბევრი სხვა მიზეზი გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარების მეორე მცდელობას თავიდანვე თან სდევდა მოსახლეობაში ჯერ კიდევ ცოცხალი მოგონება 90-იანი წლების ე.წ. „ვაუჩერიზაციის პროცესი“-ს კოლექტიური კოლაფსის შესახებ და რომ ეს ფაქტორი დღესაც თავის როლს თამაშობს ასეთი ბაზრის ჩამოყალიბებაში.

ამ ეტაპზე შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ წრე შეიკრა. ქართული საბანკო სექტორი, სავარაუდოდ, მჭიდრო კავშირშია ქართულ სახელმწიფოსთან და მას ამოძრავებს, განპირობებული კორპორატიული ინტერესებით შინაგანი მოტივაცია, ხელი შეუშალოს საქართველოში ფუნქციონირებადი კაპიტალის ბაზრის ჩამოყალიბებას. საქართველოს მთავრობა, თავის მხრივ, ხელს უწყობს ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესს და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. ამით კი ის უნებლიედ ართულებს კაპიტალის ბაზრის ფორმირებას ქვეყანაში, როდესაც, ერთი მხრივ, მკვეთრად არღვევს წონასწორობას ადგილობრივ ბაზრებზე და მეორე მხრივ, თავისი პოლიტიკით ქვეყანაში რეალური ინსტიტუციების ჩამოყალიბებასა და განვითარებას უშლის ხელს. ამავდროულად, საწარმოების დონეზე არსებული ინტერესთა ჯგუფები („politically-connected-firms“) კვლავაც მჭიდრო კავშირშია არსებულ სახელმწიფო მითამაშებთან ან/და საბანკო სექტორთან² და აშკარად არ არიან დაინტერესებული (ფინანსურ) ბაზრებზე რეალური კონკურენციის არსებობით, პირიქით, ყოველმხრივ ცდილობენ მის შეზღუდვას. საბოლოოდ კი, საქართველოს მოსახლეობასაც, რომელსაც უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მხოლოდ უარყოფითო ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული გამოცდილება დაუგროვდა, აკლია გადამწყვეტი ძალა და აუცილებელი თავდაჯერებულობა

¹ Christophe, Barbara (2006): Capitalism as Organized Chaos- The Political Economy of Georgia under Eduard Shevardnadze, in: David Lane/Martin Myant, eds.: The Varieties of Post-Socialist Capitalism, Oxford; La Porta, Rafael; Lopez-De-Silanes, Florencio; Shleifer, Andrei; Vishny, Robert W. (1997): Legal Determinants of External Finance, in: Journal of Finance, 52:3, 1131-1150.

² ამდროს ემპირიკ ვიჩვენებს, რომ მაგ. ე.წ. Emerging Markets-ში საწარმოები ბანკების მფლობელოში სხვა ბაზრის მითამაშებთან შედარებით ბევრად უფრო სუსტ Performance-ს აჩვენებენ (Lin et al., 2009).

იმისათვის, რომ დააჩქაროს კაპიტალის ბაზრის განვითარების მისთვის აშკარად მომგებიანი პროცესი საქართველოში.

დასასრულ, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ:

1. საქართველოში ადგილი აქვს დაუბალანსებელ ფინანსური განვითარების პროცესს, ერთადერთი დომინანტი მოთამაშით; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო, თავისი ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში, ნაცვლად იმისა, რომ გააძლიეროს მარეგულირებელი და საზედამხედველო ინსტიტუტები და ბაზარზე კერძო სუბიექტებს შორის ხელშეკრულებების აღსრულების საკანონმდებლო უზრუნველყოფით შემოიფარგლოს, აქტიურად ერევა არსებულ საბაზრო ურთიერთობებში;

2. საქართველოში, არცთუ იშვიათად, გვხვდება ე.წ. პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირში მყოფი კომპანიები, რომელთა უმრავლესობას, გასაგები მიზეზების გამო, არ სურს კონკურენტულ ბაზარზე ოპერირება და თავის კონტაქტებს, როგორც სახელმწიფოსთან, ასევე საბანკო სექტორთან, ასეთი კონკურენტული გარემოს საწინააღმდეგოდ იყენებს;

3. ქვეყნის შიგნით სამ ძირითად მოთამაშეს (სახელმწიფო, საბანკო სექტორი, პოლიტიკურად დაკავშირებული კომპანიები) შორის არსებული, ამ ერთი შეხედვით შემთხვევითი, მეორე მხრივ კი, სავსებით ლოგიკური სტრატეგიული კავშირის შედეგად ვიდებთ კაპიტალიზმის დამახინჯებულ „მოდელს“, რომელშიც კაპიტალის მოძრაობა მკაცრად რეგლამენტირებული და დამოკიდებულია, პირველ რიგში, ბაზრის მონაწილეთა არასაბაზრო ურთიერთობებზე.

Capital Market Development in Georgia

G. Khishtovani

The goal of this article is to analyze the Georgian capital market and theoretically explain the reasons for its low level of development. To clarify this issue in full detail I have formulated several hypotheses. Based on the results of the study, in Georgia, one can observe an unbalanced financial development process with a single dominant actor (the Georgian banking sector), as well as the government which, within the framework of its economic policy,

actively interferes in the existing financial relationships instead of strengthening the regulatory institutions. The government furthermore limits itself to ensuring the enforcement of agreements between private subjects in the market. Simultaneously, politically connected firms still exist in Georgia, the majority of which, for obvious reasons, do not wish to operate in a competitive market and instead use their connections with the government and the banking sector to avoid participating in such a competitive environment. As a result of the existing (seemingly accidental, though quite logical) strategic union between the three main actors (the government, the banking sector, and “politically connected firms”), a modified model of capitalism emerges in Georgia, in which the flow of capital is strictly regulated and is dependent, first of all, on the non-market relations of its main actors. Thus, it is not unusual that simultaneous existence of all above-mentioned factors makes the rapid development of the capital market in Georgia impossible.

**QWERTY - ეკონომიკა: ნირვანა
თუ რეალობა?**

**ინგა ბალარჩიშვილი -
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის თსუ-ის
ასოცირებული პროფესორი**

არაეფექტიანი სტანდარტების და ინსტიტუტების ხანგრძლივად არსებობა ეწინააღმდეგება ნეოკლასიკური ეკონომიკის თითქმის საყოველთაოდ აღიარებულ დებულებას კონკურენტული ბაზრის მიერ ოპტიმალური გადაწყვეტილების „არჩევის“ უნარის შესახებ, რაც კონკურირებადი ეკონომიკური კონფიგურაციების თანაარსებობას განაპირობებს. თუ ინსტიტუტებს განვსაზღვრავთ როგორც გაცნობიერებულად ან სტიქიურად ჩამოყალიბებულ „თამაშის წესებს“, ბუნებრივად ჩნდება კითხვა - რატომ და როგორ იცვლება ეს წესები. ახალი ეკონომიკური ისტორიის მომხრეები აქცენტს აკეთებენ ნორმათა შეგნებულ არჩევაზე, ინსტიტუციურ კონსტრუირებასა და ინსტიტუტების ექსპორტზე. მაგრამ არსებობს ინსტიტუტების ცვლილების პრობლემის მეორე მხარეც - ინსტიტუციური ინერცია, რომელიც ხელს უშლის მათ არჩევას, კონსტრუირებას და ექსპორტს/იმპორტს. ეს ასპექტები ეკონომიკური ისტორიის ახალი სკოლის შესწავლის საგანი გახდა. მსჯელობაა ე.წ. Path dependence თეორიაზე, რომელიც აღმოცენდა 1980-იან წლებში პოლ დევიდის და ბრაიან არტურის შრომების საფუძველზე და ითარგმნება როგორც „დამოკიდებულება განვითარების წინამორბედ ტრაექტორიაზე“.

Path dependence თეორიის ისტორია იწყება 1985 წელს, როდესაც პოლ დევიდმა გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ეძღვნებოდა, ერთი შეხედვით, საკმაოდ წვრილმან საკითხს - საბეჭდი მოწყობილობების კლავიატურის სტანდარტის ჩამოყალიბებას (QWERTY კლავიატურა¹). ის ამტკიცებდა, რომ სხვადასხვა

¹ David Paul A., Clio and the Economics of QWERTY // American Economic Review. 1985. Vol. 75. № 2.

სტანდარტის კონკურენციაში აგვისტო დეორაკის უფრო გვიანდელი და უფრო ეფექტიანი წყობა დამარცხდა ძველ და პრიმიტიულ QWERTY- კლავიატურასთან. მისი აზრით, სტანდარტების მეტოქეობაში აუცილებლად იმარჯვებს ერთ-ერთი, მაგრამ არ არსებობს არავითარი კანონზომიერება, თუ რომელი მათგანი აღმოჩნდება გამარჯვებული. აქ უდიდეს როლს თამაშობს „ისტორიული შემთხვევითობა“, რომელმაც პროცესის დასაწყისში შეიძლება განსაზღვროს მოვლენათა შემდგომი თანმიმდევრობა.

QWERTY- ეფექტების ეკონომიკური თეორიის შეფასებები დღემდე არაერთმნიშვნელოვანია. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ იგი მომავალშიც კვლავ იქნება ინტელექტუალური ტრადიციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილი¹. სხვები მას მიიჩნევენ „ნირვანის ეკონომიკის“ ახალ ვარიანტად².

QWERTY-ეფექტებში თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გულისხმობენ არაეფექტიან, მაგრამ მყარად შენარჩუნებულ სტანდარტებს, რომლებიც გვიჩვენებს, რომ „ისტორიას მნიშვნელობა აქვს“. მათი აღმოჩენა შესაძლებელია ორი გზით: 1) ან თანამედროვე სამყაროში რეალურად არსებული სტანდარტების შედარებით, 2) ან რეალიზებული ტექნიკური ინოვაციების შედარებით პოტენციურად შესაძლებელ, მაგრამ არარეალიზებულ ინოვაციებთან. თანამედროვე ეკონომიკის გლობალიზების და უნიფიცირების მიუხედავად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დღესაც შენარჩუნებულია ერთმანეთთან შეუთავსებელი სხვადასხვა ტექნიკური სტანდარტები. მაგალითად, მოძრაობა მარცხენა (ყოფილ ბრიტანეთის იმპერიაში) და მარჯვენა მხარეს, სარკინიგზო ლიანდაგის სიგანე და ა.შ. WVERTY-ეფექტები აღმოცენდებოდა ეკონომიკური ისტორიის არა მარტო ადრეულ ეტაპებზე, იგი ვლინდება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაშიც. ამის მაგალითად ხშირად მოჰყავთ სატელევიზიო მოწყობილობის სტანდარტების ჩამოყალიბება აშშ-სა (550-სიგრძიანი სტანდარტი) და ევროპაში (800-

¹ Krugman P. peddling prosperity, N.Y.: Norton, 1994.

² Р. И. Капелюшников. QWERTY против DSK: методологические заметки на ролях дискуссии. Истоки: из опыта изучения экономики как структуры и процесса. Редкол. Я. И. Кузьминов (гл. ред. В С Фвтономов и др. М. : Изд. дом ГУ-ВШЭ. 2007, с. 208-227.

სიგრძის სტანდარტი), პროგრამული უზრუნველყოფის ბაზრის განვითარება (DOS/WINDOWS-ის გამარჯვება Macintosh-ზე) და სხვ. ამრიგად, მრავალი ეკონომისტ-ისტორიკოსის აზრით, ზოგიერთმა, კონიუნქტურული გარემოებების გამო გამარჯვებულმა ტექნიკურმა ინოვაციამ გადაფარა სხვა, პოტენციურად უფრო ეფექტიანი, განვითარების გზა.

რეალურად განხორციელებული და პოტენციურად შესაძლო ტექნოლოგიური სტრატეგიების შედარების იდეა პირველად გამოთქვა რ. ფოგელმა წიგნში - „რკინიგზები და ამერიკის ეკონომიკური ზრდა“ 1964 წელს. ტრადიციულად ითვლებოდა, რომ სწორედ რკინიგზების მშენებლობა წარმოადგენდა ამერიკის სწრაფი ეკონომიკური ზრდის „ლოკომოტივს“ XIX საუკუნეში. ფოგელმა ააგო კონტრაქტობრივი მოდელი - როგორ განვითარდებოდა აშშ, თუ რკინიგზების ნაცვლად მის გზებზე იმოძრაებდნენ დილიჟანსები და გემები. მან გააანალიზა სარკინიგზო მშენებლობის გავლენა არა მარტო გადაზიდვების მოცულობაზე, არამედ დაკავშირებული დარგების განვითარებაზეც (რელსების წარმოება, ქვანახშირის მოპოვება და სხვ.). მოდელის მიხედვით, 1890 წ. აშშ-ის მშპ იქნებოდა მხოლოდ 4-5%-ით ნაკლები. ამერიკელების მიერ არჩეული ტექნოლოგიური სტრატეგია უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა, მაგრამ არც ისე, როგორც ეს ადრე ჩანდა¹. რ. ფოგელისაგან განსხვავებით, რომელიც აღიარებს რეალურ ისტორიაში ტექნოლოგიური განვითარების უფრო ეფექტიანი ვარიანტის გამარჯვებას, პ. დევიდი და მისი მიმდევრები უშვებენ არაეფექტიანი არჩევანის გამარჯვების შესაძლებლობას.

ტექნიკური სტანდარტის არჩევა ძირეულად განსხვავდება საქონლის არჩევისგან. საქონლის ბაზარზე წონასწორული ფასი ბაზრის „უხილავი ხელის“ ელემენტია, რომელიც აოპტიმალისებს წარმოებას. სტანდარტების ბაზარზე არჩეული სტანდარტი არააუცილებლად ოპტიმალურია საზოგადოებისთვის. საქმე ისაა, რომ თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში არჩევანის თეორია ეფუძნება სწორედ წონასწორული ფასის ფორმირების მოდელს, რაც ხდება „ცდებისა და შეცდომების“ მეთოდით უსაზღვროდ დიდი რაოდენობის გარიგებების პროცესში. ახალი სტანდარტის დადგენის აქტების რაოდენო-

¹ Fogel R. Railroads and American Economic Growth: Essays in Econometric History. John Hopkins University Press. 1964.

ბა კი შეზღუდულია. ჩვეულებრივ, ადგილი აქვს შედარებით არაეფექტიანი სტანდარტის დაწესების რამდენიმე მცდელობას (როგორც, მაგალითად, თავიდან საბეჭდ მანქანაზე ცდილობდნენ განელაგებინათ კლავიშები უბრალოდ ანბანის მიხედვით), ხოლო შემდეგ მყარდება რომელიღაც საკმარისად ეფექტიანი სტანდარტი, რომელიც შემდგომში ან საერთოდ არ კორექტირდება, ან კორექტირდება მხოლოდ რამდენიმეჯერ. ამიტომ, ოპტიმალური სტანდარტის მიღწევა, ოპტიმალური (წონასწორული) ფასისაგან განსხვავებით, საერთო წესი არ შეიძლება იყოს.

თავდაპირველად არჩეული სტანდარტების (ნორმების) გამარჯვება უფრო ეფექტიან სტანდარტებზე შეინიშნება არა მარტო ტექნოლოგიის, არამედ ინსტიტუტების განვითარების ისტორიაშიც. 1990-იან წლებში გაჩნდა არაერთი კვლევა QWERTY-მიდგომის გამოყენებით. ინგლისელი ეკონომისტის დუგლას პაფერტის აზრით, „წინამორბედ განვითარებაზე ინსტიტუტებისათვის დამოკიდებულება სრულიად მსგავსი იქნება ტექნოლოგიისთვის წინამორბედ განვითარებაზე დამოკიდებულებისა, რადგან ორივე ეფუძნება რაღაც საერთო პრაქტიკისადმი (რომელიმე ტექნიკის ან წესისადმი) ადაპტაციის მაღალ ღირებულებას, ასე რომ მისგან გადახვევა მეტისმეტად ძვირადღირებული ხდება“¹.

ინსტიტუციური ინოვაციების ანალიზის ფარგლებში QWERTY-ეფექტების ნაცვლად ხშირად მსჯელობენ Path Dependence პრობლემაზე, ანუ განვითარების წინამორბედ ტრაექტორიაზე დამოკიდებულების შესახებ. პ. დევიდის განმარტებით, „დამოკიდებულება წინამორბედ განვითარებაზე - ეს არის ეკონომიკურ ცვლილებათა ისეთი თანმიმდევრობა, რომლის დროსაც შესაძლო შედეგზე მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება მოახდინოს წარსულის შორეულმა მოვლენებმა, ამასთან უფრო შემთხვევითმა მოვლენებმა, ვიდრე სისტემატურმა კანონზომიერებებმა“².

წინამორბედ განვითარებაზე დამოკიდებულების თეორია ეფუძნება სინერგეტიკულ მიდგომას („წესრიგის თვითორ-

¹Puffert Douglas J. Path Dependence, Network Form and Technological Change // History

²Matters: Essays on Economic Growth, Technology and Demographic Change. Ed. by W. Sundstrom, T. Guinnane, and W. Whatley. Stanford: Stanford University Press. 2003 (www.vwl.uni-muenchen.de/ls_komlos/nettech1.pdf); David Paul A. Clio and the Economics of QWERTY // American Economic Review. 1985. Vol.75. № 2, p. 332.

განიზაცია ქაოსიდან“), რომლის თანახმადაც საზოგადოების განვითარება მკაცრად წინასწარ განსაზღვრული არ არის. რეალურად, შეინიშნება ევოლუციის (როდესაც განვითარების ვექტორის შეცვლა შეუძლებელია) და ბიფურკაციის წერტილების (როდესაც ჩნდება არჩევანის შესაძლებლობა) მონაცვლეობა. როდესაც QWERTY-ეკონომიკაში მსჯელობაა თავდაპირველი არჩევანის ისტორიულ შემთხვევითობაზე, სწორედ ისტორიის ბიფურკაციული წერტილები იგულისხმება - ის მომენტები, როდესაც უამრავი განსხვავებული ალტერნატივიდან ხდება რომელიმე ერთი შესაძლებლობის ამორჩევა. არჩევანი ასეთ სიტუაციებში პრაქტიკულად ყოველთვის განუსაზღვრელობისა და სოციალურ ძალთა არამყარი ბალანსის პირობებში კეთდება. ამიტომ, ბიფურკაციის დროს თვით ყველაზე წვრილმანი გარემოებებიც კი, შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. „დამწვევი“ განვითარების ქვეყნებში შემთხვევითობის როლი გაცილებით მაღალია, ვინაიდან იქ მოდერნიზაცია ხორციელდება არა იმდენად „ქვემოდან“, რამდენადაც „ზემოდან“, ნაკლებია განვითარების ტრაექტორიის არჩევაში მონაწილე აქტორების რაოდენობა და მაღალია ცალკეულ პიროვნებათა როლი. მაშასადამე, მაღალია QWERTY--ეფექტების ალბათობაც.

ინსტიტუტების განვითარების ისტორიაში წინამორბედ ტრაექტორიაზე დამოკიდებულება ვლინდება ორ დონეზე - ჯერ ერთი, ცალკეული (პოლიტიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი და ა.შ.) ინსტიტუტების, და მეორე, ინსტიტუციური სისტემების (განსაკუთრებით, ეროვნული ეკონომიკური სისტემების) დონეზე. Path dependence პრობლემაზე დისკუსიისას უფრო ხშირად პირველი ასპექტი განიხილება. უფრო მეტიც, ნებისმიერ ტექნოლოგიურ QWERTY-ეფექტს ინსტიტუციური მიზეზი აქვს, ვინაიდან „კონკურირებენ არა ტექნოლოგიები, არამედ ის ორგანიზაციები, რომლებიც მათ იყენებენ“. ამიტომ, მაგალითად, ვიწრო ლიანდაგის სტანდარტის გამარჯვება უფრო ეფექტიან ფართო ლიანდაგის სტანდარტზე - ეს არის დ. სტევენსონის ნაკლებად ეფექტიანი ფირმის გამარჯვება მის უფრო ეფექტიან, მაგრამ ნაკლებად იღბლიან კონკურენტებზე.

განვითარების ისტორიული განპირობებულობის ეფექტის (Path dependence) მოქმედების საინტერესო მაგალითი შეიძლება მოიძებნოს სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარებაში.

Норт Д. Институты, институциональные изменения и функционирование экономики. М.: Фонд экономической книги «НАЧАЛА». 1997, с. 122.

„ახალი შედარებითი ეკონომიკური ისტორიის“ (new comparative economics) წარმომადგენლები ზოგადი (ანგლო-საქსონური) და სამოქალაქო (რომანულ-გერმანული) სამართლის ეკონომიკაზე ზეგავლენის შედარებისას ამტკიცებენ ზოგადი სამართლის ტრადიციის უპირატესობას, რომელიც გაცილებით უკეთესად იცავს საკუთრების უფლებებს (მაგალითად, წვრილი აქციონერების უფლებებს კორპორაციის მენეჯერების ბოროტად გამოყენებისგან)¹. მაგრამ ეს უპირატესობა არ იწვევს სამოქალაქო სამართლის ტრადიციის მქონე ქვეყნების (მათ რიცხვში შედის საქართველოც) გადასვლას ზოგადი სამართლის სისტემაზე. სამართლებრივი სისტემების ეს გაორება მოდის XII-XIII საუკუნეებიდან, როდესაც ინგლისმა შემოიღო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ხოლო საფრანგეთმა - სახელმწიფო მოსამართლეთა სისტემა². საქმე ისაა, რომ სამეფო ხელისუფლება შუა საუკუნეების ინგლისში ძალიან ძლიერი იყო და არისტოკრატები თავიანთი კონფლიქტების გადაწყვეტას ამჯობინებდნენ საკუთარ წრეში, მეტისმეტად ძლიერი გარე არბიტრის დახმარების გარეშე. საფრანგეთში კი, პირიქით, იმ დროს მეფე იყო მხოლოდ „პირველი თანასწორთა შორის“. ამიტომ ფეოდალებს ძლიერ მაგნატებთან შეჯახებას შედარებით სუსტი მეფის შუამავლობა ერჩინათ. ამ დიდი ხნის წინანდელი კოლიზიების შედეგად, თანამედროვე მსოფლიოში ზოგადი სამართლის სისტემა (common law) იცავს სუსტს ძლიერისგან, ხოლო სამოქალაქო სამართლის სისტემა (civil law) იცავს სახელმწიფოს პრეროგატივებს.

პოსტსაბჭოთა ეკონომიკებში წინამორბედ განვითარებაზე დამოკიდებულების გარკვეული ნაირსახეობაა „ინსტიტუციური საფანგი“ (არაეფექტიანი მყარი ნორმები, რომლებსაც აქვს თვითშენარჩუნებადი ხასიათი),³ როდესაც განვითარების სხვადასხვა გზებს შორის შესაძლებელია ვარიანტები, რომლებიც უფრო ხელსაყრელია მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში ისინი არა მარტო ნაკლებად ეფექტიანია, არამედ შემდგომ განვითარებას, უბრალოდ, შეუძლებელს

¹ La Porta R., Lopez-de-Silanes F., Shleifer A., Vishny R.W. Law and Finance // Journal of Political Economy. 1998. December (<http://www.hiied.Harvard.edu/pub/pdfs/576.pdf>).

² Shleifer A., Glaeser E. Legal Origins // Quarterly Journal of Economics. 2002. November (<http://www.nber.org/papers/w8272.pdf>).

³ Полтерович В.М. Институциональные ловушки: есть ЛИ выход? // Общественные науки и современность. 2004. N2 з.

ხდის. არაეფექტიანი ნორმები წარმოიშობა სისტემის ძლიერი „შეშფოთების“ მომენტში და აგრძელებს პრევალირებას თვით გარე ზემოქმედების მოხსნის შემთხვევაშიც. ინსტიტუციური ხაფანგების მაგალითია ბარტერული ეკონომიკა, არგადახდები, კორუფცია, გადასახადებისგან თავის არიდება. ეს ხაფანგები მაკროეკონომიკური პირობების მკვეთრი ცვლილების შედეგია, როდესაც რენტა კერძო პირთა ხელში გადადის.

ინსტიტუციური ხაფანგის კიდევ ერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ე.წ. „დისერტაციული ხაფანგი“ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც, რომელიც სულ უფრო მეტი შეშფოთების საფუძველს იძლევა უკანასკნელ წლებში. ესაა სამეცნიერო ხარისხის დაცვის ჩრდილოვანი პრაქტიკა იმ პირთა მიერ, რომლებიც არ მონაწილეობენ ან ძალიან შეზღუდული დოზით მონაწილეობენ „თავიანთი“ სადისერტაციო ნაშრომების მომზადებაში. როგორც ბარტერი ანგრევდა 1990-იან წლებში სასაქონლო ბაზარს, ასევე „ნაყიდი“ დისერტაციები ანგრევს ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას და ბლოკავს ქვეყნის ინტელექტუალურ პროგრესს.

თუ QWERTY-ეფექტები ტექნიკასა და ტექნოლოგიაში ხშირად უკავშირდება კონიუნქტურულობას და არჩევანის შემთხვევითობას, ინსტიტუტების მიმართ, როგორც ჩანს, ეს მოტივი სუსტია. ინსტიტუტების არჩევანი, ტექნოლოგიის არჩევისგან განსხვავებით, უფრო კოლექტიური ხასიათისაა და, ამიტომ, უფრო კანონზომიერია. თუმცა, მათ აერთიანებს საზოგადოებრივი განვითარების მაღალი ინერცია, რაც როგორც გამოყენებული ტექნოლოგიის, ასევე გაბატონებული ნორმების სწრაფ ცვლილებას შეუძლებელს ხდის. ინსტიტუციური ჭ ღთ -ეფექტები შესამჩნევია კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე, განსხვავებით ტექნოლოგიური ჭ ღთ -ეფექტებისგან, რომლებიც აღმოცენდა მხოლოდ სამრეწველო რევოლუციის ეპოქიდან (XVII-XIX ს.). ისტორიულად ყველაზე ადრეულ ტექნოლოგიურ QWERTY-ეფექტს, სავარაუდოდ, რკინიგზის ლიანდაგის სტანდარტი წარმოადგენს. როგორც ჩანს, QWERTY-ეფექტები წარმოიშობა მაშინ, როდესაც ყალიბდება ერთიანი, გლობალური ისტორია. ხდება ნორმების უნიფიკაცია. ამიტომ, მოგვიანებით აღმოცენებულ უფრო ეფექტიან სტანდარტებს არ შეუძლია გამოაძევეს ადრინდელი სტანდარტები. ისტორიის გლობალიზაცია კი საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ასინ-

ქრონულად ხდებოდა. ყველაზე ადრე იგი დაიწყო კულტურულ სფეროში - ერთიანი რელიგიური დომინანტის მქონე სუპერცივილიზაციის ჩამოყალიბებიდან (კონფუციანური ცივილიზაცია, ისლამური ცივილიზაცია, მართლმადიდებლური ცივილიზაცია და ა.შ.). ხოლო სამეურნეო ცხოვრების უნიფიკაცია იწყება მხოლოდ „ახალი დროის“ ეპოქიდან, როდესაც დასავლეთევროპული სამრეწველო რევოლუციის მიღწევებმა მთელ მსოფლიოში დაიწყო გავრცელება. როდესაც არ არსებობს უნიფიკაცია, არ არის არც ქსელური და არც QWERTY-ეფექტები¹.

„ინსტიტუციური ხაფანგის“ კონცეფციაზე დაყრდნობით შეიძლება ავხსნათ თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მდგომარეობაც. დაწყებული ა. მარშალიდან (XIX- XX საუკუნეების მიჯნაზე), ეკონომიკური მეცნიერების განვითარება უკვე ას წელზე მეტია მიდის ორთოდოქსული ნეოკლასიკური და ნეოლიბერალური პარადიგმების კალაპოტით. მითუმეტეს, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა აშკარად აჩვენა, რომ იგი წარმოადგენს არა უბრალოდ საბანკო, იპოთეკურ, სამრეწველო თუ ენერგეტიკულ კრიზისს, არამედ ორთოდოქსული ეკონომიკური პარადიგმის კრიზისსაც, რომლის პროგნოსტიკული პოტენციალი საკმაოდ საეჭვო აღმოჩნდა. საქართველოში (და არა მხოლოდ საქართველოში) ეკონომიკური განათლების სისტემაში ნეოკლასიკური მიდგომის დომინირება ინსტიტუციური ინერციის გამოვლინებად და, მაშასადამე QWERTY-ეფექტად შეიძლება ჩავთვალოთ. Path dependence ფენომენის საფუძველია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უფრო მეტად უნივერსალური კანონზომიერებანი, ვიდრე მათი გამოვლენის სპეციფიკური ფორმები. ამ შემთხვევაში QWERTY-ეკონომიკის განვითარება „პოსტსაბაზრო“ ეკონომიკური მეცნიერების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი შეიძლება გახდეს.

საკითხი იმის შესახებ, შეიძლება ან საჭიროა თუ არა წინამორბედ განვითარებაზე დამოკიდებულების დაძლევა, საკამათოა. აღსანიშნავია, რომ Path dependence-ის არა ყველა გამოვლენაა ნეგატიური. თუ წარმოვიდგენთ სამყაროს ამ დამოკიდებულების გარეშე, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ნებისმიერი სტანდარტის ან ნორმის მყისიერად შემოტანა ან შეცვლა, შედეგად მივიღებთ სტაბილური „თამაშის წესების“ არარსებობას.

¹ Нуреев Р.М. Латов Ю.В. Теория зависимости от предшествующего развития в контексте институциональной экономической истории / <http://www.ecsocman.edu.ru/db/msg/209510.html>

ეკონომიკური და, მთლიანად, საზოგადოებრივი ცხოვრების ქალტურ და არასტაბილურ ხასიათს. საქართველოში უმთავრესი ფორმალური ინსტიტუტის - კონსტიტუციის პერმანენტული „გადაკეთების“ კოლიზიებმა უკანასკნელ წლებში ნათლად გვიჩვენა ეს ეფექტი - მოკლევადიანი ინტერესების გამო პოლიტიკური ბაზრის განვითარების გრძელვადიანი ტრაექტორიის ბლოკირება.

QWERTY-ეფექტების დაძლევა გულისხმობს მისი წარმოშობის მიზეზებზე ზემოქმედებას. ეს მიზეზები კი მრავალფეროვანია და ყველა მათგანი არ ექვემდებარება ზეგავლენას. პ. დევიდი, მაგალითად, მიუთითებს ყველაზე ფუნდამენტურ მიზეზზე - სისტემის ელემენტების ურთიერთკავშირზე (ბ. არტურმა და დ. ნორთმა მას უწოდეს „კოორდინაციის ეფექტი“ - უპირატესობა ეკონომიკურ აგენტთა თანამშრომლობიდან „ფირმარობიზონებთან“ შედარებით). შემდეგი ფაქტორია მასშტაბიდან ეკონომიის ეფექტი (ინსტიტუციური თვალსაზრისით - „ქსელური ეფექტები“). ნებისმიერი სტანდარტი ან ნორმა მით უფრო ხელსაყრელია, რაც უფრო ხშირად გამოიყენებენ მას. გარდა ამისა, ტექნოლოგიების ან ინსტიტუტების კონკურენციაში თავდაპირველად მეტი სარგებლიანობა შეიძლება გამოავლინოს ერთმა ვარიანტმა, ხოლო შემდეგ - მეორემ (ცვალებადი ზღვრული უკუგება). მაგრამ, პირველის გამარჯვება საწყის ეტაპზე ალტერნატიული ვარიანტის უპირატესობების გამოვლენას შეუძლებელს ხდის.

რაც შეეხება წინამორბედ განვითარებაზე დამოკიდებულების ყველაზე ტრივიალურ ფაქტორს (პ. დევიდის აზრით) - ნორმების ფუნქციონირების გრძელვადიანობას (როდესაც მათი ფიზიკური ცვეთის ვადები მეტია მორალური ცვეთის ვადებზე), აქ უფრო რთული სიტუაციაა. ნორმები სოციალური კაპიტალია და იგი ასევე შეიძლება მორალურად მოძველდეს. მაგრამ, მათი შეცვლა, ფიზიკური კაპიტალისაგან განსხვავებით, გაცილებით ძნელია. პიროვნების ფორმირება (პირველადი სოციალიზაცია) ხდება ახალგაზრდობაში, ხოლო შემდგომ წლებში შეცვლილი პირობებისადმი ადაპტაცია (მეორადი სოციალიზაცია) ჩამოყალიბებულ ფასეულობებს და აზროვნების სტერეოტიპებს იშვიათად ცვლის. „ძველებური აზროვნების“ ინერცია შეიძლება შესუსტდეს მხოლოდ ევოლუციურად, თანდათანობით. ამიტომ, ინსტიტუციურ ინოვაციათა წარმატება ვლინდება მხოლოდ,

დაახლოებით 10-15 წლის შემდეგ საგანმანათლებლო სისტემაში ცვლილებების შედეგად. საქართველოში ათწლეულების განმავლობაში გაბატონებული არაეფექტიანი მენტალური ნორმა - „საჭიროა უმაღლესი განათლების დიპლომი“ (და არა განათლების ხარისხი) - სწორედ, Path dependence პრობლემის კულტუროლოგიური ფაქტორების დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ამგვარად, წინამორბედ განვითარებაზე დამოკიდებულების თეორიის გამოყენება ინსტიტუტების ეკონომიკურ ისტორიაში, საშუალებას იძლევა დადგინდეს მათი ალტერნატიული ხარჯები და განისაზღვროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ბიფურკაციულ წერტილებში გაკეთებული არჩევანის ეფექტიანობა.

Economics of QWERTY - Nirvana or Reality?

I. Balarjishvili

Long time existence of non-effective institutions and standards is against almost all the widely recognized provisions of neoclassical economics regarding the market's ability “to make” optimal decisions, which determines coexistence of competitive economic concepts.

The article analyzes causes of not optimal choice of technological standards and institutions from the point of QWERTY effects and path-dependency theory. Some of the peculiarities of institutional inertia are revealed which hinder their selection, construction, and export/import. Namely, dominance of Neoclassical approach in economic education system; institutional traps (including “dissertation trap” – the factor hindering intellectual progress); institutional inertia in changing legal traditions; difficulty of overcoming QWERTY effects due to variety of its causes; the role of mental inertia in the success of institutional innovations.

Applying to path dependence theory in the economic history of institutions makes it possible to determine their alternative costs and effectiveness of choice made at the bifurcation point of social and economic development.

**ტექნოლოგიათა ტრანსფერტი
– ინვესტიციათა მიზნები ქვეყნის
ბანკითარების ხელშეწყობი ფაქტორი**

ქრისტინა ჯღანჯღავა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის დოქტორანტი

ეროვნული საინოვაციო სისტემის ცნება XX საუკუნის 80-იან წლებში იქნა შემოტანილი ამერიკელი პროფესორის ქ.ფრიმენის მიერ¹ და განიმარტა, როგორც საჯარო და კერძო სექტორების დაწესებულებათა ქსელის საქმიანობა და ურთიერთქმედება ახალი ტექნოლოგიების ინიცირების, იმპორტირების, მოდიფიცირებისა და გავრცელების სფეროში. ტექნოლოგიათა ტრანსფერტი პროცესია, რომლითაც სამეცნიერო კვლევები და ტექნოლოგიები გადაეცემა ერთი ორგანიზაციიდან მეორეს. ტრანსფერტის პროცესში ჩართული პირები აწარმოებენ ტექნოლოგიების შეფასებას, ლიცენზიათა ხელშეკრულებისათვის აუცილებელ მოლაპარაკებებს და ა.შ. ამასთან, ტექნოლოგიათა ტრანსფერტისათვის ხშირად საჭიროა საპატენტო პროცედურების სათანადოდ შესრულება. ტექნოლოგიის სამეცნიერო ლაბორატორიიდან ბიზნესში გადაცემის ერთ-ერთი მთავარი პირობაა ეფექტიანი სამეწარმეო გარემოს შექმნა.

ტექნოლოგიათა ტრანსფერტის ძირითადი კომპონენტებია: გამოგონებების, ინოვაციების, ეკონომიკური მახასიათებლების ობიექტური შეფასება; დაპატენტება (ინტელექტუალური საკუთრების დაცვა), ტექნოლოგიების მარკეტინგი, ლიცენზირება, ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ახალი ბიზნესის შექმნისა და არსებულ ფირმებში ტექნოლოგიის წარმატე-

¹ Freeman, C. The National System of Innovation in Historical Perspective, Cambridge Journal of Economics, 1995, # 19, p.19.

ქრისტიანა ოჯახი

ბით ათვისების ხელშეწყობა. ამ ქმედებების შედეგია ახალი პროდუქციისა და სამუშაო ადგილის შექმნა, სადაც გამოიყენება მოწინავე ტექნოლოგიები და ვითარდება ქვეყნის ეკონომიკა.

ნებისმიერი ქვეყნისათვის, განვითარების ხვდასხვა დონის მიუხედავად, ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის ამაღლებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს. მიმდინარე ეტაპზე ტრანსეროვნული კომპანიები (ტეკ) გვევლინება ახალი და მოწინავე ტექნოლოგიების ძირითად წყაროდ, რომელთაც გააჩნიათ პოტენციური დადებითი ტექნოლოგიური სხვაობა, რომელიც არსებობს მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის. ტეკ-ები უცხოური პირდაპირი ინვესტიციების (უპი) განხორციელებით, ხელს უწყობს მოწინავე ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს გადაცემას, იმ შესაძლებლობებისა და გამოწვევების ჩათვლით, რომელიც განაპირობებს ქვეყანაში ტექნოლოგიური ცვლილებების დანქარებას და განვითარებად ქვეყნებში კონკურენციის ზრდას. დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნოლოგიათა ტრანსფერტისა და გავრცელების პროცესი, რამდენადაც ის ზრდის ქვეყნის მწარმოებლურობას, უზრუნველყოფს ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაძლიერებას და შრომითი რესურსების განვითარებას. ტექნიკური პროგრესი, ძირითადად, მოწინავე ქვეყნიდან ტექნოლოგიათა მიღებისა და ადაპტაციის პროცესია და არ გულისხმობს განვითარებადი ქვეყნის ფარგლებში უპირატესად ახალი ტექნოლოგიების შექმნას. აქედან გამომდინარე, ტექნოლოგიების გადაცემა და გავრცელება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ამა თუ იმ ქვეყნის შესაძლებლობების გაძლიერებისთვის. ამასთან, ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება ამ პროცესში მთავრობის მხარდაჭერას, რომელმაც უნდა შექმნას და სრულყოს ეროვნული ინოვაციური სისტემა ქვეყნის დონეზე.

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ტექნიკური პროგრესი, თუმცა, ტექნოლოგიური ჩამორჩე-

ნა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, ისევ მაღალია. შესაბამისად, განსხვავებულია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე გაწეული დანახარჯებიც, გარდა ამისა, ტექნოლოგიური მიღწევების დონე მერყეობს თვით განვითარებად ქვეყნებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქვეყნები ცდილობენ მოიპოვონ თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო მოწყობილობები, როგორცაა, მობილური ტელეფონები და კომპიუტერები.

ბოლო პერიოდში, თანამედროვე ტექნოლოგიების გავრცელება განახლებად ენერგეტიკასა და ორგანული სოფლის მეურნეობის დარგში, აქტიურად უწყობს ხელს ტექნიკურ პროგრესს განვითარებად მსოფლიოში. სოფლის მეურნეობაში, კერძოდ ორგანული წარმოება უზრუნველყოფს ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ სიკეთეთა ფართო სპექტრს. უმეტეს განვითარებად და გარდამავალ ქვეყნებში, საწარმოები, მთლიანობაში, ნაკლებად აფინანსებენ მეცნიერულ-კვლევით სამუშაოებს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება უნივერსიტეტებსა და სახელმწიფო კვლევით ინსტიტუტებში. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში აღნიშნულ სექტორზე მოდის მთლიანი მეცნიერული კვლევების 63%. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში კერძო სექტორის შეზღუდული როლი ეროვნულ ინოვაციურ სისტემაში ასუსტებს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ზეგავლენას ეკონომიკურ ზრდასა და კონკურენტუნარიანობაზე. მოწინავე ქვეყნებში კი კომერციული საწარმოები აფინანსებენ კვლევითი სამუშაოების მნიშვნელოვან ნაწილს. უპი-ს მოზიდვა განვითარებად ქვეყნებში ხელს უწყობს ტექნოლოგიურ პროგრესს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გლობალიზაციამ გამოიწვია კვლევების გააქტიურება ტეკ-ის მიერ ბაზირების ქვეყნებიდან მის ფარგლებს გარეთაც, რომლის შედეგადაც მაღალტექნოლოგიური წარმოება გავრცელდა განვითარებად სამყაროშიც.

განვითარებად ქვეყნებში ტეკ-სა და ადგილობრივ ფირმებს შორის ურთიერთქმედება განაპირობებს ცოდ-

ქრისტიანა ჯღანჯღაშვილი

ნის დაგროვებასა და ტექნოლოგიათა გავრცელებას ისეთი მექანიზმების გამოყენებით, როგორცაა იმიტაცია, გაზრდილი კონკურენცია, ტრენინგები და შრომითი რესურსების მობილობა. თუმცა, აღნიშნული მექანიზმების მოქმედების ხარისხი დამოკიდებულია რთული, კომპლექსურ პირობებზე, როგორცაა:

*ტეკ-თა საქმიანობის სექტორები;

*ტეკ-თა ინტეგრირება ეროვნულ ეკონომიკაში;

*ადგილობრივ ფორმათა მიერ სიმძლავრეების გამოყენება;

*ინსტიტუტების, ურთიერთობების და სასურველი პირობების შექმნა, რომელიც ეფუძნება ეროვნულ საინოვაციო სისტემას;

*მიმღები ქვეყნის მხარდამჭერ პოლიტიკაზე, რაც ხელს უწყობს ცოდნის გადაცემის არსებულ ნაკადებს.

ყოველივე აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტეკ-თა არსებობა მასპინძელ ქვეყანაში განაპირობებს ტექნიკურ პროგრესს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფირმები, რომლებიც ფლობენ ცოდნას, ქმნიან ბარიერებს მათი ცოდნის გავრცელების შესამცირებლად. ტექნოლოგიათა გადაცემა და გავრცელება მოიცავს ფიზიკური კაპიტალისა და ცოდნის იმპორტირებულ ნაკადებს. ეს უკანასკნელი იძენს სულ უფრო მნიშვნელოვან ფუნქციას და მოიცავს ახალი ცოდნისა და მენეჯერული გამოცდილების შექმნასა და შთანთქმას. მოკლევადიან პერიოდში მასპინძელი ქვეყანა ახალი და მოწინავე ტექნოლოგიების მიღებით ქმნის ახალ პროდუქციას და ამცირებს დანახარჯებს, რაც ზრდის ქვეყნის მწარმოებლურობას, ხოლო გრძელვადიან პერიოდში, მოგების მიღება დამოკიდებულია იმაზე, თუ მიმღები ფირმა რამდენად შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების განვითარებას. მთლიანად ეკონომიკისათვის კი, მოგების მიღება დაკავშირებულია ბევრ გარე ფაქტორთან – ტექნოლოგიების გავრცელება სხვა ეკონომიკურ ერთეულებზე, ტექნოლოგიათა ტრანსფერტი და მიღება, ასევე როიალტისა და ლიცენზიის შემოსავლების დონე და ა.შ. ამ ასპექტით, განვითარებული ქვეყნები არიან მთავარი ბაზირების ქვეყნები.¹

¹ UNCTAD (<http://unctadstat.unctad.org/ReportFolders/reportFolders.aspx>).

როიალტისა და ლიცენზიის მეშვეობით ტექნოლოგიათა გადაცემა, განვითარებად ქვეყნებში განაპირობებს ტექნოლოგიათა განახლებას- საწარმოო სფეროში მოწინავე ტექნოლოგიური პროცესებისა და მენეჯერული უნარ-ჩვევების დანერგვით. ტექ-ები გადასცემს რეციფიენტ ქვეყნებს ტექნოლოგიებს უპი-სა და არააქციონერული ფორმით. ზოგიერთი ეკონომიკური, სტრატეგიული და პოლიტიკური ფაქტორი განსაზღვრავს ტექნოლოგიათა გადაცემის ფორმებს. ტექნოლოგიური ცვლილებების სიჩქარე, გადაცემის ხარჯები და რისკები, კორპორაციების აღქმა მიღებული სარგებელისა და რისკების შესახებ, ასევე სამთვრობო პოლიტიკა, ასრულებს მნიშვნელოვან როლს ტექნოლოგიათა გადაცემის პროცესში. თანამედროვე ეტაპზე უპი-ები განვითარებად საყაროში ტექნოლოგიათა გადაცემის მნიშვნელოვანი წყაროა. თუმცა, მოწინავე ტექნოლოგიების გადაცემის ხარისხი მიმდები ქვეყნებისთვის განსხვავებულია რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით. ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში, მაგალითად, ჩინეთში უპი-ების განხორციელებით შეიქმნა გარკვეული ტექნოლოგიური სიმძლავრეები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ საერთოდ დაბალი შემოსავლების ქვეყნებში, უპი-ების წვლილი ტექნოლოგიური სიმძლავრეების შექმნის პროცესში არც თუ ისე დიდია. მაგალითად, იაპონური ფირმების მიერ უცხოური ფილიალებისთვის გადაცემული ტექნოლოგიები, კერძოდ, განვითარებად რეგიონში, განსხვავებულია ტექნოლოგიათა ათვისების მიხედვით. მათი გამოყენება აღნიშნული რეგიონის ფილიალებში, მშობელ კომპანიებთან შედარებით, დაბალია. რაც შეეხება აზიის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში არსებულ ფილიალებს, აქ ტექნოლოგიათა გამოყენების ხარისხი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება განვითარებულ ქვეყნებში მოქმედი ფილიალებისგან. იაპონიაში უცხოური ფილიალების 4/5-ში გამოყენება იგივე ტექნოლოგიები, რაც მათ მშობლიურ ფირმებში. მშობელი კომპანიებისგან ტექნოლოგიათა შექმნა მხოლოდ რამდენიმე განვითარებად ქვეყანაშია შეზღუდული. რამდენიმე განვითარებადი ქვეყანა, მაგ., ჩინეთი, მექსიკა, ბრაზილია, ჩრდ. კორეა და ინდოეთი წარმოადგენს როიალტისა

და ლიცენზიის მთავარ მიმღებ ქვეყნებს აშშ-ის ტექ-ებისგან. ტექ-ს შეუძლია განახორციელოს ტექნოლოგიათა ტრანსფერტი არასააქციო საქმიანობის სხვადასხვა არხის მეშვეობით. მაგალითად, ფრანჩაიზინგის, ლიცენზირების, სუბკონტრაქტების და ა.შ. გარდა ამისა, ტექ-ი, მნიშვნელოვანად უწყობს ხელს მაღალტექნოლოგიური საქმიანობის განვითარებას და უზრუნველყოფს ცოდნის მთლიანი კომპლექსის, მაგალითად, ტექნოლოგიათა გადაცემას მენეჯერულ ნოუ-ჰაუსთან ერთად. ქვეყნებში, რომელთა ადგილობრივი ფირმები გრძელვადიანი ურთიერთობებით დაკავშორებულია უცხოურ ტექ-ებთან სუბკონტრაქტების მეშვეობით, ხელი ეწყობა იმპორტირებული ტექნოლოგიების გამოყენებას ექსპორტზე ორიენტირებულ წარმოებაში, რაც განაპირობებს ფირმების შიგა საწარმოო შესაძლებლობების განვითარებასა და გაძლიერებას. საერთაშორისო ბაზარზე ფირმის კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად აუცილებელია მოწინავე ტექნოლოგიათა იმპორტი, ასევე სხვა მექანიზმების გამოყენება, მაგალითად, ფრანჩაიზინგი, ან ინვესტიციების დაბანდება მეცნიერულ-ტექნიკურ კვლევებში და სხვა. რამდენიმე ფირმა ჩინეთიდან, კორეის რესპუბლიკიდან და ტაივანიდან, გახდა მნიშვნელოვანი კორპორაციული ინოვატორი და ინოვაციური ფირმების ინვესტორი საზღვარგარეთ. ტექ-ების კაპიტალდაბანდებები სოფლის მეურნეობაში უზრუნველყოფს ადგილობრივი ფერმერების ტექნოლოგიურ დახმარებას თესვებით, სასუქებით და სხვა წარმოების ფაქტორებით, სადაც მოწინავე ტექნოლოგია და ნოუ-ჰაუ აქტიურად ინერგება. ისინი დაინტერესებული არიან განახორციელონ ეფექტიანი მომსახურება იმისათვის, რომ მიიღონ მაღალი ხარისხის, ნაკლებდანახარჯიანი პროდუქცია. ჩინეთში ტექ-ებმა დანერგა დიდი ოდენობით თანამედროვე ტექნოლოგიები, მაგალითად, ბრინჯის წარმოების მშრალი ტექნოლოგია, ახალი ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი ტექნოლოგია და ა.შ.

ტექ-ების მიერ ღირებულების შექმნის ჯაჭვში ყველაზე ნაკლებად ინტერნაციონალური სეგმენტია კვლევითი სამუშაოები. ამასთან, მათი წარმოების, მარკეტინგისა და სხვა

ფუნქციების გადაადგილება საზღვარგარეთ შედარებით სწრაფად ხორციელდება, ხოლო სათავო ოფისები, ფინანსები და კვლევითი სამუშაოები ტეკ-ათა ნაკლებად ინტერნაციონალური საქმიანობაა. ტეკ-ები მზარდად გადაადგილებენ კვლევით საქმიანობებს განვითარებად ქვეყნებში, თუმცა, კვლევითი სამუშაოების ძირითად ცენტრად რჩება განვითარებული ქვეყნები, რაც იაპონიისა და აშშ მონაცემებით დასტურდება. იაპონური ტეკ-ების მიერ 2007 წელს ჩატარებული კვლევითი საქმიანობების 38% განვითარებად ქვეყნებში იყო განხორციელებული. კერძოდ, ჩინეთი და ინდოეთია გლობალური კვლევითი სამუშაოების ძირითად საკვანძო ქვეყნები.¹

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში ტეკ-ები მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი მონაწილე სუბიექტებია, რომელთა ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაცია საზღვარგარეთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტეკ-ების პროდუქციის რეალიზაციის დიდი ნაწილი განვითარებულ ქვეყნებზე მოდის, მოსახლეობის მაღალი მყიდველობითუნარიანობიდან გამომდინარე. ტეკ-ების განვითარების ტენდენცია მოწმობს, რომ ისინი სულ უფრო ცდილობენ აითვისონ, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების ბაზრები. მსოფლიო ეკონომიკაში ტეკ-ები აქტიურად მონაწილეობენ ექსპორტის, ერთობლივი წარმოების თუ პირდაპირი ინვესტიციების საშუალებით. ასევე აღსანიშნავია ტეკ-ების დაინტერესება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებით, სადაც მათ იზიდავთ მომგებიანი ვაჭრობის და ინვესტიციების მზარდი შესაძლებლობები. თანამედროვე ეტაპზე ტეკ-ების როლი და მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკაში სულ უფრო მეტად იზრდება. ისინი ითვლებიან გლობალიზაციის პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფენომენად.

ტექნოლოგიათა ტრანსფერტი რთული და კომპლექსური პროცესია, რის გამოც ბევრ განვითარებად ქვეყანაში წარმოიშობა სიძნელეები ეფექტიანი პოლიტიკის გატარებასა

¹ Anderson T. U.S. affiliates of foreign companies operations in 2008. *Survey of Current Business*, 2010 Vol. 90, #.11, pp: 45–58.

ქრისტიანა ჯვანჯვავა

და განითარებაში. უპი-ების შემოდინება არ არის საკმარისი პირობა განვითარებადი ქვეყნების ტექნოლოგიური ბაზის გარდასაქმნელად, რამდენადაც ტექ-ების მიერ ტექნოლოგიებისა და წარმოების ფუნქციების გადაცემა სინამდვილეში დიდადაა დამოკიდებული შესაბამისი სამთავრობო სტრატეგიისა და ადგილობრივი პოტენციალის განვითარებაზე, კერძოდ, სამთავრობო პოლიტიკამ აუცილებელია ხელი შეუწყოს შიგა და უცხოური ინვესტიციების განხორციელებას, პროდუქტიული და შემგუებლური შესაძლებლობების შექმნას, განამტკიცოს საქმიანი კავშირები და განავითაროს ტექნოლოგიური პროცესები. ტექნოლოგიათა გადაცემასთან დაკავშირებით, განვითარებადი ქვეყნების სტრატეგიამ დროთა განმავლობაში განიცადა უპი-თან მიმართებით არსებული შეზღუდული მიდგომებიდან, ტექ-ებზე დამოკიდებულ სტრატეგიაზე გადასვლა.

ამ უკანასკნელში იგულისხმება უპი-ების მოსახიდად აქტიური გზების ძიება, ერთი მხრივ, უნარ-ჩვევების დანერგვითა და ინსტიტუციური მშენებლობით, ხოლო, მეორე მხრივ, პასიური პოზიციის დაკავებით და ორიენტაციით ინვესტიციებისთვის სასურველი გარემოს შექმნაზე. პრაქტიკაში განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა იყენებს არსებულ სტრატეგიათა კომბინაციას. აღსანიშნავია, რომ მთავრობის მიერ არჩეული ნებისმიერი სტრატეგია დაკავშირებულია როგორც სარგებლის მიღებასთან, ასევე რისკებთანაც, რისთვისაც აუცილებელია შერჩეული პოლიტიკით მიღებული სარგებლის მაქსიმიზება და შესაბამისად რისკების მინიმიზება. თანამედროვე პერიოდში, განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა ხასიათდება სუსტი და ფრაგმენტული ინოვაციური სისტემებით. ამ სფეროში მიზანმიმართული პოლიტიკის გატარება აღმოფხვრის ცოდნის მიღებასთან, წარმოების სექტორის განვითარებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. სამთავრობო პოლიტიკის მიზანია შეამციროს რისკები, რომელიც დაკავშირებულია ინოვაციურ საქმიანობასთან, კერძოდ, აღმოფხვრას წინააღმდეგობები ინოვატორებს შორის და გადაწყვიტოს საგარეო ინოვაციური საკითხები. აღნიშნული მიზნების მიღწევა მოითხოვს კარგად სტანდარტიზებული სტიმულების

დაწესებას, შესაბამის მონიტორინგსა და შეფასებას, ინოვაციური საქმიანობის მართვის სტრუქტურის არსებობას კომპეტენტური მომსახურე პერსონალით და გამჭვირვალე პოლიტიკის მხარდაჭერას. ადეკვატური სტრუქტურები (ფინანსური გარემო, მეწარმეობა, სტიმულები), მატერიალური და არამატერიალური ინფრასტრუქტურა (ერთობლივი კაპიტალი, ინტელექტუალური საკუთრება, მომსახურების გაფართოება, ნორმები და სტანდარტები, ლაბორატორიები, ფიზიკური ინფრასტრუქტურა) წარმოადგენს არსებით ფაქტორებს პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ტექნოლოგიათა გავრცელების მაქსიმოზაციისთვის მნიშვნელოვანია გაიზარდოს ადგილობრივი ფირმების მიერ მოწინავე ტექნოლოგიებთან ადაპტირებისა და ათვისების პოტენციური შესაძლებლობა. ყოველივე აღნიშნული გულისხმობს კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობას, არამხოლოდ ტექნოლოგიების საქმიანობაზე ზემოქმედებისათვის, არამედ ხელს უწყობს მაღალი ხარისხის შიგა კონკურენტული საწარმოების საქმიანობას.¹ ტექნოლოგიათა მასობრივი გავრცელებისათვის მნიშვნელოვანია მთავრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკა, რომელიც აუმიჯობებს თანამედროვე ტექნოლოგიათა დატვირთვას და ადგილობრივი ფირმების ადაპტაციის უნარს, რაც მოითხოვს ქვეყანაში კვალიფიციური სამუშაო ძალის ჩამოყალიბებას არამარტო ტექნოლოგიებში დასასაქმებლად, არამედ კონკურენტული ადგილობრივი საწარმოთა განვითარების ხელშესაწყობად. ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკის განვითარება დროთა განმავლობაში აუცილებელია, რამდენადაც თანამედროვე პერიოდში სწრაფად იზრდება ინდუსტრიული დარგების მოთხოვნები. მთავრობის მიერ გატარებული სწორი პოლიტიკა აძლიერებს მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობებს მათი გაფართოებითა და ტრენინგ - მომსახურებით. საქართველომ აუცილებელია ხელი შეუწყოს სპეციფიურ ტექნოლოგიათა ტრანსფერტს, რომელიც შესაბამისობაშია ქვეყნის პრიორიტეტულ დარგებსა და ასევე განვითარების სტრატეგიასთან. მთავრობას, ფისკალური და ფინანსური სტიმულებით, აქვს

¹ Nelson, R.R., Phelps, E.S., . Investment in humans, technology diffusion, and economic growth. American Economic Review, 1966, p.70.

ქრისტიანა ჯვანჯვამა

შესაძლებლობა მოიზიდოს ტეკ-ები კონკრეტულ დარგებში, გარდა ამისა შექმნას სასურველი კლიმატი საწარმოებში ინოვაციათა დაანერგისთვის მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის შექმნით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მდებარეობს უნივერსიტეტებსა და სხვა კვლევით ცენტრებთან ახლოს. რეციფიენტი ქვეყანაში ორიენტაციის აღება უკვე ფუნქციონირებად ტეკ-ებისკენ, სტრატეგიის ერთ-ერთი ნაწილია, რომელიც ხორციელდება მაგალითად, სტიმულების შეთავაზებით, იმისათვის, რომ გადაადგილოს და ფოკუსირება მოახდინოს შედარებით კომპლექსურ ტექნოლოგიებზე, გაზარდოს და განაახლოს ადგილობრივ დონეზე განხორციელებული მეცნიერულ-ტექნიკური კვლევები. აღნიშნული გულისხმობს წარმოების ყველა ფაქტორის გაუმჯობესებას, რომელიც გამოიყენება ტეკ-თა ფილიალებში (ინფრასტრუქტურა, უნარ-ჩვევები, ინფორმაცია და ა.შ.). საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფოს ხელეწიფება შეაგროვოს და გაავრცელოს რეციფიენტი ქვეყნის ტექნიკური, კვლევითი და საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ინფორმაცია და გაამარტივოს მოწინავე ტექნოლოგიათა ხელმისაწვდომობა ადგილობრივი საწარმოთათვის. კავშირებისა და ალიანსების შექმნა მსოფლიოში ტექნოლოგიათა დარგში ლიდერებისთვის ტეკ-ებისა და შიგა ფირმებს შორის, ნოუ-ჰაუს გადაცემის მნიშვნელოვანი საშუალებაა. მაგ., ერთობლივ საწარმოთა შექმნა განაპირობებს ტექნოლოგიათა ეფექტიან ტრანსფერტს, ამ შემთხვევაში მყარდება ორმხრივი ნდობა პარტნიორებსა და შეძენილ საწარმოთა შორის. უკუკავშირის არსებობის აღმოსაფხვრელად, რომელიც ასევე შესაძლოა წარმოიშვას ტეკ-ებსა და შიგა პოტენციურ მიმწოდებლებს შორის, საჭიროა ინტენსიურ კონსულტაციები და ტრენინგები. კავშირის განსამტკიცებლად ხდება ადგილობრივი მთავრობის მიერ ფისკალური შეღავათების შეთავაზება ტეკ-ების მიერ ჩატარებული მეცნიერულ-ტექნიკურ კვლევებზე. გარდა ამისა, ადგილობრივი ტექნოლოგიური და ინდუსტრიული კლასტერების შექმნა ეროვნული ფირმებისა და უცხოური ფილიალების მონაწილეობით ზრდის ნოუ-ჰაუს გაცვლასა და გამოცდილების მიღებას ეროვნული ფირმე-

ბისთვის.¹

სამწუხაროდ, საქართველოს თანამედროვე ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა, ინოვაციური სისტემების სტრატეგიული დაგეგმვის არქონა, ეროვნული კვლევა-განვითარების ინფრასტრუქტურის მოშლილობა, სხვადასხვა ინოვაციაზე დაფუძნებული მიდგომების დეფიციტი, ყველა ეს ფაქტორი, ცალ-ცალკე და ერთობლიობაში, არსებითად აფერხებს უფრო მაღალი უკუგების, მდგრადი და გრძელვადიანი ეფექტების გენერირების შესაძლებლობებს ადგილობრივ ეკონომიკაში – ფართო მასშტაბის ადგილობრივი ინიციატივების, ინოვაციური სისტემებისა და რეგიონების კონკურენტულ უპირატესობებზე დაფუძნებული პროექტების წახალისება-განხორციელებაში. შედეგად, ეკონომიკური განვითარების დონე საქართველოში შორსაა სასურველისგან და ააშკარავებს მწარმოებლობისა და შემოსავლების გენერირების დაბალ დონეს, მწირ საწარმოო შესაძლებლობებს და ინფრასტრუქტურას, სუსტ სამეწარმეო აქტივობას. უცხოური ინვესტიციების დადებითი ზეგავლენა ქვეყნისა და მისი რეგიონების პროდუქტიულობის ამაღლებასა და საინვესტიციო სისტემებზე განუზომელია, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მისი ეფექტიანობა გაცილებით ძლიერია მოწინავე ქვეყნებისათვის, ვიდრე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის. უცხოური ინვესტიციებისთვის დამახასიათებელია დამატებითი ფინანსური სარგებელი, ტექნოლოგიური დიფუზია და კავშირების სტიმულირება უცხოურ და ადგილობრივ ფირმებს შორის, რაც ზრდის ინოვაციურ ძალისხმევას. აღსანიშნავია, რომ უპი-ები ეფექტიანია მხოლოდ მასპინძელი ქვეყნის მიერ ტექნოლოგიის ათვისების მაღალი დონის პირობებში. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკის განვითარებაზე უპი-ების ზემოქმედების შესაფასებლად, საჭიროა დადგინდეს მის პარალელურად, შესაბამისი მოცულობით, იზრდება თუ არა თანამედროვე ტექნოლოგიები და მენეჯერული ჩვევები და, რაც მთავარია, წარმოიქმნება თუ არა ამით ახალი შესაძლებლობები

¹Barro, R., Sala-i-Martin, X.. Technology diffusion, convergence, and growth.

Journal of Economic Growth, 1997, p.23.

ქრისტინა ჯღანჯავა

მომიჯნავე დარგებისა და საერთოდ, ბიზნესის განვითარებისათვის. ამგვარად, უპი-ების იმპორტი სასარგებლოა მაშინ, როდესაც ინვესტიციების მთლიანი მოცულობის ზრდა განაპირობებს ახალი ტექნოლოგიებისა და მენეჯერული ჩვევებს ათვისებას. საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვანი მიმართულებაა მოწინავე ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის სტიმულირება. ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სტრატეგიის შემუშავება, რაც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს განავითაროს პრიორიტეტული დარგები და აამაღლოს მისი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო მასშტაბით.

Technology Transfer - Factors Contributing to the Development of Recipient Countries

K. Jganjgava

The article provides an opinion that technology transfer is the process which contributes to transfer of scientific studies and technology from one company to another. Developed countries are characterized by rapid technological change, reduction of difference between the levels of technological development in developed and developing countries, which is essential for sustainable economic development and reduction of poverty in developing countries. Import of advanced technologies is essential for a company to achieve competitive advantage. Correspondingly, stimulation of advanced technologies and entrepreneurship is an important direction of sustainable development strategy of Georgia. Development of strategy oriented on innovations and new technologies is crucial for the country's economic development and security. The will make it possible for the country to develop desirable sectors and improve their competitiveness.

ASPECTS OF SOCIAL RESPONSIBILITY OF MARKETING IN THE GEORGIAN CONSUMER MARKET

Nugzar Todua

Full Professor, Doctor of Economic Sciences

Iza Gigauro

Doctoral Candidate

ABSTRACT

Gradually, the world is recognizing the role of business ethics and responsibility towards society. Accordingly, there is a shift towards social responsible and ethical behaviour around the world. Corporate Social Responsibility as a declared strategy contributes a sustainable development of a company and prepares it for a global competitive advantage. This research is driven by the fact that there has not been conducted any scientific research in Georgia in order to determine consumers' perception of social responsibility, their expectations and impact of CSR on consumer behaviour. The scope of the research is confined to identify abilities of the Georgian consumers to support social responsibility of companies operating in the Georgian market.

Keywords: CSR, marketing, consumers, product choice, purchase decision, developing countries, Georgia.

INTRODUCTION

Corporate Social Responsibility (CSR) is a buzzword in the early 21st century. Almost every big company has CSR strategy to meet the requirements of customers and the society as a whole. Consumers are demanding that companies implement social responsibility regardless of their size, shape or origin. Since societies around the world are facing various social problems, they expect from the companies to help in solving them using their resources effectively.

Companies around the world are more and more aware of the consequences of their activities. In addition, societies are demanding

socially responsible behavior, and expecting that businesses will help in resolving many societal problems. Therefore, companies use CSR strategies to meet the requirements not only of their shareholders but also of the society as a whole.

Gradually, awareness about the advantages of CSR is increasing among companies operating in Georgia. The United Nations Global Compact Initiative promotes corporate social responsibility in Georgia. But its efforts are mainly directed towards the companies. Customers are less informed in the issues regarding social responsibility, and hence, they do not demand socially responsible behavior from companies operating in the Georgian market.

However, debates are still continuing about whether or not companies should adopt and engage in CSR, especially in developing countries. Therefore, this study aimed to determine if companies operating in the Georgian market could achieve a competitive advantage through CSR. This research was driven by the fact that there is still less awareness about CSR in Georgia, especially, from the side of consumers. The main purpose of the research is to define consumer perception and expectations regarding social responsibility in Georgia.

The research was focused on finding out if CSR would help companies in their marketing efforts to attract more loyal customers. The research objectives were to ascertain CSR impacts on consumers purchase behavior, and demand level for CSR. The research was aimed at finding how informed Georgian consumers are about CSR, and which communication channels they prefer for receiving information about CSR.

The study aimed at finding answers of the key questions: do consumers take into account a company's ethical reputation while purchasing products, and do a company's corporate social responsibility play any role in consumers purchase decision.

LITERATURE REVIEW

Fundamental changes have been occurred last decades in society and in business (Brenkert, 2010; Hollender, 2004). One of them is

responsible corporate behavior that is an imperative rather than a choice businesses can do. This shift is raising the expectations that the public has of the role business should play in society. The public will not tolerate the kind of behavior that they tolerated in the past. There is a new level of expectation that will change the guidelines under which businesses operate (Hollender, 2004). Therefore, marketing academics and practitioners face a new challenge - meet requirements of the society about the social responsibility (Cone Communications, 2007; CSRWire, 2008; Dahlsrud, 2006).

Advocates of CSR consider it as a vehicle for development, and state that in an increasingly globalized economy competition has become more fierce and traditional differential factors among firms are on the verge of obsolescence, therefore, successful firms will be those that are able to respond to the demands of their stakeholders whatever these demands might be (Doane, 2005; Hollender, 2004; Idemudia, 2011).

Company focus shifted from just profit maximization towards more important issues of business survival and the satisfaction of social needs. There is the necessity to balance current stakeholder and societal needs with those of the future (Hildebrand et al., 2011). Consequently, many companies attempt to understand and meet requirements both their consumers and all stakeholders. According to Lindgreen et al. (2009: 135), CSR must reach out to many different stakeholders; the organization listens and responds to stakeholders that form part of the organization's relationships, networks and interactions.

Academics and practitioners have been trying to establish a universal definition for corporate social responsibility (Carroll, 1991), but despite of many definitions (Sweeney & Coughlan, 2008), there is no universal definition for CSR yet (Commission of the European Communities, 2001; Schlange & Co.)

CSR is also known as corporate social performance, sustainable business, sustainable responsible business, (Kanji & Chopra, 2010), corporate responsibility, corporate citizenship, responsible business, and corporate governance (Schlange & Co.). All these terms describe responsibility of a company towards its stakeholders (Schlange & Co.),

and means that a company can produce an overall positive impact on society, and herewith, achieve maximization of profits. CSR is an effective tool for improving a public image of a company (Kanji & Chopra, 2010).

According to Rowe (2005), Corporate Social Responsibility is a self-regulation presented as a way to balance the interests of business and society without expanding government intervention in the global market place.

Researchers consider CSR as an optimal managerial tool for promoting and positioning, and highlight the unique role of CSR in effective corporate marketing (Hildebrand et al., 2011).

Among the many definitions of CSR the most important for the company is to take into consideration the needs of all stakeholders in every stage of its operations. Marketing plays a vital role in terms of learning about needs and wants of all stakeholders, and meet their requirements in order to survive and achieve success. The company should be constantly in touch with the society through the marketing communication in order to inform them about the CSR programs implemented by the company. According to Hockerts (2007: 11), CSR strategy increases competitiveness, and companies are engaging in four dimensions of CSR: risk, efficiency, branding, and new markets.

Studies confirm the overall positive effect of CSR to consumer attitudes and supports towards a company (Vaaland et al., 2008; Berens et al., 2002). Since ethical behavior is expected, the company is rewarded by the consumer's willingness to pay higher prices and thereby reward its ethical behaviors. However, the consumer may also buy from the unethical companies, but punish them by demanding lower prices (Vaaland et al., 2008; GlobeScan, 2004).

A number of surveys confirm that consumers in many countries increasingly use ethical criteria in their purchase decision. Moreover, socially responsible consumption has also grown (Yan & She, 2011: 253). These developments have attracted attention of researchers. However, most studies are conducted on the mature markets in the developed countries, and CSR in the emerging economies is neglected (Yan & She, 2011: 254).

Studies in developing countries have demonstrated that consumers are often unaware and unsupportive towards CSR while in developed countries, on contrary, most consumers are willing to support CSR initiatives launched by corporations (Arli & Lasmono, 2010).

According to Arli and Lasmono (2010), in the context of developed country, consumers are interested in, and have positive perception towards CSR. They consider CSR as a purchase criterion, and some of them are even willing to pay a higher price for that company's products. On the contrary, in developing countries, the key purchase criteria for consumers are price and quality of a product. But despite this, CSR still increases positive attitude and loyalty towards the company and/or the brand, and improves financial performance (Arli and Lasmono, 2010)

According to Porter and Kramer (2006), CSR is much more than expenses or just philanthropy. On the contrary, CSR can be a profitable resource. This perspective emphasizes CSR as an essential and growing effect on choosing of marketing strategies, especially in terms of its impact on consumer values (Piercy & Lane, 2009; Porter & Kramer, 2006). Thus, CSR can be a source of competitive advantage, and consequently, a significant corporate capital (Piercy & Lane, 2009).

RESEARCH METHODOLOGY

არასრული სამუშაო დღით დასაქმების ფორმის გამოყენების უპირატესობებია: 1. დიდი შესაძლებლობები მოქნილი სამუშაო დღისათვის; 2. დანადგარებისა და წარმოებრივ სიმძლავრეთა უკეთესი გამოყენება ღამის ცვლის შემოღების დახმარებით; 3. შრომის ანაზღაურებაზე დანახარჯების შემცირება, რამდენადაც მცირდება სრული სამუშაო დღით მომუშავეთათვის ზეგანაკვეთური მუშაობის აუცილებლობა; 4. უფრო მაღალი მწარმოებლურობა, რადგან მოკლე სამუშაო დღით მომუშავეებს შეუძლიათ მეტი ყურადღება დაუთმონ თავიანთ საქმიანობას და გაზარდონ შრომის ინტენსივობა. მუშაობის აღნიშნულ ფორმას აქვს უარყოფითი მხარეებიც, მათ შორის: ა) არასრული სამუშაო დღით მომუშავენი ნაკლებმობილურებია, რადგან მათი უმეტესობა, განსაკუთრებით ქალები, არ არიან მზად იმუშაონ საღამოთი ან ღამის საათებში, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ბავშვების მოვლასა და სხვა ოჯახურ ვალდებულებებთან; ბ) დენადობის დონე არასრული სამუშაო დღით მომუშავეებში უფრო მაღალია, ვიდრე სრული სამუშაო დღით მომუშავეებში; გ) არასრუ-

ლი სამუშაო დღით მომუშავენი ხშირად ორგანიზაციისადმი უფრო ნაკლებერთგულებია, ვიდრე სრული სამუშაო დღით მომუშავენი.

სამუშაოს დაყოფა დასაქმების ისეთი ფორმაა, როცა ორი მომუშავე ერთობლივად ასრულებს ერთი მომუშავის სამუშაოს სრული სამუშაო დღის რეჟიმით. სამუშაოს დაყოფა შეიძლება მოიცავდეს ერთი დღის ან კვირის სამუშაო საათების დანაწილებას ან, რაც იშვიათად ხდება, რიგრიგობით მუშაობას მთელ კვირაში. სამუშაოს დაყოფის უპირატესობაა კადრების დანადობისა და სამუშაოს არასაპატიოდ გაცდენების შემცირება, რამდენადაც შეთანხმებული სამუშაო დრო აწყოფს თითოეულ მომუშავეს. გარდა ამისა, მუშაობის ასეთი სქემა ხელს უწყობს მომუშავეთა მოზიდვას იმათგან, რომელთაც არ შეუძლიათ სრული სამუშაო დღით მუშაობა, მაგრამ სურთ ჰქონდეთ მუდმივი სამუშაო.

შინ მომუშავე თანამშრომლები სამუშაოზე შეიძლება მიღებულ იქნენ კოსულტანტებად, ანალიტიკოსებად, დიზაინერებად, პროგრამისტებად და სხვ. ასეთი ფორმით მუშაობის უპირატესობებია: ა) მოთხოვნილების მერყეობებზე მოქნილად და სწრაფად რეაგირების უნარი; ბ) ზედნადები ხარჯების შემცირება; გ) ხელფასზე უფრო დაბალი დანახარჯები და სხვ.

ადამიანური რასურსების დაქირავებისა და, შესაბამისად, მისი დაგეგმვისას ბევრი ორგანიზაცია მიმართავს სუბკონტრაქტების პრაქტიკას. მისი მიზანია: 1. ადამიანური რესურსების კონცენტრირება საქმიანობის ძირითად სახეობებში; 2. ხელფასზე დანახარჯების შემცირება; 3. მწარმოებელურობისა და მოქნილობის ამაღლება; 4. ძირითადი მომუშავეებისათვის სამუშაო ადგილის საიმედოობის გაზრდა. მას აქვს უარყოფითი მხარეებიც. ესენია: სუბმოიჯარის მუშაობის ხარისხისა და დავალების შესრულების ვადებზე კონტროლის სირთულე; მომუშავეებისა და პროფკავშირე-

ბის მხრიდან მუშაობის მოცემულ ფორმაზე ნეგატიური დამოკიდებულება, რამდენადაც მათ ურჩევნიათ სამუშაოს შესრულება საწარმოს ჩარჩოებში და ა. შ.

მუშაობის მოქნილი რეჟიმები მოქნილობის ამაღლების გეგმაში შეიძლება ჩაერთოს სხვადასხვა გზით: 1. ყოველდღიური მოქნილი სამუშაო საათები. იგი შეიძლება შედგეს დღეების მიხედვით, მოსალოდნელი ან ტიპური დატვირთვის შესაბამისად; ბ) ყოველკვირეული მოქნილი გრაფიკი—წლის განმავლობაში, განსაზღვრულ პიკურ პერიოდებში უფრო ხანგრძლივი დროით მუშაობის უზრუნველყოფელი; გ) ყოველდღიური და ყოველკვირეული მოქნილი სამუშაო საათები—სამუშაო საათების ცვლილება ყოველდღიურად ან კვირიდან კვირემდე ან ორივეს კომბინაცია. ასეთი მოქნილი გრაფიკებისას სამუშაო საათების რაოდენობა მერყეობს მინიმალურ და მაქსიმალურ სამუშაო დღეს შორის. ამასთან, სამუშაო კვირის საშუალო ხანგრძლივობა უნდა იყოს კანონით დადგენილი ნორმის ფარგლებში; დ) შეკუმშული სამუშაო კვირა, როცა კვირაში სამუშაო დღეების რაოდენობა ხუთზე ნაკლებია; ე) სამუშაო რეჟიმი წლის განმავლობაში სამუშაო საათების საერთო რაოდენობის სფუქველზე, რომლის დროსაც დასაშვებია სამუშაო საათების გადიდება ან შემცირება თითოეულ განხილულ პერიოდში, ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად.

მობილურობის ამაღლების გეგმა შეიძლება მოიცავდეს წინადადებებს ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე დანახარჯების შემცირების მიმართულებით. ამ მიზნით, გამოიყენება მუშაობის მოქნილი გრაფიკი, ხდება ახალი სამუშაო ცვლების ორგანიზება, მომუშავეებს აძლევენ დამატებით გამოსასვლელ დღეებს ზეგანაკვეთურის მაგივრად და ა. შ. ზეგანაკვეთური მუშაობის შემცირების ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა მასთან დაკავშირებული ფულადი კომპენსაციის არსებობა, რამდენადაც ორგანიზაციები ერიდება ხელფასზე დანახარჯების გადიდებას.

ადამიანური რესურსების დაგეგმვისას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მომუშავეთა დამაგრების გეგმას. იგი ემყარება მომუშავეთა დამაგრების სტრატეგიას, რომელიც ითვალისწინებს მოცემული ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი კადრების შენარჩუნების კონკრეტულ საკითხებს და განსაზღვრავს მის შესაბამის მეთოდებს. ამასთან, არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ, საბოლოო ანგარიშით, ბაზარი და არა კომპანია, განსაზღვრავს გადაადგილებას მომუშავეთა ორგანიზაციებს შორის. დღეს ძნელია წინ აღუდგე ბაზრის ზეწოლას და დაიცვა ორგანიზაციის მომუშავეები უფრო მიმზიდველი შესაძლებლობებისა და აგრესიული გადაამბირებლებისგან. ამიტომ, ადამიანური რესურსების მენეჯერების წინაშე არსებული ამოცანა – დაიყვანონ მინიმუმამდე კადრების დენადობა, უნდა შეიცვალოს ახალი ამოცანით – მოახდინონ გავლენა იმათზე, რომლებიც ორგანიზაციას ტოვებენ. ეს კი შეიძლება წამყვანი სპეციალისტებისათვის მუშაობის, მათი განვითარებისა და შრომის ანაზღაურების უკეთესი პირობების შეთავაზებით. მოცემულ შემთხვევაში ხშირად იყენებენ მომუშავეთა საწარმოდან წასვლის ე. წ. რისკების ანალიზს. იგი შეიძლება მოხდეს რისკის პოტენციური ზონების, ანუ იმ წამყვან მომუშავეთა გამოვლენით, რომლებიც სავარაუდოდ დატოვებენ ორგანიზაციას. ამის შემდეგ უნდა შეფასდეს იმის ალბათობა, რომ ეს მოხდება და რა სერიოზულ გავლენას მოახდენს ეს საწარმოზე. საჭიროა, აგრეთვე, შეფასდეს რამდენად ადვილი იქნება შემცვლელის მოძიება და როგორი იქნება დანახარჯები წასულ მომუშავეთა შეცვლაზე. რისკის შეფასებები (მაგალითად, ძალიან მაღალი, მაღალი, საშუალო, დაბალი, ძალიან დაბალი) შეიძლება განლაგდეს სკალაზე. ამ შეფასებათა ანალიზიდან ირკვევა, თუ რა აუცილებელი ზომებია მისაღები წამყვან მომუშავეთა შესანარჩუნებლად. რისკის ანალიზი იძლევა კონკრეტულ ინფორმაციას იმ სფეროებზე, როლებიც თხოულობენ ყურა-

დღეებს, აგრეთვე, გათავისუფლებათა მიზეზებზე და, შესაბამისად, მათი თავიდან ასაცილებლად მისაღებ ზომებზე. საწარმოდან წასვლის მიზეზებზე გარკვეულ ინფორმაციას იძლევა მათთან (წამსვლელებთან ან წასულებთან) გასაუბრებაც. თუმცა, იგი არცთუ ისე საიმედოა. ხსენებული რისკების ანალიზიდან გამომდინარე, მომუშავეთა დამაგრების გეგმებით შეიძლება შემოთავაზებულ იქნეს შემდეგი ზომების მიღების საჭიროება: 1. არაკონკურენტუნარიანი, უსამართლო ან მიკერძოებული შრომის ანაზღაურების სისტემის გადასინჯვა ანაზღაურების საბაზრო დონის გათვალისწინებით. შეიძლება ე. წ. “ოქროს ხელბორკილის“ (პრემია ლოიალურობისათვის) გამოყენება, როგორც წამყვან მომუშავეთა ორგანიზაციაში დარჩენისათვის სტიმული (თუმცა, არსებობს ზღვარი, სანამდე შეიძლება წახადისო მომუშავე ასეთი სახით); 2. სამუშაოს ისეთნაირად მოდელირება, რომელშიაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული მომუშავეთა უნარჩვევების სხვადასხვაობა, დასახული ამოცანების მნიშვნელობა და უზრუნველყოფილი იქნება თვითკონტროლისა და თითოეული მომუშავეს სწავლებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობა; 3. მუშაობაში ჩართულობის განვითარება არა მარტო სამუშაოს მოდელირების დახმარებით, არამედ სამუშაოს ორგანიზებით კონკრეტული პროექტების გარშემო, რომლებზეც ადამიანები უფრო მზად არიან მოახდინონ თავიანთი თავის იდენტიფიცირება, ვიდრე ორგანიზაციასთან მთლიანობაში; 4. ორგანიზაციის ჩარჩოებში სოციალური კავშირების წახადისება. ადამიანური რესურსების მართვის ცნობილი სპეციალისტის კაპელის სიტყვებით რომ ვთქვათ, “კომპანიების მიმართ ერთგულება შეიძლება ამოიწუროს, მაგრამ, კოლეგებისადმი ერთგულება—არა“;¹¹ 5. კარიერული ზრდისათვის ახალი უნარ-ჩვევების სწავლების შესაძლებლობის მიცემა; 6. შერჩევისა და დაწინაურების პროცედურების

¹¹ Армстронг М. Практика управления человеческими ресурсами. Перевод с английского. М., 2007, с.338.

სამართლიანობის გარანტიის მიცემა, რამდენადაც დენალობა ხშირად გამოწვეულია სწორედ შერჩევისა და დაწინაურების სფეროში არასწორი გადაწყვეტილებებით; 7.სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის გასაუმჯობესებლად ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ცნობს მომუშავის სამუშაოსთან კავშირში არმყოფ მოთხოვნილებებს (ბავშვების მოვლა და სხვა საოჯახო ვალდებულებები); 8. რამდენადაც შესაძლებელია, არასასურველი პირობებისა და სტრესის გამომწვევი სიტუაციების შემცირება და ა. შ. ასეთ ზომებს შეუძლია მომუშავეთა დამაგრებაში დახმარება. მიუხედავად ამისა, როცა სხვა ორგანიზაციებიდან მიღებული წინადადებები ძალიან მიმზიდველია, არ ხერხდება წასვლის მსურველ მომუშავეთათვის ხელის შეშლა თავიანთი განზრახვის შესრულებაში. ამ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს პერსონალის შემცირება ან მუშაობის სისტემის ისეთნაირად შეცვლა, რომ იგი ნაკლებად იყოს დამოკიდებული სპეციალისტთა უკმარისობაზე, საქმიანობის მცირეედიანი პროექტების ორგანიზებისა და გარე ორგანიზაციების გამოყენებით.

პერსონალის შტატების შემცირების გეგმა, პირველ რიგში, უნდა ემყარებოდეს პროგნოზებს პერსონალის ბუნებრივი გზითა და ნებაყოფლობითი წასვლით შემცირების შესახებ. ასეთი გეგმა უნდა მოიცადეს: ა) გასათავისუფლებელ ადამიანთა საერთო რაოდენობას; ბ) ღონისძიებებს მომუშავეებისა და მათი პროფკავშირების ინფორმირებასა და კონსულტაციაზე; გ) ბუნებრივი დანაკარგების შედეგად გათავისუფლებულ მომუშავეთა რაოდენობის პროგნოზს; დ) კადრების ნებაყოფლობითი შემცირების წამახალისებელ ნებისმიერ ფინანსურ და სხვა სტიმულებს; ე) გათავისუფლებულ მომუშავეთა რაოდენობის მოსალოდნელ პროგნოზს; ვ) შესამცირებელ მომუშავეთა რაოდენობის პროგნოზს. ცხადია, შტატები პირველ რიგში, უნდა შემცირდეს ბუნებრივი დანაკარგებისა და ნებაყოფლობითი წასვლის ხარჯზე; ზ)

შტატების შემცირების პირობებს; თ) კომპანიის მნიშვნელოვან საკვანძო თანამშრომლებზე შეთავაზებულ ფინანსურ სტიმულებს; ი) ღონისძიებებს მომუშავეთა გადასამზადებლად და ორგანიზაციის შიგნით მათთვის სამუშაოს მოსაძებნად; კ) ღონისძიებებს შესამცირებელ მომუშავეთა დასახმარებლად ახალი სამუშაოს მოძიებაში (კონსულტაციები, მიმართვა სხვა დამქირაველებისადმი ან გარე კონსულტანტებისადმი და ა. შ.); ლ) ღონისძიებებს მომუშავეებისა და მათი პროფკავშირებისათვის კადრების შემცირების თაობაზე ინფორმაციის მისაწოდებლად.

საქართველოში ადამიანური რესურსების დაგეგმვას, მცირე გამოწვლინის გარდა, სათანადო ყურადღება არ ექცევა. სამწუხაროდ, ეკონომიკური საქმიანობის და მათ შორის, ადამიანური რესურსების დაგეგმვისადმი ინტერესი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ წლებში თითქმის მთლიანად დაიკარგა იმ მოტივით, რომ დაგეგმვა თითქოს მხოლოდ სოციალიზმისათვის იყო დამახასიათებელი, ხოლო, რაც შეეხება სხვადასხვა ეკონომიკური პროცესის განვითარებას, მას საბაზრო ეკონომიკა დაარეგულირებს, გარედან უოველგვარი ჩარევის გარეშე. მალე ცხადი გახდა, რომ ასეთი წარმოდგენა ძირშივე მცდარი იყო და გადაიდგა ზოგიერთი ნაბიჯი დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად. მაგალითად, 1990-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოს მაშინდელი ეკონომიკის მინისტრის ლადო პაპავას თაოსნობით, დამუშავდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხუთწლიანი პროგნოზი. ანალოგიურ პრობლემებზე აქტიურად მუშაობდა ეკონომიკური პროფილის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლებმაც, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ საუკუნის დასაწყისში შეწყვიტეს არსებობა. ეკონომიკის რეგულირებისა და მისი ცალკეული პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზაციის საკითხებზე, სამწუხაროდ, უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებზედაც

თითქმის არ მიმდინარეობს მუშაობა. ყოველივე ამის გამო, ქვეყანაში ფუნქციონირებად ორგანიზაციებს (კომპანიებს, ფირმებს და ა შ.) არ გააჩნია, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით დამუშავებული, ცალკეული ეკონომიკური პროცესის მართვის (მათ შორის ადამიანური რესურსების დაგეგმვის) მეთოდური ხასიათის მეცნიერული ბაზა. აღბათ, ნაწილობრივ ამითაცაა გამოწვეული, რომ დღეს ჩვენში საწარმოთა უმეტესობა ფაქტობრივად არ გეგმავს ადამიანურ რესურსებს რაიმე მწყობრი მეთოდის მიხედვით. უფრო მეტიც, მათ დიდ ნაწილს იგი საერთოდ არ გააჩნია. ამჟამად ორგანიზაციებში იშვიათად ადგენენ ადამიანური რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებულ ისეთ გეგმებს, რომლებიც ეხება: მუშაობის მოქნილობის ამაღლებას, არასრული სამუშაო დღით დასაქმების ფორმის გამოყენებას, შინამუშაობას, მუშაობის მოქნილი რეჟიმების გამოყენებას. გარდა აღნიშნულისა, საქართველოში საწარმოთა დიდ ნაწილში ადამიანურ რესურსებზე მოთხოვილებისა და მიწოდების დაგეგმვისას, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, პრიორიტეტს აძლევენ გარედან დაქირავებას და ამით, არცთუ იშვიათად, სამუშაოს გარეშე ტოვებენ გარედან მოწვეულზე უკეთეს სპეციალისტს მაშინ, როცა დასავლურ კომპანიებში მომუშავეთა დაქირავებისას, პირველ რიგში, ეყრდნობიან ადგილობრივ კადრს და მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას ამცირებენ მას. არის სხვა ნაკლოვანებებიც.

ადამიანური რესურსების დაგეგმვაში ზემოხსენებულ და სხვა ნაკლოვანებათა შესამცირებლად აუცილებელია ეკონომიკის მართვის და მათ შორის, ადამიანური რესურსების დაგეგმვის მეთოდურ საკითხებზე სამეცნიერო კვლევების ჩატარება, თუნდაც სპეციალური გრანტების საფუძველზე და, ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. აუცლებელია, აგრეთვე, თითოეულ ორგანიზაციას ჰქონდეს სათანადოდ დამტკიცებული ადა-

მიანური რესურსების დაგეგმვის საკუთარი მეთოდის, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოყვანილი ანალოგიურ დასავლურ მეთოდებთან და რომლის სრული დაცვით მოხდება ადამიანური რესურსების დაგეგმვა. ცხადია, ადამიანური რესურსების დაგეგმვაზე კეთილსასურველ გავლენას მოახდენს პერსონალის დაქირავებისა და სამუშაოდან გათავისუფლების საკითხებზე საქართველოს შრომის კოდექსის ნაკლოვანებათა აღმოფხვრა.

Characteristics of Human Resource Planning in a Market Economy

N. Paichadze

The article discusses some of the characteristics of human resource planning in a market economy. Particular attention is paid to methods and technologies of planning characteristic to western organizations regarding some specific issues of human resource planning, such as: scenario planning, demand and supply forecasting, labour fluctuation analysis, rise of flexible employment and part-time employment, use of various flexible job models, maintaining staff at work, staff reduction, etc.

Finally, the article analyzes the current situation of human resource planning in Georgia and provides some opinions regarding the issues of improvement.



**გიორგი შუბლაძე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი**

მიუხედავად იმისა, რომ მენეჯმენტის ევოლუცია დაიწყო ერთი საუკუნის წინათ აშშ-ში, საზღვარგარეთულ და ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ბოლო დრომდე არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი მენეჯმენტის არსისა და მისი ფუნქციების შესახებ. არსებობს განსხვავებული აზრი მენეჯმენტისა და საბაზრო ეკონომიკის ურთიერთკავშირის მიმართ.

მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საბაზრო ეკონომიკამ შეასრულა არსებითი როლი მენეჯმენტის წარმოშობაში, ე.ი. მენეჯმენტი საბაზრო ეკონომიკის შედეგია. მეორე ნაწილი, პირიქით, მიიჩნევს, რომ ამერიკული საბაზრო ეკონომიკა იქმნებოდა მენეჯმენტის ამერიკული ტიპის შესაბამისად. ანალოგიურად მსჯელობენ იაპონიის საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებით. დისკუსიაში იმის თაობაზე, პირველადია საბაზრო ეკონომიკა თუ მენეჯმენტი, უფრო მძლავრია მსჯელობა, რომლის თანახმად ორივე შემთხვევაში არსებობს რაციონალური მარცვალი: საბაზრო ეკონომიკა და მენეჯმენტი წარმოადგენს დიალექტიკურ მთლიანობას, როდესაც მიზეზი გადადის შედეგში და პირიქით.

მენეჯმენტის, როგორც განსაკუთრებული მეცნიერული დისციპლინის, წარმოშობა დაიწყო XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე აშშ-ში, ხოლო ცნება (ტერმინი) წარმოიშვა, აგრეთვე ამ დროს ამერიკის ბიზნეს-გარემოში. ეს განპირობებული იყო ობიექტური პროცესებით, რასაც ადგილი ჰქონდა ამ ქვეყნის ეკონომიკაში. წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციამ და კონკურენციის გამწვავებამ, რაც დამახასიათებელია საბაზრო

გიორგი შუბლაკი

ეკონომიკისათვის, მოითხოვა ბიზნესის წარმართვის ახალი კონცეფციის – მენეჯმენტის დამუშავება და, შესაბამისად, საჭირო მმართველების – მენეჯერების მომზადება.

აღნიშნულთან დაკავშირებით არსებითი მნიშვნელობა აქვს მენეჯმენტის დარგში ცნობილი თეორეტიკოსის, ამერიკელი პროფესორის პიტერ დრუკერის გამონათქვამს: „ასი წლის წინათ, როდესაც კარლ მარქსმა დაწერა თავისი „კაპიტალი“ (Das Kanital), ცნება მენეჯმენტი ბუნებაში არ არსებობდა. ჩვეულებრივად იყო საწარმოები, რომლებიც მუშაობდა მმართველების ხელმძღვანელობით. მსოფლიოში უმსხვილესი საწარმოო კომპანია – საქსოვი ფაბრიკა „ერმენი და ენგელსი (მანჩესტერი, დიდი ბრიტანეთი) – ითვლიდა 300-მდე მუშას ... ერთ-ერთ იმ დროს ყველაზე მომგებიან ამ საწარმოში საერთოდ არ იყვნენ „მენეჯერები“, იყვნენ მხოლოდ ე.წ. „ბრიგადირები“, რომლებიც იცავდნენ დისციპლინას თავიანთი ხელქვეითების - „პროლეტარების“ ჯგუფს შორის... მენეჯმენტი ფენომენური მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. დაახლოებით 150 წლის განმავლობაში იგი ჩამოყალიბდა და მან შეიძინა უდიდესი გავლენა...“¹.

მოტანილი გამონათქვამი საფუძველია მენეჯმენტის სწორი დეფინიციისათვის, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მენეჯმენტის საკითხების გაშუქებისას სტუდენტებისათვის განკუთვნილ სასწავლო ლიტერატურაში (პირველ რიგში - სახელმძღვანელოებში).

საქმე ის არის, რომ ხშირად ინგლისური ტერმინ „მენეჯმენტის“ გაიგივება ხდება „მართვასთან“, რაც ჩვენი აზრით, დაუშვებელია. „მენეჯმენტი“ ამერიკული წარმოშობის ტერმინია და არ ითარგმნება ქართულ ენაზე, აგრეთვე სხვა ენაზე. ერთ-ერთ რუსულ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: ტერმინები „მენეჯმენტი“, „მენეჯერი“ სწრაფად და მყარად შემოვიდა ჩვენს ლექსიკაში, შეცვალეს რა ჩვენ მიერ ადრე გამოყენებული ტერმინები „მართვა“, „მმართველობითი საქმიანობა“, „ხელმძღვანელი“, „ადირექტორი“. ტერმინი „მენეჯმენტი“ თავისი არსით წარმოადგენს ტერმინ „მართვის“ ანალოგს, ეს მისი

¹ Друкер П.Ф. Энциклопедия менеджмента. М., 2008, с.19.

სინონიმი... (ხაზგასმა ჩვენია გ.შ.). იქვე აღნიშნულია: ტერმინი „მართვა“ რამდენადმე უფრო ფართოა, რამდენადაც გამოიყენება ადამიანისეული საქმიანობის სხვადასხვა სახეობის (მაგალითად, ავტომობილის მართვა) მიმართ; საქმიანობის სხვადასხვა სფეროს (მართვა არაცოცხალ ბუნებაში, ბიოლოგიურ სისტემებში, სახელმწიფოს მართვა) მიმართ... მაგალითად, არაცოცხალ ბუნებაში მართვის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „Control“; სახელმწიფოებრივი ანუ საზოგადოებრივი მართვისათვის – ტერმინები „government administration“, ანუ „public administration“... ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ შემდგომ გამოვიყენებთ ტერმინ „მართვას“ ტერმინ „მენეჯმენტის“ მნიშვნელობით¹.

სამწუხაროდ, რუსული სახელმძღვანელოდან მოტანილი ვრცელი ამონარიდი, წინააღმდეგობრივია და მენეჯმენტის არსის გაგებაში (განსაკუთრებით სტუდენტებისთვის) იწვევს დიდ გაუგებრობას. თავისი შინაარსით „მენეჯმენტი“ ქართული „მართვის“ ანალოგია, მაგრამ მათი სინონიმად გამოცხადება სრულიად ალოგიკურია. ამრიგად, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ცნებებმა „მენეჯმენტი“ და „მენეჯერი“ შეცვალეს „მართვა“ და „ხელმძღვანელი“.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არამართლზომიერია მენეჯმენტის საკითხების განხილვა „დაიწყოს მსჯელობით იმის თაობაზე, რა არის ორგანიზაცია“², რადგან ორგანიზაციები არსებობს უძველესი დროიდან, ყოფილ საბჭოთა კავშირში და ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, მაგრამ ცნება „მენეჯმენტი“ არ არსებობდა. გეგმიანი ეკონომიკის პირობებში საწარმოები (ორგანიზაციები) სახელმწიფოს მიერ იმართებოდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და შესაბამისი სამინისტროების (უწყებების) მეშვეობით. ამიტომ, საბჭოთა სახელმწიფო სხვა ფუნქციებთან ერთად, ასრულებდა ქვეყანაში სამეურნეო (ეკონომიკურ) ფუნქციას (მაგალითად, ცალკეულ საწარმოებში კონკრეტული სამეურნეო – საფინანსო

¹ Герчикова И.Н. Менеджмент. М., 1995, с. 9-10.

² ნ. პაიჭაძე, თ. ხომერიკი, გ. შისაშვილი, ზ. ხვინთელიანი. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2005, გვ.

მანვენებლების განსაზღვრა – დაგეგმვა; დირექტორების სროგორც სახელმწიფო დავალებების შემსრულებლების, დანიშვნა და სხვ.). მოტანილი ციტატის ავტორები ორგანიზაციის ცნებაში გულისხმობენ „კერძო და სახელმწიფო ფირმებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, კულტურის, განათლების დაწესებულებებს და მისთ“¹. ე.ი. მათი კომერციულ (კერძო) ორგანიზაციებად (რომლებიც გამიზნულია მოგების მიღებაზე) და არაკომერციულ ორგანიზაციებად (რომელთა მიზანი არ არის მოგების მიღება) გამიჯვნის გარეშე. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მენეჯმენტი, როგორც წესი, კომერციული ორგანიზაციების (ფირმების) მართვაა, ხოლო მენეჯერი ბიზნესმენის მიერ დაქარავებული მმართველია (მართვის სპეციალისტია). მოცემულ შემთხვევაში მართვის პროცესი (დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივაცია, კონტროლი) ხორციელდება საწარმოების (ფირმების) დონეზე.

მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო და მისი ორგანოები (სამინისტროები და უწყებები) თავისუფლდებიან სამეურნეო მართვის ფუნქციებისაგან და საქმიანობის (ბიზნესის) მართვის პროცესის მთელი ციკლი სრულდება საწარმოების (ფირმების) ყველა დონის (უმაღლესი, საშუალო ძირეული) მენეჯერების მიერ დამოუკიდებლად ზემოდან მითითებების გარეშე. ქვეყნის ეკონომიკის მართვის ნაცვლად სახელმწიფო ასრულებს ეკონომიკის რეგულირების ფუნქციას. ხშირად „მართვას“ და „რეგულირებას“ განიხილავენ როგორც სინონიმებს² რაც არამართლზომიერია, ვინაიდან მათ შორის არსებითი განსხვავებაა. მართვის ძირითადი და აუცილებელი კომპონენტია დაგეგმვა, რადგან, როგორც ცნობილია, რაც ვერ ან არ იგეგმება, იგი ვერ ან არ იმართება. აღნიშნულიდან გამომდინარე ალოგიკურია მსჯელობა და საუბარი დღევანდელი საქართველოს ეკონომიკის მართვის

¹ Виханский О.С., Наумов А.И. Менеджмент. Учебник. 5 – е изд. М., 2010, с. 19.

² ე. ბოლოკაძე. მარკეტინგი, თბ., 1995, გვ. 28.

სისტემის შესახებ¹ ან კიდევ ბაზრის მართვის შესახებ. ამიტომ სავსებით კანონზომიერია მსჯელობა სახელმწიფოს მხრივ საბაზრო ეკონომიკის, ბაზრის რეგულირების და არა მართვის შესახებ. ამრიგად, „საბაზრო ეკონომიკის მართვა“, „წარმოების ეკონომიკური მართვისა და ეკონომიკის ეფექტიანი მართვის კონცეფცია“² ნონსენსია. აგრეთვე ალოგიკურია იმის აღნიშვნაც თითქოს, მენეჯმენტი არის „მართვის ტიპი, რომლის ვარიანტები შეიძლება იყოს ადმინისტრაციული მართვა, კორპორაციული მართვა, მოტივაციური მართვა, კულტუროლოგიური მართვა, ტექნოკრატიული მართვა და სხვა“³.

მენეჯმენტი, როგორც წესი, ინგლისურენოვან ქვეყნებში გამოიყენება ბიზნესთან ერთად. ბიზნესი⁴ (Business-საქმე) წარმოადგენს საქმიანობას, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, ძირითადად პროდუქციის (მომსახურების) წარმოებისა და გასაღების (რეალიზაციის) გზით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კერძო სექტორი (ბიზნესი) ეკონომიკის ორგანული მნიშვნელოვანი ნაწილია. საწარმოების (ფირმების) ფუნქციონირება ბიზნესის სფეროში წარმოდგენელია მენეჯმენტის გარეშე (ნებისმიერ ფირმას სჭირდება მენეჯერი როგორც ორკესტრს – დირიჟორი). ამიტომ მენეჯმენტი წარმოადგენს ბიზნესის მართვის ფილოსოფიას. ამრიგად, მიზანშეწონილია მსჯელობა ცალკეული საწარმოს (ორგანიზაციის) ეკონომიკისა და არა ქვეყნის ეკონომიკის მართვის შესახებ.

მაშასადამე, მენეჯმენტი, როგორც წესი, კომერციული ორგანიზაციების მართვაა და მისი პრინციპები და მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაკომერციულ (სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და სხვ.) ორგანიზაციებშიც. მაგრამ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია

¹ ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე. მენეჯმენტის საფუძვლების. თბ., 2012, გვ. 7.

² Менеджмент. Учебник под общей ред. И.Н. Шапкина. М., 2011, с. 16.

³ იქვე, გვ. 16.

⁴ იხ. ბიზნესის არსისა და მისი დეფინიციის შესახებ. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №4, 2009.

ბიორგი შუბლაკე

საქართველოს პარლამენტის სხდომაზე, ტელეგადაცემებში იმის თქმა, რომ ამა თუ იმ სამინისტროში მოიკოჭლებს მენეჯმენტი და კიდევ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში - „რაც შეეხება მოსამართლის თანაშემწეთა და სასამართლოს სხვა თანამშრომელთა გადამზადების პროგრამას, ის მოიცავს ტრენინგებსა და სემინარებს, როგორც სამართლებრივ საკითხებზე, ასევე სასამართლოს გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელ საკითხებზე, კერძოდ, მოქალაქეებთან ურთიერთობა, სასამართლოში საქმეთა ნაკადის მართვა, მენეჯმენტი¹ (ხაზგასმა ჩვენია - გ.შ.). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მენეჯერი ბიზნესმენის მიერ დაქირავებული მართვის სპეციალისტია (მმართველია) და დ. შაშკინის მინისტრად წარდგენისას პრემიერ - მინისტრ ნ. გილაურის მიერ მისი კარგ მენეჯერად მოხსენიება ალოგიკურია. ანალოგიურად ლოგიკას მოკლებულია პრემიერ - მინისტრად დანიშვნისას ვ. მერაბიშვილის ყველა დონეზე კარგ მენეჯერად დახასიათება.

მენეჯმენტის მეთოდოლოგიური საფუძველია მართვის ზოგადი თეორია და კიბერნეტიკა. ამიტომ მენეჯმენტის პრინციპების, ფუნქციებისა და მეთოდების მნიშვნელოვანი ნაწილი საერთოა მართვის ყველა სახეობისათვის, მაგრამ არამართლზომერია მენეჯმენტის ფუნქციების შეცვლა მართვის ფუნქციებით. მაგალითად, მენეჯმენტის სახელმძღვანელოში არის თავი 9 - „შიგასაფირმო მართვის უმნიშვნელოვანესი ფუნქციები“, რომელშიც გამოყოფილია პარაგრაფი - „მართვის ძირითადი ფუნქციების არსი“ და განხილულია სამი ფუნქცია: მარკეტინგი, დაგეგმვა და კონტროლი². ჩვენი აზრით, არ შეიძლება მარკეტინგი ჩაითვალოს მენეჯმენტის ფუნქციად და მით უმეტეს შიგასაფირმო დაგეგმვის ამოსავალ ეტაპად, როგორც არის დასათაურებული თავი 10 - „მარკეტინგი როგორც მართვის ფუნქცია და შიგასაფირმო დაგეგმვის

¹ კ.კუბლაშვილი. იუსტიციის უმაღლესი სკოლა - სასამართლო რეფორმის წარმატებული პროექტი, გაზ. „ახალი თაობა, 2011 წ. 17 ნოემბერი, გვ. 6.

² Герчикова И.Н. დასახ. წიგნი, გვ. 141-142.

ამოსავალი ეტაპი“. საქმე ის არის, რომ მარკეტინგი ისეთი დამოუკიდებელი დისციპლინაა როგორც მენეჯმენტი და დაგეგმვის ამოსავალი ეტაპია არა მარკეტინგი, არამედ ანალიზი და პროგნოზირება.

მენეჯმენტის ერთ-ერთ ახალგამოცემულ სახელმძღვანელოში არის სპეციალური თავი „მენეჯმენტის ფუნქციების ცნება და არსი“, რომელშიც ჩამოთვლილია შემდეგი ფუნქციები: დაგეგმვა, პროგნოზირება, ორგანიზაცია, კოორდინაცია, მოტივაცია, კონტროლი¹. როგორც აღინიშნა, პროგნოზირება წარმოადგენს დაგეგმვის ამოსავალ ეტაპს და არა მენეჯმენტის ფუნქციას. ხოლო რაც შეეხება კოორდინაციას, მისი ცალკე ფუნქციად გამოყოფა არამართლზომიერია, ვინაიდან კოორდინაცია მთლიანად მენეჯმენტის მთავარი დანიშნულებაა და მას ემსახურება დაგეგმვის, ორგანიზაციის, მოტივაციისა და კონტროლის პროცესი ორგანიზაციული მიზნების ფორმულირებისა და მიღწევისათვის¹.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან კეთდება შემდეგი დასკვნა: 1) უპირველეს ყოვლისა აუცილებელია „მენეჯმენტისა“ და „მართვის“ ცნებების სწორად გამიჯვნა და „მენეჯმენტის“ მართებული დეფინიცია; 2) მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციებია: დაგეგმვა, ორგანიზაცია (ორგანიზება), მოტივაცია და კონტროლი.

ჩვენი აზრით, მოკლედ მაინც უნდა ითქვას უმაღლეს სასწავლებლებში მენეჯმენტის მეცნიერული (სასწავლო) დისციპლინების სწავლების შესახებაც. სწავლება უნდა დაიწყოს დისციპლინით – „მენეჯმენტის საფუძვლები“. მანამდე სტუდენტებს შესწავლილი უნდა ჰქონდეთ (ერთი სემესტრით ადრე მაინც) „მარკეტინგის საფუძვლები“. ამის შემდეგ სტუდენტებმა უნდა შეისწავლონ: „სტრატეგიული მენეჯმენტი“, „ფინანსური მენეჯმენტი“, „ტურიზმის მენეჯმენტი“, „საერთაშორისო მენეჯმენტი“ და სხვა, რომელთა მეთოდოლოგიური საფუძველია „მენეჯმენტის საფუძვლები“. სამწუხაროდ, ჩვენ მიერ განხილული ყველა სახელმძღვანელო

¹ Мескон м.х. Альберт М., Хедоури ф. Основы менеджмента, 3-е изд. Пер с англ. М., 2008, с.31.

გამოცემულია სახელწოდებით – „მენეჯმენტი“. პოსტსაბჭოურ სივრცეში, კერძოდ საქართველოში მენეჯმენტის შესწავლა დაიწყო ამერიკელი ავტორების – მ.ხ. მესკონის, მ. ალბერტის, ფ. ხედოურის წიგნის – „მენეჯმენტის საფუძველები“ (რუსულ ენაზე თარგმანი) მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და აღიარებულ სახელმძღვანელოს მსოფლიო მასშტაბით. ამ წიგნის ერთადერთ ხარვეზად ჩვენს პირობებში მიგვაჩნია ის, რომ იგი იწყება (თავი 1) ორგანიზაციის განხილვით. ეს ხარვეზი გამოსწორებულია ქართულ ენაზე გამოცემულ სახელმძღვანელოში (ავტორები გ. შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი, ფ. წოწკოლაური. მენეჯმენტის საფუძველები, 2008), რომელშიც თავი 1 ეძღვნება მენეჯმენტის ცნებას და შინაარსს (იგი განთავსებულია ინტერნეტში. მეორე გამოცემა შესრულებულია 2011 წელს).

Regarding Definition of the Essence and Functions of Management

G. Shubladze

The article notes that it's illogical to use English word "management" and Georgian "administration" (მართვა) as synonyms. The meaning of "management" includes to administer something but in business, as a rule, it means administration of large commercial organizations aiming to make a profit. A manager is a specialist of management hired by a businessman.

Main functions of management are: planning, organization, motivation and control.



რატი აბულაძე
ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის თსუ-ის მოწვეული პროფესორი

ელექტრონული მთავრობის ეპოქაში, მთავრობის მიზანს მოქალაქეთა პერსონალური მოთხოვნებიდან და აბსტრაქტული სურვილების დაკმაყოფილება წარმოადგენს, რაც ე-მთავრობის მომსახურების სისტემით მიიღწევა.

ე-მთავრობა მართვის ახალი ფორმაა, რომელიც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გამოყენებითა და საზოგადოებრივი მომსახურების წარდგენით ფოკუსირებულია მოქალაქეზე და ორიენტირებულია შედეგზე. ამით მიიღწევა ადმინისტრაციისა და მოქალაქეების დაახლოება,¹ სამთავრობო ინფორმაციისა და მომსახურების მოხერხებული მისაწვდომობის ორგანიზაცია, ბიზნესთანამშრომლობა, საზოგადოებრივი სექტორის შეუფერხებელ მუშაობა,² საჯარო სერვისის მომხმარებლებთან ყოველდღიური ურთიერთობა.³

ე-მთავრობის მიზანია მოქალაქეზე ორიენტირებული

¹ Aibar E.E-Governance and Citizen Information. Summary of the final Research Report Barcelona, July 2006. http://openaccess.uoc.edu/webapps/o2/bitstream/10609/300/1/pic_egovernance.pdf

² McClure D.L. statement of David L. McClure, U.S.General Accounting Office, before the subcommittee on Government Management, Information and technology, committee on Government reform, House of Representatives, 2000. <http://www.gao.gov>

³ Stanforth C., Flynn M. The Promotion of E-Governance in Developing Countries: Reflections on E-Government in Two Asia-Pacific Countries. <http://www.ccnr.net/pratoconf2008/stanforth.pdf>

მომსახურებისა¹ და საზოგადოებრივი ფასეულობის შექმნა, დინამიკური მთავრობის ფორმირება და მოქალაქეების თანამონაწილეობითი მართვა,²ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით მოქალაქეთა მომსახურების კომპიუტერიზაცია და ინტერნეტიზაცია;³ სახელმწიფო ფინანსების, ადამიანური რესურსებისა და სერვისის ეფექტიანი მართვა; სახელმწიფო მომსახურების მისაწვდომობისა და ხარისხის უზრუნველყოფა; საინვესტიციო კლიმატის სრულყოფა, ბიზნესი-მთავრობის (B2G) მოდელის გარიგების ხარჯების შემცირება; მთავრობის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.⁴

ელექტრონული მთავრობის სისტემა წარმოადგენს მრავალგანზომილებიან ტექნოლოგიურ კონცერნს, რომელიც ფართო ზეგავლენას ახდენს სოციალურ, ეკონომიკურ, ადამიანურ, ორგანიზაციულ, კულტურულ, პოლიტიკურ ფაქტორებზე.

ე-მთავრობის პრინციპია სამთავრობო ინფორმაციასთან დაშვების შესაძლებლობა, სახელმწიფოს მმართველობაში მოქალაქეთა გაფართოებული მონაწილეობა, სახელმწიფო მომსახურების წარდგენა რეალური დროის რეჟიმში,⁵სახელმწიფო მომსახურების ძალისხმევის ფოკუსი-

¹ Goings D. A., Young D., Hendry S. H. **Critical Factors in the Delivery of e-Government Services: Perceptions of Technology Executives.** *Communications of the International Information Management Association*, Volume 3 Issue 3. <http://www.iima.org/CIIMA/CIIMA%20V3%20N3%201%20Goings.pdf>

² Streib G., Navarro I. Citizen Demand for Interactive E-Government: The Case of Georgia Consumer Services. Georgia State University. <http://www2.gsu.edu/~padgds/Streib%20The%20emand%20for%20Interactive%20Egovernment.pdf>

³ Spremić M., Šimurina J., Jaković B., Ivanov M. 'E-Government in Transition Economies~. World Academy of Science, Engineering and Technology . 2009 . <http://www.waset.org/journals/waset/v53/v53-84.pdf>

⁴ Hanna N.K., Zhen-Wei Qiang C., Kimura K., Chew Kuek S. National E-Government Institutions: Functions, Models and Trends. http://siteresources.worldbank.org/EXTIC4D/Resources/5870635-1242066347456/IC4D_2009_Chapter6.pdf

⁵ Кузьмин И.Ю. Перспективы внедрения информационно-коммуникативных технологий в процесс управления государством, журнал „Современные проблемы науки и образования~, №3. 2009.

რება მოქალაქეზე და არა ბიუროკრატიაზე.¹

ე-მთავრობის არქიტექტურის იდეოლოგია ეფუძნება ონლაინ რეჟიმში ყველა მომსახურების წარდგენას, თუმცა, რეალურად ადგილი აქვს ე-მთავრობის მომსახურებასთან მრავალარხიანი დაშვების ტენდენციას. ფაქტობრივად, ე-მთავრობა მოიცავს ყველა სახელმწიფო მომსახურების მისაწვდომობას დაშვების (წვდომის) რამდენიმე არხით.

ე-მთავრობის სტრუქტურა შეიცავს მოქალაქეზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც მიმართულია ხელმძღვანელობის, ფინანსების, საერთო რესურსებისა და ტექნოლოგიის სფეროს ეფექტიანი გამოყენებისკენ.²

ე-მთავრობა მოქალაქეებთან ურთიერთობისას, ძირითად აქცენტს აკეთებს ინფორმაციასთან თავისუფალი წვდომის, ეფექტიანი მომსახურებისა და კომუნიკაციის სრულყოფაზე.

ე-მთავრობა მოქალაქეებს უზრუნველყოფს ელექტრონული კონსულტაციებით, ელექტრონული კონტროლირებით, ელექტრონული ურთიერთქმედებით, ხელმძღვანელობით,³ ელექტრონული ბაზებით, ელექტრონული მონაწილეობითა და ჩართულობით.

ე-მთავრობა ეკონომიკური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი ფასეულობების გაღრმავებისა და განვითარების, ახალი ბიზნესაზროვნების, ცხოვრების სტილისა და გახსნილი კულტურის ტრანსფორმაციის ფენომენია,⁴ რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადმინისტრაციის მიერ კლიენტზე ორიენტაციას, სახელმწიფო მომსახურებასთან წვდომას, სასიცოცხლო მნიშვნელობის პორტალების

¹ Goings D. A., Young D., Hendry S. H. Critical Factors in the Delivery of e-Government Services: Perceptions of Technology Executives. Communications of the International Information Management Association, Volume 3 Issue 3. <http://www.iima.org/CIIMA/CIIMA%20V3%20N3%201%20Goings.pdf>

² http://www.cpsi.co.za/conferences/31_08_2010/Sonette%20Meerman.pdf

³ <http://www.egovmonitor.com/node/6556>

⁴ Engage: Getting on with Government 2.0 . report of the government 2.0 taskforce. <http://www.finance.gov.au/publications/gov20taskforcereport/doc/Government20-TaskforceReport.pdf>

რახი აბულაძე

შემუშავებს, მომხმარებელთან ურთიერთობების მართვას (CRM),¹ მოქალაქეების შეხედულებით web 2.0-სა და სხვა ინტერაქტიული ინსტრუმენტების გამოყენებასა და მართვას, სეგმენტირებულ ჯგუფებზე სპეციალიზებული მომსახურების წარდგენას და სხვა ფაქტორებს.²

ე-მთავრობის სისტემა ქმნის და ფლობს მოქალაქეთა შესახებ ინფორმაციულ მონაცემთა ბაზებს (მისამართები, მონაცემები საქმიანობასა და ოჯახის წევრებზე, გადასახადების გადახდებზე, შემოსავლებზე და სხვა), რომელსაც იყენებს მარკეტინგული, რაციონალური და მიზნობრივი მიზნით.³ ეს სისტემა სამოქალაქო და ბიზნესსაზოგადოების „კეთილდღეობის სისტემა“, რომელიც ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებისკენაა მიმართული;

ე-მთავრობა ტექნოლოგიურად ნეიტრალურია, რომელიც ხელს უწყობს მართვის ეფექტიანობის სრულყოფას, დემოკრატიული ფასეულობების განმტკიცებას, ინფორმაციული ინიციატივებისა და საზოგადოებრივი ცოდნის ზრდას, ე-მთავრობის მომსახურების წარდგენას მომხმარებლის კულტურის ცვლილებების შესაბამისად.⁴

ე-მთავრობის ინიციატივების არსია მოქალაქეთა მიმართვის უზრუნველყოფა, მოქალაქეების მოთხოვნილების შესაბამისი ინფორმაციისა და მომსახურების წარდგენა.⁵ ე-მთავრობა მოიცავს ინფორმაციისა და მომსახურების მიწო-

¹ Hermann Hill. Transformation of the Administration by E-Government, German Journal of Urban Studies , Vol. 45, 2004. No. 2. <http://www.difu.de/publikationen/german-journal-of-urban-studies-vol-45-2004-no-2/transformation-of-the-administration-by-e-government.html#schedler2003#schedler2003>

² http://www2.unpan.org/egovkb/global_reports/10report.htm

³ Accenture. High performance in government. Leadership in Customer Service Building the Trust. 2006. http://www.accenture.com/xdoc/en/industries/government/acn_2006govt_report_FINAL2.pdf

⁴ International Telecommunication Union (ITU). E-Government Readiness Assessment Framework. Geneva. 2009. http://www.itu.int/ITU-D/cyb/app/docs/Framework%20for%20e-Gov%20toolkit_2009_12_07_draf_for_discussion.pdf

⁵ <http://emag.iis.ru/arc/infosoc/emag.nsf/BPA/b423468353130801c325714-c004a0866>

დების ახალ ფორმებს, საზოგადოებისა და ბიზნესის ადგილობრივ და გლობალურ დონეზე ჩართულობას, ე-დემოკრატია, მართვის ეფექტიანობას.¹

ე-მთავრობა, საჯარო მართვის ორგანიზაციის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის ამადლების, ინფორმაციასთან მისაწვდომობის, მომსახურების ოპერატიულობის, მართვაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტრატეგიული და ინტენსიური გამოყენების, საჯარო სერვისის მომხმარებლებთან ყოველდღიურ ურთიერთობის შესაძლებლობას იძლევა.²

ე-მთავრობის მომსახურება მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის არის პერსონალიზებული, ფოკუსირებული ხელსაყრელობასა და მისაწვდომობაზე. ე-მთავრობის ეპოქაში მომხმარებლების მოთხოვნების შესაბამისად ადგილი აქვს მართვის პროცესების რეორგანიზაციას, ეფექტიანობის ამადლებას, მომსახურების სრულყოფას, პორტალის საიტების განვითარებასა და მოდერნიზაციის ორგანიზებას.

ე-მთავრობა მოქალაქის პრობლემებზე განსაკუთრებული დამოკიდებულების პოლიტიკით, მოქალაქეს განიხილავს საბოლოო მომხმარებლის თვალსაზრისით. ამ პოლიტიკის ჩარჩოებში ავითარებს მიწოდების რეჟიმსა და ელექტრონულ მომსახურებასთან დაშვების მიდგომებს,³ რომელიც ძვირადღირებულია, თუმცა, მიღებული სარგებელი მაღალია.

ე-მთავრობასთან დამოკიდებულებით მოქალაქისა და საზოგადოებრივი აზრის როლი განიხილება როგორც ფენომენი, სადაც მოქალაქე არის საზოგადოებრივი აზრის წყარო/რესურსი, ფაქტორი პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც რო-

¹ Mahadeo J. D. Towards an Understanding of the Factors Influencing the Acceptance and Diffusion of e- Government Services. <http://www.ejeg.com/volume-7/vol7-iss4/Mahadeo.pdf>

² Stanforth C., Flynn M. The Promotion of E-Governance in Developing Countries: Reflections on E- Government in Two Asia-Pacific Countries. <http://www.cnr.net/pratoconf2008/stanforth.pdf>

³ Bucy E. P., Kimberly S., Gregson K. 2002. Media participation: A legitimizing mechanism of mass democracy. *New Media & Society* 3: 357- 80.

გორც სუროგატი, უშუალოდ მონაწილეობს ადმინისტრაციის საქმეებისა და პროცესების მართვაში.¹

ე-მთავრობას სწრაფი და სინქრონული გავლენა აქვს სოციალურ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ პროცესებზე. იგი ასტიმულირებს ინფორმირებას და უზრუნველყოფს იდეების და ინფორმაციის თავისუფალ გადაადგილებას.

გავრცელებული საზოგადოებრივი მომსახურების მოთხოვნადი ფორმებია: სხვადასხვა ტიპის განათლება და კადრების მომზადება, საშემოსავლო გადასახადის სერვისი, ეარჩევნები და ამომრჩევლის ელექტრონული გადაწყვეტილების უზრუნველყოფა, სამსახურის ძიება, სოციალური უზრუნველყოფა, პერსონალური დოკუმენტაციის მიღება, მანქანის რეგისტრაცია, სამშენებლო ნებართვების გაცემა, განაცხადი პოლიციაში, საჯარო ბიბლიოთეკით სარგებლობა, სერთიფიკატის აღება, მოძრავი ბინადრობის რეგისტრაცია და სხვა.

მომხმარებელზე ორიენტირებული ე-მთავრობა, მოქალაქის როგორც მომხმარებლის, გადასახადის გადამხდელისა და კლიენტის მხედველობაში მიღებით, ხელს უწყობს მათ თავიანთი თავისა და როლის შეცნობაში, რაც ასევე განაპირობებს მთავრობის შეფასებას იმ სარგებლის მიღებით, რასაც თითოეული იღებს ინდივიდუალურად.²

ე-მთავრობის მიერ მოქალაქეზე ორიენტირების პოლიტიკა იწვევს მოქალაქეთა გააქტიურებას ე-მთავრობის მომსახურების მიღებისათვის. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში, მოქალაქეთა ონლაინ მომსახურების სარგებლობის აქტივობა 2009-2010 წწ-ში წინა წელთან შედარებით გაიზარდა 82 %-ით,³ თუმცა, მოსახლეობის საერთო აქტივობა კვლავ დაბალია. პროგნოზით, 2015 წლისთვის ევროკავშირის მოქალაქეების 50% და ბიზნესორგანიზაციების 80% ყოველ-

¹ Bryer Th. A. Bureaucratization and Active Citizenship: Approaches to Administrative Reform. http://www.naspaa.org/initiatives/paa/pdf/thomas_bryer.pdf

² King, Ch.I S., Stivers C. Government Is Us: Public Administration in an Anti-Government Era. Sage Publications. Thousand Oaks, CA. 1998.

³ http://ec.europa.eu/information_society/newsroom/cf/item-detail-dae.cfm?item_id=6537

დღიურად ისარგებლებს ე-მთავრობის მომსახურებით.¹

ე-მთავრობის მომსახურების გამოყენებითა და მოქალაქეთა აქტივობით ლიდერობს ნორვეგია, მეორე და მესამე ადგილს ინაწილებს ისლანდია და ნიდერლანდები, ხუთეულში შედის ფინეთი და შვედეთი. ოცეულს აბოლოებს საბერძნეთი.

ე-მთავრობის სისტემა ფართოვდება მოქალაქეების ადმინისტრაციული და ელექტრონული მართვის ცოდნის, უნარიანობისა და მონდომების პროპორციულად. შესაბამისად მატულობს მოქალაქეების აქტივობა და ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საზოგადოებრივი პრობლემებისა და სახელმწიფო გადაწყვეტილების პროცესებში, ინტერაქტიული პოლიტიკის ფორმირებაში, მონიტორინგისა და სახელმწიფო გადაწყვეტილების კონტროლში.²

ე-მთავრობის ტექნოლოგიები, დანართები, ელექტრონული შესაძლებლობები და ძალისხმევა ზრდის მოქალაქეების მოლოდინს მთავრობისადმი, მოქალაქეებთან დიალოგსა და უკუკავშირს, მათ მოთხოვნილებებსა და პრიორიტეტებთან პოლიტიკური პროცესების ორიენტირებას,³ ელექტრონულ ურთიერთქმედებას, მოქალაქეების ელექტრონულ უფლებებს⁴.

ე-მთავრობა იწვევს უწყების, მართვის პროცესების, მოქალაქეების როლისა და მოქალაქეებთან ურთიერთობის ტრანსფორმაციას, მათი უფლებების გაფართოებას, ადმინისტრაციული და სამოქალაქო ტრადიციების ტრანსფორმაციას.

¹ Capgemini, IDC, Rand Europe, Sogeti, DTi. Digitizing Public Services in Europe: Putting ambition into action, 9th Benchmark Measurement, December 2010.

² http://www2.unpan.org/egovkb/global_reports/10report.htm

³ United Nations. e-Government Survey 2008, New York, 2008. <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/un/unpan028607.pdf>

⁴ Waiel Said. Government Resources Planning as Government to Government e-Participation Platform within the Integrated Government Model. http://crossroad.epu.ntua.gr/files/2010/04/20_Government_Resources_Planning_as_Government_to_Government_e-Participation_Platform_20100214_by_Waiel_Said_V3.pdf

ე-მთავრობის ვალდებულებების შესრულება მოქალაქეებთან ურთიერთკავშირისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმიანობის სპექტრია, რაც წარმოებს ელექტრონული მთავრობის პლატფორმით, ინტერნეტ-მარკეტინგის მეთოდებითა და web 2.0 ინსტრუმენტების გამოყენებით.

ე-მთავრობის განვითარების ტენდენციის შედეგია ყველა მოქალაქისათვის მომსახურების პერსონალიზაცია და მოთხოვნილებების შესაბამისი კონკრეტული პროფილების დემარკაცია.¹

ე-მთავრობის ჩამოყალიბებით მიიღწევა: ეფექტიანი საზოგადოებრივი წყობა, სახელმწიფოს მომსახურების ხარისხის ამაღლება და სასურველი შედეგები,² ე-დემოკრატია, საზოგადოებრივი აზრის შესახებ ადმინისტრაციის ინფორმირების უზრუნველყოფა, ეკონომიკური ეფექტიანობა, მთავრობის ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობის ამაღლება.³

მოქალაქეზე ორიენტირებული ე-მთავრობის მიდგომა ამცირებს მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის წარმოჩენილ პრობლემებს, ზრდის ე-მომსახურების გამოყენებას, ხარისხს, მთავრობასთან უკუკავშირსა და ურთიერთქმედებას;⁴

¹ Aibar E.E-Governance and Citizen Information. Summary of the final Research Report Barcelona, July 2006. http://openaccess.uoc.edu/webapps/o2/bitstream/10609/300/1/pic_egovernance.pdf

² Karunasena K., Deng H. Exploring the Public Value of e-Government: An Empirical Study from Sri Lanka. 23rd Bled eConference eTrust: Implications for the Individual, Enterprises and Society. Bled, Slovenia, June 20-23, 2010. [http://www.bledconference.org/proceedings_nsf/0/89113f16ffd4e6e7c1257757003bfa7b/\\$FILE/21_Karunasena.pdf](http://www.bledconference.org/proceedings_nsf/0/89113f16ffd4e6e7c1257757003bfa7b/$FILE/21_Karunasena.pdf)

³ International Telecommunication Union (ITU). E-Government Readiness Assessment Framework. Geneva. 2009. http://www.itu.int/ITU-D/cyb/app/docs/Framework%20for%20e-Gov%20toolkit_2009_12_07_draf_for_discussion.pdf

⁴ Bertot, J.C., Jaeger, P.T., McClure, C.R. Citizen-Centered E-Government Services: Benefits, Costs, and Research Needs. The Proceedings of the 9th Annual International Digital Government Research Conference: 137-142. Montreal, Canada, May 18-21, 2008. <http://mcclure.ii.fsu.edu/publications/2008/Citizen-centered%20E-government%20services.pdf>

იგი უფრო მეტია, ვიდრე ინტერნეტით მოქალაქის მომსახურება და საზოგადოებრივი ინფორმაციის მისაწვდომობა.¹

ე-მთავრობის მომსახურების სისტემის შეფასების ინდიკატორია ელექტრონული მომსახურების გავრცობა და განვითარება, ყველა მოქალაქის მოთხოვნების შესწავლა და დაკმაყოფილება, ე-დემოკრატია და ინფორმაციული თავისუფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში მოქალაქეზე ორიენტირებული ე-მთავრობის მომსახურების გავრცობისა და განვითარებისთვის აუცილებელია:

- ე-მთავრობის ფოკუსირება ძლიერი ინსტიტუციონალური სიმძლავრეების მშენებლობის, უკეთესი მომსახურების მიწოდების, გამჭვირვალობის ამაღლების, ელექტრონული კორუფციის შემცირებისა და სოციალური კონტროლის მიდგომაზე;

- მოქალაქეზე ორიენტირებული ე-მთავრობის სტრატეგიული პროცესი საჭიროებს კომპლექსური და მაკოორდინირებელი მეთოდების სპექტრს, მიდგომებსა და ე-მთავრობის მომსახურების განვითარებაში მონაწილეობისა და მოქალაქეების ეფექტიანად ჩართვის სტრატეგიას.²

- ელექტრონული მთავრობის მომსახურება მიმართული უნდა იყოს ციფრული უთანასწორობის შემცირების, მოქალაქეებზე ორიენტირებისა და პერსონალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და მწარმოებლობის ამაღლებაზე, სახელმწიფო მომსახურების უწყვეტი განვითარებისა და საჯარო ხელისუფლების განხორციელების ყველა შესაძლო ელექტრონული არხის გამოყენებაზე;

- მოქალაქეზე ორიენტირებული ე-მთავრობის მომსახ-

¹ Tripathi A. K Some Component Generation Approaches for E-Governance Systems. International Journal of Public Information Systems, vo I, 2010 . www.ijpis.net

² Bertot, J.C., Jaeger, P.T., McClure, C.R. Citizen-Centered E-Government Services: Benefits, Costs, and Research Needs. The Proceedings of the 9th Annual International Digital Government Research Conference: 137-142. Montreal, Canada, May 18-21, 2008. <http://mcclure.ii.fsu.edu/publications/2008/Citizen-centered%20E-government%20services.pdf>

ურება საჭიროებს სოციალურ, ორგანიზაციულ და კულტურულ ცვლილებებს;

- ე-მთავრობის უწყებების მუშაობა უნდა შეფასდეს თითოეული მოქალაქესთან პერსონალური ურთიერთობის, მათი მომსახურების პროდუქტიულობითა და მოთხოვნების დაკმაყოფილების მუშაობით;

- მოქალაქეზე ორიენტირებული ე-მთავრობის მომსახურება საჭიროებს აუტენტიფიკაციის მექანიზმს, რეესტრისა და მონაცემთა ბაზის სამართლებრივ რეგულირებასა და საზოგადოებრივ კონტროლს.

Main Trends of e-Government Service System

R. Abuladze

The article states that the main task of the e-government service system is to satisfy personal and abstract requirements of the population. It also analyzes the structure of the e-government service system, its relation with the population, initiatives and attitudes.

The article reviews the service of e-government for individuals and businesses which is personalized and focuses on availability and accessibility.

According to customer requirements, e-government is targeted to reorganization of management processes, rising efficiency, improvement of service, development and modernization of web portals, which, on its side, influences social, economic, human, organization, cultural and political factors.

The article presents the types of widely spread social service and the level online service usage according to different countries.

Finally, the conclusion provides the attitudes required for development and spreading of e-government services.

საქართველოს საბანკო სისტემის
კონკურენტუნარიანობის
აბაღლებისათვის

სიური ოქრუაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი

საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესთან ერთად, საბანკო სექტორის განვითარებაც წინააღმდეგობრივი მოვლენებით ხასიათდება. მხედველობაში გვაქვს არა მარტო ის, რომ იგი, ერთი მხრივ, ემსახურება კაპიტალის აკუმულირებას და განაწილებას, სამეურნეო სუბიექტებს შორის ფულის მიმოქცევის, დაგროვებისა და გადახდის ურთიერთობებს, არამედ, მეორე მხრივ, ისიც, რომ ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის მ. ფრიდმენის სიტყვებით რომ ვთქვათ, საბანკო სისტემა თავისი ფუნქციონირების პროცესში, ძირითადი პრინციპების სერიოზული დარღვევის შემთხვევაში, თვით გამოდის ეკონომიკის არასტაბილურობის წყაროდ.

საქართველოში, 2008 წლამდე, აქტუალური იყო ეროვნული ბანკის კომერციულ ბანკებზე ზედამხედველობის სამმართველოს სტრუქტურის გაუმჯობესების საკითხი. აღნიშნულ სამმართველოში გაერთიანებული იყო ექვსი განყოფილება: 1. ბანკების ლიცენზირების, 2. მეთოდოლოგიის, 3. ბანკების ანგარიშგების, 4. ბანკების ადგილებზე შემოწმების, 5. ბანკების ლიკვიდაციის, 6. არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის განყოფილებები. აღნიშნული სტრუქტურა ნაკლებად ეფექტიანი იყო, ვინაიდან აერთიანებდა საკმაოდ ბევრ, შინაარსობრივად სხვადასხვა ფუნქციას.

2008 წლიდან ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ფუნქცია გადაეცა ახლადშექმნილ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს. მას დაემატა ფასიანი ქაღალდების კომისიის და დაზღვევის სახელმწიფო კომიტეტის რეგულირების ფუნ-

ქცია. მისი ფუნქციონირება რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონის მე-8 თავის შესაბამისად, რომელიც სრულყოფას საჭიროებს. მხედველობაში გვაქვს შემდეგი გარემოება: ამ კანონის 52-ე მუხლის 1 და მე-4 პუნქტები ერთმანეთს არ შეესაბამება. 1-ლ პუნქტში აღნიშნულია, რომ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო იქმნება ეროვნულ ბანკთან, ხოლო მე-4 პუნქტში წერია, რომ სააგენტო დამოუკიდებელი ორგანოა და არ ექვემდებარება სხვა ორგანოს. 2009 წელს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო ეროვნულ ბანკს შეუერთდა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოში ამოქმედდეს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, რომელიც დაიცავს როგორც მენაბრეების, ასევე ბანკების ინტერესებს, ამასთან, განახორციელებს პრობლემური ბანკების დროულ სანაციას და ბანკების ლიკვიდაციას.

რაც შეეხება ზედამხედველობის შინაარსობრივ მომენტებს, აუცილებელია, სააგენტომ განახორციელოს მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფის სამუშაოები, როგორც დაწესებული ნორმატივების და ლიმიტების გაუმჯობესების, ასევე დღეს მოქმედი ბანკების შემოწმების CAMEL-ის სარეიტინგო სისტემის დახვეწის მიმართულებით, ამასთანავე, ზედამხედველობის სააგენტომ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს საბანკო რისკების მართვის საკითხებს.

მხარდასაჭერია წინადადება ეროვნული და კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონების ახალი რედაქციით შედგენის შესახებ. უნდა გამარტივდეს და დებულებები ისე გასაგებად და ცალსახად ჩამოყალიბდეს, რომ არ იწვევდეს აზრთა სხვადასხვაობას. ასე, მაგალითად, 2001 წლის 23 ოქტომბერს, ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონში შეტანილ იქნა ცვლილებები. განახლებული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში ვკითხულობთ: „აუდიტორული სამსახურის უფროსს შეუძლია გადადგეს თანამდებობიდან, რაც არა უგვიანეს 3 თვით ადრე უნდა აცნობოს პრეზიდენტს. ამასთან იგი შეიძლება გადააყენონ ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით მე-11 მუხლში მოცემული ერთი ან

რამდენიმე მოთხოვნის საფუძველზე”.¹ ეს მაშინ, როცა აღნიშნული კანონის შესაბამისად, მე-11 მუხლი გაუქმებულია. ასევე, სრულყოფას საჭიროებს საბანკო მენეჯმენტის მეთოდური სახელმძღვანელო ინსტრუქციები. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, არასწორად არის გაგებული მენეჯმენტის მნიშვნელობა. აღნიშნული ტერმინი გაიგივებულია მენეჯერთან, კერძოდ კი – უფროს ხელმძღვანელ მუშაკებთან, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია. აზრობრივად გაუმართავია შემდეგი წინადადებები: „ასეთი შეზღუდვები მენეჯმენტს მისცემს საკრედიტო პორტფელის მართვის დამატებით საშუალებას”², „აიძულებს მენეჯმენტს”, „მენეჯმენტის მიერ სესხების გაცემის პროცედურები”³, „მენეჯმენტი ვალდებულია”, „მენეჯმენტი გაერკვეს”, „შემმოწმებელმა მენეჯმენტს უნდა მისცეს რეკომენდაცია”, „განხილულ უნდა იქნეს უფროს მენეჯმენტთან შეხვედრისას”, „მენეჯმენტმა უნდა წარმოადგინოს იმ ანგარიშთა სია”, „უფროსი მენეჯმენტი”, „ბანკის მენეჯმენტის დაპირებები”, „მენეჯმენტის ხელფასები”, „მენეჯმენტის ანგარიშგება” და ა. შ.

ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას, ვინაიდან კომერციული ბანკების ზედამხედველობის გაუმჯობესება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სააგენტოს მიერ განხორციელებულ პოლიტიკაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საბანკო კანონმდებლობის სრულყოფა, კომპლექსური მენეჯმენტის დანერგვა, ინოვაციური სფეროს გაფართოება, ზედამხედველობის ფუნქციის გაუმჯობესება, კომერციული ბანკების საიმედოობის სრულყოფა ანაბრების დაზღვევის მექანიზმის ფორმირებით, აქტივების მართვის მეთოდების დანერგვა, რაც საქართველოს კომერციულ ბანკებს შესაძლებლობას მისცემს გააუმჯობესონ აქტივების და პასივების სტრუქტურის ხარისხი და ამასთან, ბაზარზე მოძებნონ უფრო მომგებიანი სეგმენტები.

¹ საკანონმდებლო მაცნე, 1114, თბილისი, 2001, გვ. 32.

² კომერციული ბანკის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქართველოს ეროვნული ბანკი, თბ., 1999, გვ. 19.

³ იქვე, გვ. 31, 55, 71, 76.

ჩვენ მიერ განხილული პრობლემების წარმატებით გადაწყვეტის მიზნით, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტომ თავისი საქმიანობა ისე უნდა წარმართოს, რომ ხელი შეუწყოს ქვეყნის საბანკო სისტემის სრულყოფას. მეცნიერ-ეკონომისტთა გარკვეული ნაწილის აზრით, ჯერ მსოფლიოს არ შეუქმნია მოსაწონი საგადასახადო-საბიუჯეტო მოდელი. აღნიშნული მოსაზრება ვრცელდება საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემაზე. ჩვენი აზრით, საბანკო სფეროში, ამ მხრივ, დიდად უკეთესი მდგომარეობაა, ვინაიდან, უკვე კარგა ხანია, რაც მსოფლიოს ქვეყნების ათეულმა შეძლო ჩამოეყალიბებინა იდეალური საბანკო სისტემა, რაც განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, საშუალებას აძლევს გადმოიღონ მათი გამოცდილება და დანერგონ ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით. ამ მხრივ, პირველ რიგში, ჩვენს ყურადღებას იპყრობს აშშ-ის საბანკო სისტემა. როგორც თავად, ამერიკელები აღნიშნავენ, მათ აქვთ „უნივერსალური საბანკო სისტემა, უცუდეში საბანკო პოლიტიკით“. „უნივერსალურობაში“ ისინი გულისხმობენ იმ გარემოებას, რომ მათ ბანკებს შეუძლიათ 100-ზე მეტი ოპერაციის შესრულება, ხოლო „უცუდეს პოლიტიკაში“ – კონგრესის მხრიდან საკანონმდებლო შეზღუდვებს. ჩვენს ქვეყანაში, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამერიკის საბანკო სისტემის გამოცდილების გათვალისწინება, რა თქმა უნდა, ეროვნულ ტრადიციებთან შეხამებით.

საქართველოს საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობის სრულყოფის მიზნით, უპირველეს ყოვლისა, მხარდასაჭერია წინადადება ქართულ კომერციულ ბანკებში აშშ-ში უკვე აპრობირებული აქტივების და პასივების მართვის მოდელების დანერგვის შესახებ.

სახსრების საერთო ფონდის მეთოდი პირველად განხილული აქვთ ამერიკელ პროფესორებს ე. რიდს, რ. კოტერს, ე. ჰილს და რ. სმიტს, მონოგრაფიაში „კომერციული ბანკები“ (1983 წ.). აღნიშნულ მეთოდს ყურადღებას უთმობს ამერიკელი მეცნიერი პიტერ როუზი მონოგრაფიაში – „კომერციული ბანკის მენეჯმენტი“ (1997 წ.). ფონდების წყაროების გაერთიანე-

ბის მეთოდი, რომელსაც ამერიკელი კოლეგები გეთავაზობენ, ბანკის ყველა ფონდს წარმოადგენს, როგორც ერთიანი წყაროდან მიღებულს. ასეთი მიდგომის უპირატესობაა სახელმძღვანელო გადაწყვეტილებების მიღების სიმარტივე. აქტივების და პასივების რაციონალური მართვის მიზნით, რაც განაპირობებს მომგებიანობის, ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს კომერციულმა ბანკებმა თავიანთ საქმიანობაში დანერგონ მეორე მეთოდი, რომელიც ცნობილია სახსრების განაწილების, ანუ კონვერსიის მოდელის სახელწოდებით. აღნიშნული მოდელის გამოყენება ქართულ კომერციულ ბანკებს შესაძლებლობას მისცემს დაძლიონ სახსრების საერთო ფონდის შეზღუდულობა, რაც გამოიხატება იმით, რომ საერთო ფონდის პოზიციიდან სახსრების განთავსებისას, ბანკირები არ ითვალისწინებენ ლიკვიდობის მოთხოვნის განსხვავებას მოთხოვნამდე, შემნახველი, ვადიანი ანაბრების და საკუთარ კაპიტალთან დამოკიდებულებით, რაც იწვევს მოგების შემცირებას.

აქტივების განაწილების მოდელის მიხედვით, ბანკისათვის აუცილებელი ლიკვიდური სახსრების მოცულობა დამოკიდებულია ფონდების მოზიდვის წყაროებზე. საქართველოს კომერციულ ბანკებში წარმოდგენილი მოდელის გამოყენება საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ რეზერვების ნორმები და მათი მიმოქცევის სისწრაფე. მოდელი განსაზღვრავს „ლიკვიდობა-მომგებიანობის“ რამდენიმე ცენტრს, თვით ბანკის შიგნით. თითქოს, ბანკში არსებობს მოთხოვნამდე, შემნახველი, ვადიანი ანაბრების და ძირითადი კაპიტალის ბანკი. ბანკის ხელმძღვანელობამ უნდა განსაზღვროს მათი განთავსების წესი ყოველი ცენტრიდან. აღნიშნული მოდელის დადებითი მხარეა ის, რომ ასეთი პრინციპით მუშაობისას შესაძლებელია ლიკვიდობის შენარჩუნებისათვის საჭირო რესურსების შედარებით ზუსტად დადგენა. ედუარდ რიდის და პიტერ როუზის მიერ შემოთავაზებულ მეთოდებს შორის არსებობს მსგავსებაც და განსხვავებაც. მსგავსება გამოიხატება იმით, რომ ფულადი სახსრების აქტიურ ოპერაციებში განთავსება ხდება წყაროე-

ბის მიხედვით, მაგრამ მათ შორის არსებობს პრინციპული განსხვავება. ე. რიდთან ფულადი სახსრების წყაროების ვადების მიხედვით დაყოფა არ ხდება. პ. როუზი მათ მოკლევადიან და გრძელვადიან მუხლებად ყოფს. ე. რიდის მოდელში აქტივების ჯგუფები დალაგებულია ლიკვიდობის მიხედვით – იწყება მაღალი ლიკვიდობის აქტივებით – ნაღდი ფულით და მასთან გათანაბრებული სახსრებით და მთავრდება არალიკვიდური აქტივებით – შენობა-მოწყობილობით. ლიკვიდობის თანმიმდევრობა დაცულია პიტერ როუზთანაც, იმ განსხვავებით, რომ აქტივები, პასივების მსგავსად, დაყოფილია მოკლევადიან და გრძელვადიან მუხლებად. ამასთან, რესურსების მოკლევადიანი წყაროებიდან სახსრები მიემართება მოკლევადიან აქტივებში. გრძელვადიანი წყაროებიდან ხდება, შესაბამისად, გრძელვადიანი აქტივების დაფინანსება. ორივე მოდელი მისაღებია ქართული ბანკებისათვის. პიტერ როუზის მოდელი შრომატევადია. ამასთან მიგვაჩნია, რომ ე. რიდის მოდელი საშუალებას გვაძლევს მოკლევადიანი აქტივების მყარი ნაშთი მიმართული იქნეს გრძელვადიან აქტივებში, რაც ცხადია, დადებითად იმოქმედებს ბანკის მომგებიანობაზე.

ამასთან, ჩვენი ამერიკელი კოლეგების მიმართ გვაქვს მცირე შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი ჯერ იხილავენ აქტივების¹ და შემდგომ პასივების მართვას.²

მართალია, კომერციული ბანკის ბალანსის პირველი განყოფილება აქტივია, ხოლო მეორე – პასივი, მიუხედავად ამისა, პასიური ოპერაციები არის პირველადი, კერძოდ, ჯერ ხდება რესურსების ფორმირება და აქტიური ოპერაციები არის მეორადი – ხდება მობილიზებული სახსრების განთავსება აქტივების ჯგუფების მიხედვით. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმძღვანელოში, ჯერ, გადმოცემული იქნეს პასივების და, შემდგომ, აქტივების მართვა. აქვე, უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო დაწერილია პოპულარული, გასაგები ენით. საკითხები განხილულია მიკროეკონომიკური მეთოდის გამოყენებით და მიუხედავად იმისა, რომ გამოიცა 28 წლის წინათ, მას დღესაც არ დაუკარგავს პოპულარობა,

¹ Рид Э. и др. Коммерческие банки, М., Прогресс, 1991. с.116.

² იქვე, გვ. 155.

რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ მოსკოველი პროფესორის ოლეგ ლავოტოვიჩის მიერ 2007 წელს გამოშვებულ საბანკო საქმის სახელმძღვანელოს მეოთხე გამოცემაში ამერიკული მონოგრაფიის დიდი ნაწილის გამეორება მოხდა.

საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტომ უნდა გაითვალისწინოს ამერიკული გამოცდილება ინოვაციური მენეჯმენტის განხორციელებაშიც, ვინაიდან აღნიშნულ სფეროში ამერიკის საბანკო სისტემა ერთ-ერთი მოწინავეა, რაც გამოწვეულია იმით, რომ ჯერ კიდევ პირველი კოლონიების შექმნისას ამერიკის კონტინენტზე, ისეთივე თავისუფლად ხდებოდა ბანკების ჩამოყალიბება, როგორც სამეწარმეო ფირმების შექმნა. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ თითქმის ყველა ახალი საბანკო პროდუქტი ჯერ აშშ-ში იქმნება და შემდეგ ვრცელდება ევროპასა და აზიაში.

აღნიშნული შეეხება დეპოზიტების დაზღვევის კორპორაციასაც, რომელიც, პირველად მსოფლიოში, შეიქმნა ამერიკაში, 1934 წლის 1 იანვარს და დღესაც იგივე პრინციპებით ფუნქციონირებს, როგორც შექმნისას. კერძოდ, დაზღვეული დეპოზიტების მქონე ბანკი კორპორაციას უხდის ანაბრების საშუალოწლიური ნაშთის 1/12-ს ყოველთვიურად, რაც 100 ათას დოლარზე შეადგენს 85 დოლარს. სამაგიეროდ, ბანკის გაკოტრების შემთხვევაში კორპორაცია თითოეულ მეანაბრეს უბრუნებს ერთი ანგარიშიდან თანხას 100 დოლარის ფარგლებში სრულად, პროცენტებთან ერთად. ანალოგიურად, საქართველოში უნდა შეიქმნას დეპოზიტების დაზღვევის კორპორაცია, რომელიც დააზღვევს ბანკში განთავსებულ თანხას მინიმუმ 10 ათასი ლარის ოდენობით მაინც, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის დანაზოგების ბანკებში განთავსებას, ეს კი ქვეყნის ეკონომიკის განხორციელების საფუძველი იქნება.

ასევე, აშშ არის ისეთ საბანკო პროდუქტების სამშობლო, როგორიცაა: „ვესტერნ იუნიონის“ მომსახურება, რომელსაც 100-წლოვანი ისტორია აქვს, ასეთივე, ისტორია აქვს ლიზინგს და ფაქტორინგს. პირველი ქალაქის ფული, ჩინეთის შემდეგ, სწორედ აშშ-ში გამოუშვეს 1690 წელს, მასაჩუსეტისის შტატის

ქალაქ ბოსტონში. ამერიკაში შეიქმნა პირველი საკრედიტო ბარათებიც, აგრეთვე, საანგარიშსწორებო პალატა, რომლის ფუნქციონირება მიმოქცევისათვის აუცილებელი ნაღდი ფულის 5%-მდე შემცირების საშუალებას იძლევა, რაც ეროვნული ვალუტის სიმტკიცეზე მომქმედი ერთ-ერთი ფაქტორია. ამერიკული წარმომავლობისაა შემდეგი შეღავათიანი პროდუქტები: საბლანკო და მოთხოვნამდე კრედიტი, ნაუ-ანგარიში, დეპოზიტური სერთიფიკატი, ფაქტორინგი, ლიზინგი და ა.შ., რომელთა დანერგვა ქართულ კომერციულ ბანკებს საშუალებას მისცემს შეინარჩუნონ ძველი და მოიზიდონ ახალი კლიენტები.

დაბოლოს, ჩვენს შეხედულებას ადასტურებს ის გარემოება, რომ იაპონიის საბანკო სისტემის გაძლიერება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში განაპირობა იმან, რომ იაპონელებმა შეძლეს თავიანთ ქვეყანაში დაენერგათ ამერიკელი კოლეგების წარმატებები.

Regarding Increasing the Competitiveness of Bank System of Georgia

Ts. Okruashvili

Civilized banking system developed in Georgia in the last decade of the 20th century, though, despite positive tendencies it should be noted that there is still a lot to be done for improving bank activities. First of all, legislation regarding bank activities should be improved. Secondly, complex management system should be adopted. Third, broadening of innovative activities. Fourth, improvement of the National Bank's supervision function. Fifth, development of deposit insurance mechanism and improvement of the confidence in banking sector in this way. Sixth, development of new management system of assets. Seventh, development of marketing service.

For Georgian banking system it's very important to share foreign experience and broaden the range of customer service. For example, there are about 300 types of bank services known in the world practice. As for Georgia, there are only 30 of them. First of all, it's advisable to establish deposit insurance corporation, to introduce certificate of deposit, new account, factoring, leasing, etc.

Республика Казахстан сегодня

В ожидании дефолта Греции и возможного развала Еврозоны инвесторы все чаще обращают взгляд к экономикам развивающихся стран. Согласно мнению ряда экспертов, ставку следует делать на отдельные государств третьего мира, рассматриваемые сегодня как «сырьевые», но активно диверсифицирующие свои экономики. Особое место среди таких стран на Евразийском континенте занимает Казахстан.

Республика Казахстан за 20 лет своего суверенитета сумела весьма громко заявить о себе. В первую очередь речь идет, конечно, о ее политических инициативах, таких как отказ от ядерного оружия, неизменный курс на интеграционные процессы, поднятие роли развивающихся стран, к примеру предложение о преобразовании G-20 в G-Global. Однако особое место Казахстан занимает в мировой экономической системе. Эта республика обладает значительными запасами углеводородов (8-е место по мировым разведанным запасам нефти; общие прогнозные ресурсы углеводородов оцениваются в пределах 12-17 миллиардов тонн) и твердого топлива (по запасам угля входит в первую десятку стран мира), примерно пятой частью мировых запасов урана, благодаря чему занимает 2-е место в мире и 1 место по его добыче. Казахстан занимает первое место в мире по разведанным запасам цинка, вольфрама и боррита, второе – по запасам серебра, свинца, урана и хромитов, третье – по меди и флюоритам, четвертое – по молибдену и шестое – по золоту.

В последние годы в стране уделяется большое внимание диверсификации экономики. Принята программа индустриально-инновационного развития, массово открываются новые производства, в том числе и высокотехнологичные.

Несмотря на существенное влияние мирового финансо-

вого кризиса 2007-2009 годов, вызвавшего спад экономической активности в Казахстане, стране довольно быстро удалось восстановить темп роста своей экономики. В 2011 году он составил 7,5 %. В 2012 году, согласно прогнозу, рост ВВП составит не менее 7%, (только за 9 месяцев текущего года рост составил 5,6%). Правительство Казахстана оценивает рост экономики в 2013-2017 годах на уровне 6-7,6%. Эти прогнозы совпадают с международной оценкой экономического потенциала страны.

На руку играет и главная составляющая казахстанского экономического успеха - макроэкономическая стабильность.

Согласно индексу конкурентоспособности мировых экономик Всемирного экономического форума (World Economic Forum) Казахстан сегодня занимает 51-ю строчку. Причем по показателю «макроэкономическая стабильность» страна за год поднялась на 16 место, на 55-м по технологической готовности. Отметим, что ближайший сосед и главный экономический партнер Казахстана – Россия заняла в рейтинге лишь 67-е место.

К слову, по экономическим показателям, главное – по прогнозам экономического роста Казахстан значительно опережает своего соседа. Так, по итогам текущего года Москва ожидает роста российской экономики на 3,5%, а в 2013 году – 3,7%. (при ухудшении динамики мировой экономики Россия ожидает замедление роста своей экономики в 2013 году до 0,5%).

Сегодня инвесторы рассматривают Казахстан как один из самых перспективных рынков. Природные богатства Казахстана играют важную роль в обеспечении экономического развития, однако страна движется в направлении диверсификации экономики, снижая тем самым свою зависимость от добывающих отраслей. Согласно прогнозам, показатель ВВП на душу населения к 2016 году достигнет 15 000 долларов США по сравнению с текущим значением (11 300 долларов США). В результате этого Казахстан может войти в группу стран с высоким уровнем дохода на душу населения по классификации Всемирного банка. Экономика Казахстана характеризуется стабильным показателем притока прямых иностранных инвестиций в течение

последнего десятилетия.

Значительные результаты в данной области можно объяснить рядом факторов, включая наличие природных ресурсов, проведение правительством политики привлечения иностранных инвесторов и раскрытия экономического потенциала страны, определение ряда приоритетных для развития экономики секторов, среди которых – сельское хозяйство, транспорт и логистика. Страна осуществляет ряд крупномасштабных реформ, направленных на повышение производительности и конкурентоспособности, а также на обеспечение сбалансированного социально-экономического развития.

Создание благоприятного инвестиционного климата является одной из приоритетных задач государственной политики властей. Сегодня Казахстан занимает лидирующее положение по объему привлекаемых иностранных инвестиций на душу населения среди стран СНГ. Объем прямых иностранных инвестиций на душу населения в Казахстане составляет около 1300 долларов США. Всего за период независимости в казахстанскую экономику привлечено более 122 млрд. долларов США прямых иностранных инвестиций.

Важную роль в привлечении иностранных инвестиций играет политическая стабильность в стране. После недавней смены правительства в Казахстане Standard & Poor's (S&P) оставило без изменений рейтинги Казахстана и прогноз по ним (BBB+/Стабильный/A-2) с формулировкой: «На наш взгляд, перестановки в кабинете министров и новые назначения... не окажут существенного влияния на эффективность, стабильность и предсказуемость политических решений правительства Казахстана и политических институтов страны».

Среди факторов, влияющих на инвестиционную привлекательность Казахстана – это комфортный бизнес-климат, поддерживаемый благоприятным инвестиционным законодательством, привлекательными мерами поддержки инвестиций, а также экономической и политической стабильностью. Согласно рейтингу «Легкость ведения бизнеса», составленного Всемирным банком

в 2012 году Казахстан занял 47 место, против 58 в 2011 году.

Согласно исследованию, проведенному компанией «Эрнс энд Янг» в 2012 году, порядка 40% опрошенных инвесторов считают налоговую нагрузку в Казахстане конкурентоспособной с точки зрения ведения бизнеса. Это объясняется введением несколько лет назад благоприятных ставок по некоторым видам налогов (например, ставка корпоративного подоходного налога составляет 20%, индивидуального подоходного налога — 10%). В настоящее время правительством страны предпринимаются усилия по устранению административных барьеров в сфере торговли, таможенного регулирования, транспорта и логистики.

В целом, устойчивый экономический рост в сочетании с комплексным подходом к выработке политики на региональном и государственном уровнях дают стране конкурентное преимущество.

О заинтересованности инвесторов в Казахстане говорит тот факт, что участниками VII Евразийского форума KAZENERGY (прошел в Астане в начале октября) стали известные политики, руководители крупнейших энергетических компаний, международные эксперты из более чем 50 стран мира. В его рамках состоялось заседание Национального комитета Всемирного Нефтяного Совета. Кроме того, было принято решение о проведении в столице Казахстана - Астане семинаров Всемирного нефтяного совета. Президент ВНС Ренато Бертани отметил, что Казахстан имеет все шансы на получение права проведения Конгресса Всемирного Нефтяного Совета в 2017 году.

В своем выступлении на Евразийском форуме KAZENERGY министр нефти и газа Казахстана Сауат Мынбаев отметил, что в 2012 году через казахстанский морской порт Актау будет отгружено 8 млн. тонн нефти, далее указанные объемы частично пойдут через Махачкалу на Черное море, частично через Баку до Батуми. Данное обстоятельство предполагает, что некоторый объем казахстанской нефти в будущем может поступать и в нефтепровод Баку-Тбилиси-Джейхан.

Согласно тому же исследованию компании «Эрнс энд

Янг», 85% опрошенных инвесторов из числа работающих в Казахстане, считают страну наиболее привлекательным объектом для инвестиций среди государств-членов СНГ. Участники исследования при этом отмечают наличие в Казахстане значительной ресурсной и сельскохозяйственной базы, а также выгодное географическое положение страны между рынками Европы, России, Китая и Ближнего Востока. Создание Таможенного союза и Единого экономического пространства, на территории которого проживает около 170 млн человек, также открывает дополнительные возможности для развития бизнеса.

Действующие инвесторы в большинстве случаев удовлетворены своими инвестиционными решениями. Отвечая на вопрос о том, пересмотрели ли бы они свои решения об инвестициях в Казахстан в случае предоставления такой возможности, 92% ответили отрицательно.

Вместе с тем интересны некоторые материалы отражающие экономические отношения между Грузией и Казахстаном.

По данным Агентства статистики Грузии товарооборот между Грузией и Республикой Казахстан за 2011 год составил 227 млн. долларов США, из них: экспорт – 156,9 млн долларов, импорт – 70,6 млн долларов. В 2010 году этот показатель составлял 89,769 млн долларов, из них: импорт - 21,206 млн долларов, экспорт - 68,562 млн долларов. В 2009 году товарооборот был равен 27,9 долл, из них: экспорт – 15,6 млн долларов, импорт – 12,3 млн. долларов.

По данным Министерства экономического развития и торговли РК товарооборот между Республикой Казахстан и Грузией за 2011 год составил 101,8 млн долларов: экспорт – 74,6 млн долларов, импорт – 27,2 млн долларов.

Основными статьями казахстанского экспорта в Грузию являются: уголь, белая жесь, прокат черных и цветных металлов, полипропилен, шины для легковых и грузовых автомобилей, автомобильные аккумуляторы, санитарно-техническое оборудование. Из Грузии в Казахстан импортировались продукция для металлургической, машиностроительной, химической и пищевой отраслей промышленности, в том числе стальные трубы, ферросплавы, элек-

тросварочное оборудование, силовые трансформаторы, чай, вино и табак.

В настоящее время объем инвестиций из РК в Грузию несколько снизился. Так, в 2011 году приток прямых инвестиций из РК в экономику Грузии составил 14,8 млн долларов ; а в 2010 году - 17 млн долларов.

В то же время, следует отметить, что ранее, в рейтингах крупнейших иностранных инвесторов в экономику Грузии РК являлась одним из ведущих инвестиционных партнеров на грузинском рынке (2006 г. – первое место, 2007 г. – третье место, в 2008 г. – седьмое место). По данным за период с 2006 по 2008 гг. инвестиции из Республики Казахстан в Грузию составили около 300 млн долларов. Однако, в период с 2009 по 2011 годы Казахстан уже не входил в список крупнейших иностранных инвесторов Грузии.

Некоторый импульс развитию торгово-экономическому сотрудничеству между стран придал проведенный в октябре 2011 года казахстанско-грузинский бизнесфорум в г.Тбилиси. В состав делегации под эгидой торгово-промышленной палаты РК (ТПП) и корпорации «KAZNEX INVEST» вошли представители казахстанских бизнескругов (около 20 национальных компаний) из таких сфер экономики, как машиностроительная, строительная, пищевая и химическая.

(Материалы предоставило посольство Казахстана в Грузии).

**ფინანსების სახელმძღვანელო თანამედროვე
მოთხოვნათა ღონეზე***

საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფინანსებს, როგორც ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების უმთავრეს ინსტრუმენტს. ფინანსების როლის კოლოსალურმა გაძლიერებამ XX საუკუნის 70-ანი წლებიდან, თვისებრივი ცვლილებები გამოიწვია ფინანსურ ურთიერთობებში. არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე ეკონომიკა არის ფინანსური ეკონომიკა, რომელიც ეფექტიანად იმართება ფინანსური ურთიერთობების, ფინანსური მექანიზმებისა და ფინანსური ბაზრების მეშვეობით. სწორედ ამის გამო, თანამედროვე ეტაპზე ფინანსების სფეროში დიდი კონკურენციაა. მკვეთრად იზრდება მოთხოვნები ფინანსების პროფესიული კადრებისადმი. ამ ასპექტით დიდ მნიშვნელობას იძენს ახალ მოთხოვნათა შესაბამისი ფინანსების სახელმძღვანელოს შექმნა, რომელიც განაპირობებს სტუდენტის პროფესიულ აღზრდას და ფინანსების სისტემაში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ახალგაზრდა მზარდ მეცნიერთა მომზადებას ფინანსური პრობლემების აქტუალური საკითხების მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოდ საინტერესოა სარეცენზიო სახელმძღვანელო, რომელშიც სრულად და კომპლექსურადაა განხილული ფინანსების ძირითადი პრობლემები, თანმიმდევრულად და სხარტადაა განსაზღვრული ფინანსების როგორც მეცნიერების, საგანი და ამოცანები, ფინანსების როგორც თეორიული, ასევე მნიშვნელოვანი პრაქტიკული ხასიათის საკითხები.

ნაშრომი შედგება თერთმეტი თავისგან. მასში განხილულია ისეთი აქტუალური და საპროგრამო თემები, როგორიცაა: ფინანსების არსი და მნიშვნელობა, ფინანსური სისტემის, ფინანსური ანგარიშების, ფულის დროითი ღირებულების, საინვესტიციო პროექტების, რისკის მართვის, ჰეჯირების, დაზღვევის, დივერსიფიკაციის, კორპორაციის კაპიტალის, ფინანსების და კორპორატიული სტრატეგიის, სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის, სახელმწიფოს ხარჯების და საგადასახადო პოლიტიკის აქტუალური საკითხები.

* აკაკი გაბელია. ფინანსები. შპს „კვარი“, თბ. 2011, 400 გვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სახელმძღვანელოს ორიგინალური სტრუქტურა, სახელდობრ, საკითხის დასმის, მისი გადაწყვეტის, მნიშვნელოვანი ჩანართების და საკონტროლო კითხვების მეშვეობით. მთლიანობაში, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი თემები ამომწურავად აშუქებს „ფინანსების“ პროგრამულ მასალას. საბოლოო ანგარიშით, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ავტორმა შეძლო მოეცა ფინანსისტი სპეციალისტებისათვის საჭირო და აუცილებელი ალგორითმი, ასევე, ეკონომიკური და ფინანსური გაანგარიშებების ტექნოლოგია, რომელიც ფართოდ და ეფექტიანად გამოიყენება პროფესიულ საქმიანობაში. სასწავლო მასალის უკეთ ათვისებისათვის, ფინანსური მანვენებლების და ფინანსური ანალიზის მეთოდებს თან ახლავს კონკრეტული რიცხვითი მაგალითები.

სარეცენზიო სახელმძღვანელოს მიმართ გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა: 1. „სესხები“ და „კრედიტები“ ნაშრომში წარმოდგენილია იდენტურ ცნებებად; 2. ნაშრომში რიგი მნიშვნელოვანი საკითხი ლექსიკონის დონეზეა წარმოდგენილი. მაგ., ცენტრალური ბანკები, რეგიონული და მსოფლიო საფინანსო ორგანიზაციები და სხვა (გვ. 94, 96); 3. წიგნში უხვადაა მოყვანილი უცხოური მაგალითები. უკეთესი იქნებოდა აღნიშნული სახელმძღვანელო საქართველოს მაგალითზე დაწერილიყო; 4. ნაშრომში არ არის ან ძალზე მკრთალადაა განხილული ფინანსების ფუნქციები, ფინანსური პოლიტიკა, ფინანსური მართვა, სახელმწიფო ბიუჯეტი, მისი შემოსავლები, ხარჯები, ფინანსური კონტროლი და სხვა; 5. კარგი იქნებოდა ნაშრომს თან დართოდა ტერმინოლოგიური ლექსიკონი.

ეს შენიშვნები არ ამცირებს ნაშრომის ძირითად ღირსებას. მთლიანობაში, სარეცენზიო სახელმძღვანელო ქართული ფინანსური ლიტერატურის სერიოზული შენაძენია. იგი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, პრაქტიკოს ფინანსისტებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს, მენეჯერებს და ფინანსების პრობლემებით დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველს.

ბულთაჲ ლაბარტყაჲ

**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის
მოწვეული ასოცირებული პროფესორი**

საერთაშორისო მენეჯმენტის კარბი სახელმძღვანელო*

მკითხველს უნდა ვაუწყო, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში (ეკონომიკის მიმართულების უმაღლეს სასწავლებლებში) „საერთაშორისო მენეჯმენტი“ ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო დისციპლინაა. მიუხედავად ამისა, იგი უკანასკნელ პერიოდამდე უცხოელი ავტორების შექმნილი სახელმძღვანელოებით ისწავლება, რომლებშიც პოსტსოციალისტური პერიოდის თავისებურებები (ტენდენციები) გასაგები მიზეზების გამო არც განიხილება.

ამ ხარვეზს გარკვეულწილად ავსებს წინამდებარე სახელმძღვანელო, რომლის ავტორები არიან ქვეყნის ეკონომიკურ საზოგადოებაში აღიარებული მეცნიერები.

წარმოდგენილი ნაშრომი სრულად პასუხობს თანამედროვე პირობებში გლობალიზაციის გადრმაგების ფონზე ჩამოყალიბებული, თვისებრივად გამორჩეული ახალი რეალობების მოთხოვნებს.

წიგნის სტრუქტურა ლოგიკური თანმიმდევრობითაა განსაზღვრული და შეესაბამება სახელმძღვანელოს მიმართ ამჟამად აღიარებულ მოთხოვნებს. ნაშრომი შედგება 15 თავის, 50 ქვეთავის, გლოსარიუმისაგან და მოიცავს 510 გვერდს, დაწერილია გამართული ლიტერატურული ენით.

იმისათვის, რომ მკითხველს შეექმნას ობიექტური აზრი სარეცენზიო სახელმძღვანელოს მიმართ, მიზანშეწონილად ვთვლი ყურადღება მივაქციო მის რამდენიმე ღირსებას (ნიშანთვისებას).

პირველი. სახელმძღვანელო პრობლემების განხილვა-ანალიზის მიზნით კომპლექსური მიდგომის შერეული მეთოდების (ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, პოზიტიური,

* გიორგი შუბლაძე, იაკობ მესხია, მანანა ნანიტაშვილი. საერთაშორისო მენეჯმენტი, სახელმძღვანელო, თბ., 2012, 510 გვ.

ნორმატიული და სხვა.) გამოყენების კარგი მაგალითია. ამდენად, სარეცენზიო ნაშრომი პასუხობს საერთოდ სახელმძღვანელოს მიმართ თანაედროვე პირობებში განსაზღვრულ (აღიარებულ) სტანდარტებს.

მეორე, ისტორიული ეტაპების თავისებურებათა გათვალისწინებით მეთოდურად სწორადაა გაანალიზებული საერთაშორისო მენეჯმენტის გენეზისი, რაც საშუალებას იძლევა ობიექტურად გააზრებულიქნეს მისი ევოლუციის მიზეზები, ფაქტორები, ტენდენციები. ეს კი რეალური საფუძველია დროსთან ადეკვატურობისა და განვითარებაში მემკვიდრეობის (გენეტიკის) პრონციპების დაცვის მნიშვნელობის ობიექტურად შეფასებისათვის.

ამრიგად, სახელმძღვანელოში არგუმენტირებულადაა ახსნილი გლობალური გამოწვევების ფონზე დროის მოთხოვნებთან საერთაშორისო მენეჯმენტის ადაპტირების რთული პროცესი და დადასტურებულია მისი ამჟამინდელი მდგომარეობის ობიექტური ხასიათი და განსაკუთრებული სტატუსი.

მესამე, საერთაშორისო მენეჯმენტის სივრცეში კანონზომიერადაა წარმოდგენილი მნიშვნელოვანი სეგმენტი-მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის პროცესი. ეს სწორი მეთოდოლოგიური ხედვაა, თანაც ორიგინალურად წარმოდგენილი და მოიცავს ეროვნულ ეკონომიკასთან გლობალური პროცესების კავშირების ე.წ. უხილავ ასპექტებს.

მეოთხე, სახელმძღვანელო ეფუძნება რა ეკონომიკის ლიბერალიზაციის თანამედროვე პრინციპებსა და ფუნდამენტურ მოთხოვნებს, ობიექტურად ხსნის ეკონომიკური დაგეგმვის არსს, როლს და მნიშვნელობას და არგუმენტირებულად ასაბუთებს მისი გამოყენების აუცილებლობას. დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის ამოსავალი საწყისია სტრუქტურის მისიის განსაზღვრა, მიზნებისა და ამოცანების დასახვა, პროგრამების (პროგნოზების) შედგენა და მათი რეალიზაციის ფაქტორების თანმიმდევრულად გამოყენება.

ამდენად, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა და მართვა აღიარებულია ადამიანის მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებათა განუხრელად დაკმაყოფილებისათვის გლობალური პროცესების მიზნობრივად წარმართვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად.

მეხუთე, სახელმძღვანელოში ლოგიკურადაა დასმული და ორიგინალურად განხილული საერთაშორისო მენეჯმენტში ფინანსების ფორმირებისა და რეგულირების პრობლემები, რაც გაანალიზებულია სისტემური მიდგომით და სრულად მოიცავს პროცესის ყველა მხარეს (კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური, ორგანიზაციული, ტექნოლოგიური ასპექტები და სხვ.).

ამრიგად, სახელმძღვანელოში ნათლადაა ნაჩვენები ფინანსური ნაკადების წარმოქმნის, რეგულირების, განაწილების პრინციპები და მექანიზმები. პრობლემების განხილვის ლოგიკა მკითხველს არწმუნებს იმაშიც, თუ რაოდენ დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს სუვერენული სახელმწიფო საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ სტრუქტურებთან ურთიერთობებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა განისაზღვრება ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტრატეგია.

სახელმძღვანელო არა მხოლოდ დიდ ინფორმაციას იძლევა სართაშორისო მენეჯმენტთან დაკავშირებულ პრობლემებზე, არამედ მკითხველს სთავაზობს პრობლემების გადაწყვეტის პროცესში ალტერნატიული მიდგომების გამოყენებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების ანალიზის ლოგიკურად დასაბუთებულ მეთოდოლოგიურ საფუძველს. სახელმძღვანელო კარგ სამსახურს გაუწევს არა მარტო სტუდენტ-ახალგაზრდობას, არამედ საერთაშორისო მენეჯმენტის პრობლემებით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

ამრიგად, სახელმძღვანელო სრულად პასუხობს მოცემული სასწავლო დისციპლინის მიმართ თანამედროვე პირობებში აღიარებულ სტანდარტებს, გამოხატავს ქართული ეკონომიკური აზროვნების მაღალ დონეს და საიმედო თეორიული წყაროა საერთაშორისო მენეჯმენტის პრობლემების შესწავლით დაინტერესებულ სპეციალისტებისათვის.

ნოღარ ტითანაჲჲ

სარეცენზიო სახელმძღვანელოს მიმართ გვაქვს შენიშვნებიც:1) ჯეროვნად არაა გაშუქებული მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის პრობლემის არსი(გვ. გვ. 142-151) და ამ პოზიციიდან არაა განხილული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საქართველოში(გვ.გვ. 158-161); 2) მე-13 თავში, რომელიც ეძღვნება ადამიანისეული რესურსების მართვას და ეთიკას საერთაშორისო ბიზნესში, ეთიკის საკითხები განხილულია არასრულყოფილად და შესაბამის(13.4) პარაგრაფს დათმობილი აქვს მხოლოდ გვერდნახევარი.

დაბოლოს, სახელმძღვანელო გვარწმუნებს იმაში, რომ ეროვნული ეკონომიკის წარმატებული განვითარება შეუძლებელია ეროვნული ცნობიერების (აზროვნების) მაღალი დონის გარეშე, რაც მრავალფეროვნებით გამორჩეული ფენომენია და მოიცავს არა მხოლოდ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების, არამედ ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებისა და ტენდენციების, მათი ტრანსფორმაციული პროცესების ობიექტური ანალიზისა და შეფასების უნარს, ეროვნული თვითმყოფადობისა და იდენტურობის შენარჩუნება-განმტკიცების რწმენას, პრინციპს: „არც ეროვნულის ნაჭუჭში ჩაკეტვა და არც ეროვნული ნიადაგისაგან მოწყვეტა“, ე.ი. აუცილებელია ეროვნული თავისებურებებისა და მსოფლიო პროგრესული გამოცდილების სინთეზი. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ წინამდებარე სახელმძღვანელოს ავტორებმა ეს მოსაზრება ყოველმხრივ განამტკიცეს.

ნოღარ ტითანაჲჲ

**ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.**

**ქურნალ ეკონომიკა და ბიზნესის 2011 წლის
№1-5-ს შინაარსი**

სტატიების ავტორები	რუბრიკების და სტატიების დასახელება	№ გვ.
	საშობაო ეპისტოლე	№1
	ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი საშობაო ეპისტოლე -----	11
	ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა	
ელგუჯა მექვაბიშვილი	დამწვევი განვითარების სტრატეგია და საქართველოს ეკონომიკის მომავალი -----	25
პაატა კოლუაშვილი, ბადრი რამიშვილი	მიწა და სახელმწიფო -----	35
ნაირა დვედაშვილი	ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების საზღვარგარეთული გამოცდილება -----	47
ჯანდრი ზარანდია	რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის საკითხისათვის -----	57
თამარ კბილაძე	საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია საგადასახადო სისტემის სრულყოფა-პარმონიზაციას მოითხოვს -----	67
	მიკრო-მაკროეკონომიკა	
მურმან ცარციძე, ნათელა ლაცაბიძე	შრომის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში -----	77
ნაზირა კაკულია	ეკონომიკური რყევების თეორიები ეკონომიკური კრიზისის ასპექტით -----	97
დავით ნიჟარაძე	მრავალეროვნული კომპანიების კონკურენტუნარიანობა გლობალური მასშტაბით -----	107
Жанна Толордава	Новые направления экономической науки -----	117
ვახტანგ ჭარაია	ევრო: რეალობა და პერსპექტივები -----	125

მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი		
ნუგზარ პაიჭაძე	ადამიანური რესურსების წართვის სპეციალისტთა როლი და მათი მომზადების აუცილებლობა -----	135
ელადიმერ დღონტი, სოფიკო მეგრელიშვილი	სამუშაო ძალის ხშირი გადინების მიზეზები სამომხმარებლო და სასტუმრო ინდუსტრიაში -----	151
იოსებ მასურაშვილი	ურბანული მენეჯმენტის აქტუალური საკითხები -----	161
ლაშა ლაბაძე, მია გრიგოლია, მაკა ჭითანავა	საქართველოში 7-8 მლნ. ტურისტის 2015 წელს – მითი თუ რეალობა -----	169
კონსტანტინე მეგრელიშვილი	მენეჯმენტში კომუნიკაციის მნიშვნელობის ფიზიკური გამოსახვის საკითხისათვის -----	175
ეკა დევიძე	იმერეთის დაცული ტერიტორიების როლი და მნიშვნელობა -----	181
	სამეცნიერო კონფერენციის ორი საინტერესო დღე	188
სახელოვან ადამიანთა გალერეა		
	სწავლულ ეკონომისტთა დიდი დანაკლისი გიორგი პაპავა	192
	ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი როინ ქუტიძე 70 წლისაა	196
ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა		
		№2
იაშა (იაკობ) მესხია	ტრანსნაციონალური კორუფცია – საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების მუქარა -----	11
მამია ჭუმბურიძე	მაკროეკონომიკის საგნის, კვლევის მეთოდოლოგიისა და მიზნების შესახებ -----	50
სიმონ გელაშვილი	განათლებიდან მიღებული სარგებელი და მისი სტატისტიკური გაზომვის მეთოდები -----	65
ჯემალ ხარიტონაშვილი	დევიდ რიკარდო (1772-1823) – ეკონომიკური მეცნიერების კორიფე (დაბადებიდან 240 წელი) -----	81

მიკრო-მაკროეკონომიკა		
ეთერ სარაიშვილი	ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაცია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში -----	95
მანანა ნანიტაშვილი	სამომხმარებლო ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები -----	109
ლოიდ ქარჩავა, ეთერ სარჯველაძე	ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები ბიზნესში -----	123
მენეჯმენტი. მარკეტინგი. თურიზმი		
იოსებ მასურაშვილი	ტექნოლოგიების მენეჯმენტის აქტუალური საკითხები -----	133
სერგო ცაგარეიშვილი, ეკა დევიძე	ტურიზმი იმერეთის რეგიონში: რეალობა და პერსპექტივები -----	143
მარიამ ნიქაბაძე	კონკურენტული ბაზარი საქართველოს მობილური კომუნიკაციების სექტორში -----	149
ფინანსები და საბანკო საქმე		
ხათუნა ბარბაქაძე	ლიკვიდობისა და რენტაბელობის მანევრებლების დაბალანსების შესახებ ---	155
ნატო კაკაშვილი	სადაზღვევო კომპანიების ფულადინაკადების მართვის პრინციპების რეალიზაცია მისი დაგეგმვისა და პროგნოზირების პროცესში -----	165
კონსტანტინე სულამანიძე	ახალი საბანკო პროდუქტების დანერგვის პროცესში რისკების მართვის კონტროლისა და მმართველობითი გადაწყვეტილების შეფასების პრინციპები -----	179
ახალი წიგნები: როგორია პროფესსიონალ რეცენზენტთა აზრი?		
ელგუჯა მეჭკაბიშვილი	მაკროეკონომიკის ბესტსელერი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე -----	192
ნოდარ ჭითანავა, ამირან ჯობუტი, მურმან ცარციძე	საინტერესო მონოგრაფიული გამოკვლევა	194
სააღდგომო ეპისტოლე		
	ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი	№3
	სააღდგომო ეპისტოლე -----	11

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა		
რევაზ გველესიანი, გიორგი გაფრინდაშვილი	რეალურ და პოტენციურ შესაძლებლობებს შორის განსხვავების შეფასება ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად -----	19
ანდრეას ნასტანსკი, სიმონ გელაშვილი	სახელმწიფო ვალისა და ინფლაციის ურთიერთდამოკიდებულებების თეორიული და ემპირიული კვლევა (გერმანულ ენაზე) -----	31
რევაზ გოგოხია	ეკონომიკა ეკონომიკური კანონების გარეშე?! -----	41
დემნა კვარაცხელია	სოლოუს ნაშთის მოდიფიკაცია სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის გათვალისწინებით -----	53
თემურ მიმინოშვილი	სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობა ეკონომიკური კრიზისისა და პოსტკრიზისულ პერიოდებში -----	77
ნინო აბესაძე	ინფლაციის გაანგარიშების მეთოდოლოგიის სრულყოფისათვის -----	93
მიკრო-მაკროეკონომიკა		
შოთა შაბურიშვილი რატი აბულაძე	სოციალური მეწარმეობის ფენომენი და ინკლუზიური ბიზნესის მოდელები -----	101
ლელია ქადაგიშვილი	კიბერპოლიტიკის საფრთხეები და გამოწვევები -----	113
მარინე ტაბატაძე თამარ ლაზარიაშვილი	ეკონომიკური გლობალიზაციის ზოგიერთი თავისებურება -----	123
	ქართული სოფლის აღორძინებისათვის --- ეკონომიკური რისკები და სადაზღვეო პოლიტიკის პრიორიტეტები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში -----	129
		139
მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი		
ნუგზარ პაიჭაძე	როგორი უნდა იყოს თანამედროვე ხელმძღვანელი -----	145
ნინო ფარესაშვილი, მაია ნიკვაშვილი მანანა ლობჯანიძე	კონფლიქტის რეგულირების ჰუმანური მეთოდები -----	165
ეთერ სარჯველაძე	სასწავლო მიგრაციის ტენდენციები და კანონზომიერებები გლობალიზაციის პირობებში -----	175
დემურ სიჭინავა	საქონლის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა საქართველოს ბაზარზე -----	185
	ინფორმაციის არსის საკითხისათვის -----	192

	ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა	№4
მერაბ ხმალაძე	მსოფლიოს დემოგრაფიული დაბერება: პერსპექტივები, შედეგები -----	11
შალვა გოგიაშვილი, სლავა ფეტულავა	ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ნეგატიური ასპექტები -----	27
ნინო პაპაჩაშვილი	საგარეო სავაჭრო პოლიტიკის თავისებურებანი თანამედროვე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის პირობებში -----	43
არჩილ იაკობაშვილი	საბიუჯეტო ინფლაციის ოპტიმიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორები (ლაფერ-კაგანის მოდელი) -----	57
მალხაზ ჩიქობავა	თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საქმიანი ციკლის თეორიის თვალსაზრისით -----	75
გიორგი გაფრინდაშვილი	სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკაში გატარებული რეფორმები საქართველოში და მისი შედეგები -----	91
	მიკრო-მაკროეკონომიკა	
დავით ნიყარაძე	საერთაშორისო სტრატეგიული დაგეგმვა მრავალეროვნულ კომპანიებში -----	97
Г.М. Яблучанска	Реакция фармацевтического рынка Грузии на облегчение ввоза лекарственных средств -----	111
ნონა გელიტაშვილი	ჩილეს საპენსიო რეფორმა: არსი და მნიშვნელობა საქართველოსათვის -----	123
ასმათ გულორდავა	საქართველოს აგროსასურსათო სექტორის განვითარების ზოგიერთი საკითხი -----	133
	მენეჯმენტი, მარკეტინგი, ტურიზმი	
ენვერ ლაგვილავა	ელექტრონული სწავლების განვითარების ძირითადი მიმართულებები -----	139
რადი აბულაძე	ელექტრონული მართვის აქტუალური საკითხები -----	155
გულადი ნაკაშიძე	კიბერუსაფრთხოება – XXI საუკუნის მწვავე გამოწვევა -----	165
	საბუნძალტრო აღრიცხვა და ანალიზი	
ნადეჟდა კვატაშიძე	ფინანსური ინსტრუმენტების ასახვა ფინანსურ ანგარიშებში -----	180
ნანა სრესელი	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის თავისებურებები -----	187
	ქართველ ავტორთა საერთაშორისო აღიარება	
	რედაქციის საგან -----	197

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა		№5
ნოდარ ხადური, ნახიზა კაკულია	ქართული სამეცნიერო ეკონომიკური სკოლის საერთაშორისო აღიარება -----	10
მურმან ცარციძე	ხელფასი და მასზე მოქმედი ფაქტორები თანამედროვე შრომის ბაზრის პირობებში	45
ლია სვანიძე	პოლიტიკური ფსიქოლოგიის როლი და მნიშვნელობა პოლიტიკურ ქცევაში -----	65
მიკრო-მაკროეკონომიკა		
აკაკი გაბეღია	საგადასახადო დატვირთვის ოპტიმალური დონის განსაზღვრის პრობლემა ლაფერის „არაკლასიკური“ თეორიის ბაზაზე -----	77
ზნა გოგიშვილი	სოციალური დაცვის ევროპული მოდელები	87
დავით ნერგაძე	მინერალური წყლის რესურსები საქართველოში -----	107
თამარ კბილაძე	საქართველოს ეკონომიკა საგადასახადო რეფორმის პირობებში -----	119
მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი		
იზა გიგაური	მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობა -----	127
სოფიკო ჯვარშიშვილი	ინვესტიციები საქართველოს ტურიზმში: რეალობა და პერსპექტივები -----	137
ირინა ჯელია	თბილისის სამშენებლო კომპლექსის კლასტერიზაცია და კომპანია „ჰაიდელბერგცემენტის“ ადგილი მასში -----	149
ფინანსები და საბანკო საქმე		
გიორგი ხიშტოვანი, ერეკლე პირველი	კორპორაციის პოლიტიკური პასუხისმგებლობა და მისი გავლენა კომპანიების ფინანსურ მანეჯმენტებზე (ქართული სადაზღვევო სექტორის მაგალითზე) -----	157
ქეთევან ღუდუშაური	კომერციული ბანკის აუდიტის სრულყოფის მიმართულებები -----	183
ახალი წიგნები: როგორია პროფესიონალ რეცენზენტთა აზრი?		
რომან გიცირიძე, ვეგენი ბარათაშვილი, სიმონ გელაშვილი, რეზო მანველიძე	საინტერესო და აქტუალური ნაშრომი საერთაშორისო მენეჯმენტში -----	191
სახელოვან ადამიანთა გაღვრვა		
	ღვაწლმოსილი პავლე გარუნიავა -----	196
	ხსოვნა ნათელი მურმან ტურავა -----	198

**ქურნალში – „ეკონომიკა და ბიზნესი“, სამეცნიერო სტატიის
წარმოშობის და გამოქვეყნების წესი**

1. სტატიაში წარმოდგენილი უნდა იყოს: საკვლევი პრობლემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია; კვლევის შედეგები (სიახლე); რეკომენდაციები;
2. სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევი პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება, რისთვისაც აუცილებელია რამდენიმე მათგანის მითითება ტექსტში (მიღებული წესით სქოლიოების მინიშნებებით შესაბამის გვერდებზე);
3. სტატიის ქართული ტექსტი უნდა აიკრიფოს Sylfaen-ით, 12-იანი შრიფტით და ხაზებს შორის 1,5-იანი დაშორებით;
4. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ფორმატით, 6-10 გვერდის მოცულობით;
5. სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ან ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;
6. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე (8-10 სტრიქონის მოცულობით);
7. სტატიები წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული და ქაღალდზე ამობეჭდილი ფორმით (2 ეგზემპლარად);
8. მოთხოვნების დარღვევით წარმოდგენილი მასალა ქურნალში არ დაიბეჭდება;
9. ქურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტებისა და ყველა თანამშრომლისათვის, ხოლო სხვა (გარე) ავტორები იხდიან საფასურს – ერთ გვერდზე 10 (ათი) ლარს, რაც მათ მიერ ჩაირიცხება ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის ეკონომიკური შემოსავლების ანგარიშში.

ISSN 1987-5789



დაბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

კომპიუტერული უზრუნველყოფა -
მანანა ჯიხვიშვილი